ამრიგად, სიმინდის მცუნარის, ისე როგორც ბევრი სავა მცუნარის განიყოფების სისტემაში განსაზღვრული დადგითო ეფექტი აქვს ფოსფორიანი სასუქით მწერივულ ან ბუდნიბრივ განოყიერებას, თესლთან ერთად სასუქის შეტანით. ამ მიზნით, რიც ნიადაგებშე ფოსფორიან სასუქს ეფექტიან დონად საქმარისი იქნება ჰექტარზე 20 კგ.  $P_2O_5$  ანგარიშით ანუ 1 კუნტნერი მარტივი სუპერფოსფატი. უმჯობესია მისი მარცვლის სტანდარტი ფორმა.

სასუქების გამოყენების ერთ-ერთი საკანძო საკოთხია სასუქების ეფექტურობის გადიდება. სასუქების ეფექტურობის გადიდების ლონისძიებებს მოვკუთვნება მათი გადაფილება სწორ თესლბრუნვებში, მარცვლისებრი სასუქების გამოყენება, სასუქების გამოყენება გამოკვების სახით, მინერალური და ორგანული სასუქების ერთობლივ შეტანა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სასუქის შეტანის რეზისის გაუმჯობესება.

მშაველი გმოკელებით დადგნილია, რომ სასუქების მწერივში შეტანა ორჯერ და მეტადაც ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. ამას ადასტურებს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში გაწმობულ ნიადაგებზე 1951 წელს სიმინდის კულტურაზე ჩატარებული ცდის მონაცემები (იხ. პ. 12).

ცრდის სტერი	მარცვლის მოსავალი (გ/ჰეტრ.)	მარცვლის მოსავალი %-%შით	მარცვლის მოსავალის ნამატებობა	
			გ/ჰეტრ.	%
საკონტროლო	25,30	100	—	—
N <sub>50</sub> P <sub>50</sub> K <sub>60</sub> მობნეფით	35,20	139,1	9,9	39,1
N <sub>50</sub> P <sub>50</sub> K <sub>60</sub> მუცურიტი	44,43	175,6	19,13	75,6
N <sub>45</sub> P <sub>45</sub> K <sub>30</sub> მობნეფით	30,08	121,7	5,50	21,7
N <sub>45</sub> P <sub>45</sub> K <sub>30</sub> მუცურიტი	35,56	144,0	10,26	44,0

სასუქების ბუღაში შეტანა, მწერებიში შეტანასთვის შედარებით, კიდევ უფრო დიდებს სასუქების ეფექტურაზეას. მაგრამ დებულებას ამტკიცებს სამტკრედის რაონის სოფელ ეწერში სუსტად გაეშრობულ ნიაღაზე 1951 წელს ჩიტარებული ცდის მონაცემები (ი. ცხრილი. 13).

ગુરૂ નાનાં 13

ცდის სტერა	მარცვლის მოსავალი გ/ჰეტ	მარცვლის მოსავალი %-%ბით	მარცვლის მოსავლის ნამატე	
			გ/ჰეტ.	%
საკონტროლო . . . . .	24,0	100	—	—
$N_{45}P_{45}K_{30}$ მშენებელი . . . . .	38,19	159,10	14,17	59,10
$N_{30}P_{20}K_{15}$ მშენებელი . . . . .	32,38	134,90	8,38	34,90
$N_{30}P_{20}K_{15}$ ბაზუდნაში . . . . .	34,59	144,10	10,59	44,10

ეს მონაცემები მოწმობება, რომ აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, შეტანილი ბუღნაში და მწერივში ყველა ლენტური რომელიმებით, ძლევა სიმინდის გარცვლის 2,21 ცენტნერით მეტ მოსავალს, მწერივში შეტანასთან შედარებით.

უკანასკნელი 10—15 წლის განმეოლობაში ჩიტარებული გამოკვლეულით, დადგრინილია, რომ სასუქების ეფექტი საგრძნობლად იზრდება იმ შემთხვევაში,



თუ ისინი არ იქნებან არეული ხვინის მთელ სილრმეზე, არამედ განაწილების მიერთო ან ნიადაგში ფენობრივიად—ორ ფენად. თესვის წინ სასუქების თესლტან უმთად შეტანა, რომელმაც ფართო გავრცელება მოიპოვა. წარმოადგენს მცენარის უზრუნველყოფას საკვებით ზრდის დასაჭყისის ფაზაში, როდესაც მცენარე თესლით კვებით გადადის ფენებით კვებაზე. ნიადაგის ლრმა ფენებში ძირითადი დამუშავებისას შეტანილი სასუქები შედარებით უფრო გვიან მოქმედებენ და მცენარის კვების ძირითად წყაროს წარმოადგენენ ზრდის უფრო გვიან ფაზებში. სწორედ ამით იმსახური სასუქების ფენობრივიად—ორ ფენად შეტანის უფრო მაღალი ეფექტი, ვიდრე მაშინ, როდესაც სასუქი შევვაჯეს ნიადაგის მთელ მასასთან შერევით. სასუქების ორ ფენად შეტანის ეფექტიანობა სიმინდის კულტურის მიმართ შესწავლითი იყო სამტრედიის რაონის სოფ. ეწრის სუსტად გაეწრებულ ნიადაგზე 1951 და 1952 წლებში.

1951 წელს ჩატარებული ცდის მონაცემები შოუვანილია მე-14 ცხრილში.

ცხრილი 14

შენერალური სასუქების ფენობრივად შეტანის გავლენა სიმინდის მოხავალშე (1951 წ.)  
(სუსტად გაეწრებულ ნიადაგში)

ცდის სექტა	მარცვლის მოსავალი ც/ჰექტ.	მარცვლის მოსავალი %/გ-ბით	მოსავლის ნამატე	
			ც/ჰექტ.	%-ბით
საკონტროლო	24,3	100	—	—
N <sub>45</sub> P <sub>45</sub> K <sub>30</sub> მუქრივში ერთ ფენად 5—7 სმ სილრმეზე	35,95	148,0	11,65	48,0
N <sub>22,5</sub> P <sub>22,5</sub> K <sub>15</sub> 15—18 სმ. სილრმეზე N <sub>22,5</sub> P <sub>22,5</sub> K <sub>15</sub> მუქრივში 5—7 სმ სილრმეზე	38,24	157,3	14,14	57,3

ცხრილში შოუვანილი მონაცემებით ნათელია, რომ სასუქების ორ ფენად შეტანა ზრდის სიმინდის მარცვლის მოხავალს 2,49 ცენტრერით ჰქექტარზე, ერთ ფენაში შეტანასთან შედარებით.

1952 წელს ჩატარებულ ცდაში იმავე კოლმეურნებობაში და იმავე ნიადაგებზე გამოცდილი იყო სასუქების სხვადასხვა დონები, მათი ორ ფენად და ერთ ფენაში შეტანისას. შესადარებლად ალებულ იქნა აგრეთვე სასუქების მობნევის წესით შეტანა ნიადაგის მოხვნის წინ. ცდით მიღებული შედეგები მოცემულია მე-15 ცხრილში.

ამ ცხრილის მონაცემები მოწმობს, რომ სასუქების მობნევით, მუქრივში და მუქრივში ორ ფენად შეტანის წესებიდან ცველაზე უკეთეს შედეგს იძლევა მუქრივში ორ ფენად შეტანა. იმ შემთხვევაში კი, როცა ნიადაგის ქვედა ფენებში შეტანილ იქნა მეტი სასუქი, ხოლო მეტე ფენაში ნაელები, სასუქის ეფექტი შემცირდა 3,3 ცენტრერით ჰქექტარზე ორივე ფენაში სასუქების თანაბრად შეტანის ვარიანტებთან შედარებით.

სახუკების უკონსტიტუციურ შეტანის გავლენა სიმინდის მოსახლეთა (1952 წ.) ს. ეჭერი (სუსტად გაუწირებული ნიაფაგი)

No.	ပုဂ္ဂန်များ	စီမံချက်	ပုဂ္ဂန်များ	
			ပုဂ္ဂန်များ	%-ဝါဒ
1	ဗြားလျှော့က	8,96	—	—
2	N <sub>50</sub> P <sub>10</sub> K <sub>20</sub> ဓာတ်ပျောက် ဓာတ်ပျောက် ပိုင်	14,41	5,45	60,3
3	N <sub>50</sub> P <sub>50</sub> K <sub>50</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 5—7 ပေါ်-ပေါ်	21,30	12,42	138,6
4	N <sub>15</sub> P <sub>45</sub> K <sub>20</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 15—18 ပေါ်-ပေါ် + N <sub>15</sub> P <sub>45</sub> K <sub>20</sub> 5—7 ပေါ်-ပေါ်	27,26	18,30	204,2
5	N <sub>60</sub> P <sub>20</sub> K <sub>10</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 15—18 ပေါ်-ပေါ် + N <sub>20</sub> P <sub>20</sub> K <sub>20</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 5—7 ပေါ်-ပေါ်	23,96	15,00	167,4
6	N <sub>45</sub> P <sub>45</sub> K <sub>20</sub> ဓာတ်ပျောက် ဓာတ်ပျောက် ပိုင်	10,96	1,96	21,8
7	N <sub>45</sub> P <sub>45</sub> K <sub>20</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 5—7 ပေါ်-ပေါ်	14,73	5,77	64,4
8	N <sub>22.5</sub> P <sub>22.5</sub> K <sub>15</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 15—17 ပေါ်-ပေါ် + N <sub>22.5</sub> P <sub>22.5</sub> K <sub>15</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 5—7 ပေါ်-ပေါ်	16,97	8,01	89,5
9	N <sub>50</sub> P <sub>20</sub> K <sub>20</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 15—18 ပေါ်-ပေါ် + N <sub>15</sub> P <sub>25</sub> K <sub>10</sub> ဓိုဒ်ရှုံးစိုး 5—7 ပေါ်-ပေါ်	15,50	6,54	72,9

სასუებების განახლებული ნორმით ( $N_5P_3K_{30}$ ) შეტანა—შეტანის სამივე წესის შემთხვევაში გამოიწვია სიმინდის მოსავლის მკვეთრი დაცვა სასუებების სრულ ნორმებთან შედარებით.

შიომებს შე სასუებების ზოლებად შეტანის ეფუძღი სიმინდის კულტურის მიმართ შესწავლილი იყო გ. ნ. ურუშაძის მიერ 1946 და 1947 წლებში (იხ. ხრისი 16).

შინერალური სასუქების ზოლებად შეტანის ეფექტურანობა სიმინდის მოსავლის მიმართ. ანაცეცლა  
(წითელმიწა ნიადაგი)

სასუქების შეტანის წესი	მარცვლის მოსავლი (კ/ჰეკ-ზე (1946 წ.)	მარცვლის მოსავლი (კ/ჰეკ-ზე (1947 წ.)	ორი წლის საშუალო	
			კ/ჰეკ-	%-ბით
საკონტროლო . . . . .	5,3	4,5	4,9	100
N <sub>120</sub> P <sub>50</sub> K <sub>50</sub> მობნევით . . . . .	14,2	12,6	13,4	274
N <sub>150</sub> P <sub>50</sub> K <sub>50</sub> ზოლ-ზოლად . . . . .	19,5	18,0	18,7	384
N <sub>60</sub> P <sub>45</sub> K <sub>50</sub> ზოლ-ზოლად . . . . .	12,1	11,1	11,6	237

ცხრილის მონაცემები გვიმტკიცებს, რომ სასუქების ზოლ-ზოლად შეტანა ბევრად უფრო ეფექტურიანია მობნევით შეტანასთან შედარებით. სასუქების განახევრებული ღონისძიები ზოლ-ზოლად შეტანა თითქმის ისეთსავე ეფექტუს იძლევა, როგორც მობნევით შეტანილი ორჯერ მეტი ღონისძიები. ამიტომ მიზანშეწონილი სასუქები სიმინდის მწყრივულ ნათესაში შეტანილ იქნეს ზოლ-ზოლად სიმინდის მწყრივის ორჯერ მხარეზე პირველი დამატებითი კვებისას, მწყრივიდან 10—15 სმ-ის დაშორებით, ხოლო მეორე დამატებითი კვებისას 15—20 სმ-ის დაშორებით.

სიმინდის გამოკვება, ე. ი. სასუქების ვეგეტაციის პერიოდში შეტანა წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდების საუკეთესო საშუალებას. გამოკვება მაღალ ეფექტს იძლევა სარწყავი რაიონებში და დიდი ნალექების პირობებში.

გამოკვების ეფექტურიანობაზე ჩატარებული ცდების მონაცემები სიმინდის კულტურის მიმართ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაონში მოცუმულია მე-17 ცხრილში.

ც რ ი ლ ი 17

გამოკვების ეფექტურანობა სიმინდის მოსავლის მიმართ დასავლეთ საქართველოს  
სხვადასხვა რაონში (2)  
(მოსავლი კ/ჰეკ-ზე)

რაიონი	სოფელი	წელი	უსასულო	ძირითადი სასუქები N <sub>50</sub> P <sub>50</sub> და		
				N <sub>60</sub> P <sub>50</sub> პირველი გა- თონისას	N <sub>50</sub> P <sub>50</sub> პირ. გათონ- ისას და N <sub>60</sub> P <sub>50</sub> ტაროს გამოტანისას	6
1	2	3	4	5	6	
ზესტაფონი . . . . .	აჯამშის საკ. სად.	1940	13,0	16,2	16,8	
ზესტაფონი . . . . .	" "	1941	8,8	9,9	11,1	
სამტრედია . . . . .	დიდი ჯიხაიში	1940	15,8	21,7	25,8	

1	2	3	4	5	6
სამტრედია . . . . .	დიდი ჯიხაგაში	1941	12,9	10,2	10,3
წელეუკიძე . . . . .	ივანიშვილი	1940	15,7	26,6	31,2
წელეუკიძე . . . . .	= *	1941	16,8	27,9	26,4
ცხაკარი . . . . .	აზალსოფელი	1940	16,0	27,0	27,7
ცხაკარი . . . . .	=	1941	14,6	19,2	17,5

ცხრილში მოცემითი მონაცემები მოშობენ. ომში უმეტეს შემთხვევაში უკეთეს შედეგს იძლევა ორი გამოკვება, ოოდესაც პირველი ტარდება ოთხისას, ხოლო მეორე—ტარდების გამოტანისას.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში სიმინდის გამოკვების ეფექტი განისაზღვრება ნიადაგის ტენიანობით. ურწყავ რაიონებში გამოკვება ძალზე უმნიშვნელოდ ზრდის სიმინდის მოსავალს, სარწყავ რაიონებში კი გამოკვების ეფექტი მაღალია. ამას ადასტურებს მე-18 ცხრილში მოცემილი მონაცემები.

## ცხრილი 18.

გამოკვების გავლენა ხინამის მოხატვითან აღმოსავლეთ საქართველოში  
(ორი წლის საშუალო) (2)

გ ა ნ თ ჟ ი ვ რ ე ბ ა	სიმინდის ჩარცელის მოსავალი			
	გარდამის რაოცხი	ბაზურის რაოცხი	ც/მწ.	მატება ც/მწ.
უსასუქო . . . . .	34,6	—	21,7	—
ძირითადი სასუქი $N_{20}P_{20}$ . . . . .	34,6	—	27,6	5,9
ძირითადი სასუქი + გამოკვება $N_{20}P_{20}$ პირველი ფათობის წინ . . . . .	37,1	2,5	27,2	5,5
ძირითადი სასუქი - ღრი გამოკვება $N_{20}P_{20}$ -ით პირველი გათობის წინ და $N_{20}P_{20}$ -ით ქონის ამონტის წინ	37,0	2,4	27,6	5,9

მოცემითი მონაცემებით ნათელია, ომში ურწყავ რაიონებში გამოკვება ან სრულიად არ იძლევა ეფექტს ან მოსავლის მატება ძალზე დაბალია, მაშინ როდესაც სარწყავ რაიონებში (გარდაპანი) გამოკვების ეფექტი მნიშვნელოვანია.

შემოთ მოყვანილი ცდებით მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის გაშეტანილი დაგებძე საჭიროა ორი გამოყევება: ერთი—პირველი კულტივაციის ან თოხნის წინ და მეორე—ტაროების და ქონიჩის ამოლების წინ. გამოკვებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს აზოტიანი და ფოსფორიანი სისუქები. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გამოკვება უნდა ჩატარდეს ერთხელ პირველი კულტივაციის ან თოხნის წინ აზოტიანი და ფოსფორიანი სისუქით ( $N_2P_2O_5$ ).

ორგანულ სასუქებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ორგანული სასუქები თვალსაჩინოდ აღიდებს სიმინდის კულტურის მოსავლიანობას. ამ სასუქების გამოყენების შედევრად მოსავლიანობის ნამატი ყოველთვის მეტია, ვიდრე მინერალური სასუქების გამოყენებისავარ. ამას ადასტურებს მე-19 ცხრილი მოყვანილი მონაცემები.

#### ცხრილი 19

ორგანული და მინერალური სასუქების შედარებითი ეფექტუაცია

ცდის სტერა	სიმინდის მარცვლის მოსავალი 1941 წ.				სიმინდის მარცვლის მოსავალი 1942 წ.			
	ც/პტ	%-ბით	ნამატი ც/პტ	%-ბით	ც/პტ	%-ბით	ნამატი ც/პტ	%-ბით
საკუნტროლი . . .	10,13	100	—	—	8,33	100	—	—
NPK . . . . .	18,64	184,0	8,51	84,0	11,25	136,2	2,92	36,2
ნაფლი 40 ტონა .	18,58	183,0	8,45	83,0	14,60	175,3	6,27	75,3

მოყვანილი მონაცემები მოწმობენ. რომ ნაკელის და მინერალური სასუქების ნიადაგში შეტანის პირველ წელს მინერალური სასუქების და ნაკელის ეფექტი თანაბარია. მაგრამ შემდგომი მოქმედებისას ნაკელის ეფექტი მეტია, ვიდრე მინერალური სასუქებისა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ნაკელის შემდგომქმედება ორი წლით არ ამოიწურება, არამედ 3—5 წელსაც კრძელდება, მაშინ როდესაც მინერალური სასუქის ეფექტს ორი წლის შემდეგ თითქმის აღარ აქვს აღვილი.

სიმინდის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად იზრდება ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივი გამოყენების შემთხვევაში. მრავალრიცხოვნი ცდებით დადგენილია, რომ ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივი გამოყენებით იზრდება მინერალური და ორგანული სასუქების ეფექტიც. ამას ნათლად ადასტურებს მემინდვრეობის ინსტიტუტის მიერ (ამავად მიწათმოქმედების ინსტიტუტი) მუხრანის კელზე ჩატარებული ცდის მონაცემები.

ଓଡ଼ିଆ ଶ୍ରେଣୀ	ମାର୍ଗପ୍ରେଲିସ ମିଳିଶାଫାଲି ଓ/କ୍ଷେତ୍ର		ଟଙ୍କା ଟଙ୍କା	ବିଶ୍ଵାସ ଦିନ	
	1936 ଫ.	1937 ଫ.		ଓ/କ୍ଷେତ୍ର	%-ଦିନ
ଶ୍ରେଣୀ	38.8	39.7	39.2	—	
20 ଟ. ନାଯାଦୁର	41.5	43.0	42.2	3.0	7.6
" " ଅଶୋକ	45.1	43.6	44.3	5.1	13.0
" " ଭୁବନେଶ୍ୱର	46.5	44.1	45.3	6.1	15.5
" ଭୁବନେଶ୍ୱର ଏବଂ ଭୁବନେଶ୍ୱର	52.5	47.4	49.9	10.7	27.3

მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რომ ორგანული და მინერალური სასუქის ეფექტი ერთობლივი გამოყენების შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია. ვიდრე ნაკლის ცალკე გამოყენებისას.

ნაკლის და მინერალური სასუქების ერთობლივი გამოყენების მაღალი ეფექტი დადგნინდა აგრძელებულ დასაცავთ საქართველოს რაიონებშიც. რასაც ამტკიცებს აჯამეთის საცდელი სალგურის მიერ ეწერ ნია დაგჭე ჩატარებული ცდები (იხ. ცხრილი 21).

G. B. G. 21.

ନୀକୁଳିଙ୍କ ଓ ମିନ୍ଦରାଲୁରିର ଶାଶ୍ଵତ୍ପଦିକ ଉଚ୍ଚତାପଦ୍ଧତି ମହେନ୍ଦ୍ରଙ୍କ ଶାଶ୍ଵତ୍ପଦିକ ମହେନ୍ଦ୍ରଙ୍କ ଶାଶ୍ଵତ୍ପଦିକ

ଓଡ଼ିଶା ଲେଖକ	ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ସାହିତ୍ୟରେ		ଗୋଟିଏଟାଙ୍କ ଶିଳ୍ପରୂପରେ		ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପ୍ରକାଶରେ	
	ପ୍ରକାଶରେ	%-ଦିଗନ୍ତ	ପ୍ରକାଶରେ	%-ଦିଗନ୍ତ	ପ୍ରକାଶରେ	%-ଦିଗନ୍ତ
ଶ୍ରୀଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ	10,9	100	16,2	100	15,0	100
ବାହ୍ୟରେ 20 ଟ.	12,2	112	20,3	125	16,9	113
ବାହ୍ୟରେ 20 ଟ. - N <sub>50</sub> P <sub>60</sub>	14,3	131	24,4	150	21,9	146

მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რომ თუ ნაკელის მოქმედებით მოსავალი უნიშვნელოდ იზრდება, ნაკელის და მინერალური სასუქების ერთობლივად გამოყენებისას მოსავლის ნამატი 31—50%. შეადგინს. მწვანე სასუქების გამოყენება წარმოადგენს სიმინდის მოსავლიანობის გადილების მძლავრ საშუალებას, რაც დალგენილია მარგალიტუროვანი გამოკლევებით.



მწვანე სასუქი სიმინდის მოსავალზე თითქმის ისევე მოქმედებს, ჩრდილო-დაკელი ან მინერალური სასუქები, რასაც ნათლად ამტკიცებს ქუთაისის საც-დელ საფურზე გ. ჯაფარიძის მიერ ჩატარებული ცდის მონაცემები (იხ. ცხრილი 22).

### ც ხ რ ი ლ ი 22

სხვადასხვა ხასუქის მოქმედება  
სიმინდის მოსავალზე

სასუქების სახე	მარცვლის მოსა- ვალი	
	ც/პეტ.	%-ბით
მწვანე სასუქი (სოია) . . .	39,3	100
სრული მინერალ. სასუქი .	39,3	100
36 ტონა ნაკელი . . . .	38,7	99

ჩვენ შემდგომი მოქმედებას. გარდა ამისა, მწვანე სასუქების შემდგომი მედოთხე წელსაც გრძელდება.

### ც ხ რ ი ლ ი 23

მწვანე ხასუქების მოქმედება სიმინდის მოსავალზე გარდაპირ ზონაში

განოჭერება	პირდაპირი მოქმედება		შემდგომი მოქმედება					
	1942 წ.		1943 წ.		1944 წ.		1945 წ.	
	ც/პეტ.	%-ბით	ც/პეტ.	%-ბით	ც/პეტ.	%-ბით	ც/პეტ.	%-ბით
1. ანტიკ, მხრალად მობრუნა-საკონ- ტროლი	28,5	100	25,7	100	26,9	100	24,7	100
2. მწვანე სასუქი ბარდა, დათესი- ლი აგვისტოში, ჩანსული ნო- ვებერში . . . .	33,8	118,6	48,2	187,5	39,4	146,4	28,0	113,3
3. მწვანე სასუქი ცერცულა, და- თესილი აგვისტოში და ჩა- ნსული ნოვებერში . . . .	33,2	116,4	51,5	200,3	40,2	149,4	28,4	115,0

სიმინდის მაღალი მოსავლის გამაპირობებელ ორგანულ და მინერალურ სასუქებს გარდა, გარევიული მნიშვნელობა აქვს მიკროლემენტების შემცველ სასუქებს. ე. წ. მიკროსასუქებს.



საქართველოს პირობებში სიმინდისათვის მიკროსასუქებიდან უფრო ფართოდ შეცწილილია ბორისა და მანგანუმის შემცველი მიკროსასუქები, როგორც როგორც ბორის მევაც და ბორიები ბორის-სასუქებიდან, მანგანუმის სულფატი და კიათურის შავიქვის შლამი—მნგანუმის სასუქებიდან.

რიგ გამოკვლეულებით (5,6) ნაჩვენებია, რომ მიკროლემენტების დადგებითი მოქმედების გამომეტავნებას აპირობებენ ნიადაგის თვისებები, მცენარის თვისებურება და გამოყენებული აგროტექნიკური ფონი, მათ შორის კი პირველ რიგში—სასუქები.

სიმინდზე მიკროლემენტების—ბორისა და მანგანუმის ეფექტუანობისა და მათი ოპტიმალური დოზის დასადგენად ცდები ჩატარებული იყო დასავლეთ საქართველოს ჩამორეცხილ ნეშომპალა-კარბონატულ ურწყავ და აღმოსავლეთ საქართველოს ძველალუფიურ სარწყავ ნიადაგებსე.

მოგვყავს ორივე ცდით მიღებული შემდეგი მონაცემები (7) (იხ. ცხრილი 24).

როგორც ამ ცდების შედეგები გვიჩვენებს, მიკროსასუქები ამელანებენ საქმიად გამოსახულ დადგებით მოქმედებას სიმინდის მოსავალზე, თუმცა ეს მოქმედება გაცილებით მეტია დამოუკიდებლად მათი გამოყენებისას, ვიდრე სრული მინერალური სასუქის (NPK) ფონზე. სიმინდის მოსავლის მატების მხრივ იმის ნიადაგზე უკეთეს ეფექტს იძლევა ბორის დოზა ჰეტარზე 2 კგ ანგარიშით და მანგანუმი ჰეტარზე 6 კგ რაოდენობით.

#### ცხრილი 24

მიკროსასუქების გავლენა სიმინდის მოსავალზე

ცდის სქემა <sup>1</sup>	ჩამორეცხილი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგი			რელალუფიური ნიადაგი		
	სიმინდის მოსავალი		მოსავლის მატება გ/გ	სიმინდის მოსავალი		მოსავლის მატება გ/გ
	გ/გ	%		გ/გ	%	
1	2	3	4	5	6	7
უსასუქო	24,6	100,0	—	23,4	100,0	—
ბორი 1 გ/გ	27,7	112,8	3,1	—	—	—
2 გ/გ	36,9	149,9	12,3	28,7	122,1	5,3
მანგანუმი 3 გ/გ	35,4	144,0	10,8	—	—	—
6 გ/გ	33,4	135,8	8,8	28,9	122,7	5,5
ბორი 2 გ/გ + მანგანუმი 6 გ/გ	—	—	—	29,8	127,3	6,4

<sup>1</sup> მიკროსასუქები ჰეტარილი იყო ბორის მევაც და კიათურის შავიქვის შლამის საბით. მნერალური სასუქები—N<sub>20</sub> P<sub>20</sub> K<sub>20</sub> დოზით.

1	2	3	4	5	6	7
NPK (ფონი) . . . . .	42,5	100,0	—	46,4	100,0	—
NPK + ბორი 1 კგ/ჸ . .	47,3	111,1	4,8	—	—	—
" " " 2 კგ/ჸ . .	44,3	104,0	1,8	47,3	101,9	0,9
" " მანგანეზი 3 კგ/ჸ .	42,2	99,1	0,3	—	—	—
" " " 6 კგ/ჸ .	44,7	104,8	2,2	47,9	103,2	1,5
" " ბორი 2 კგ/ჸ .	—	—	—	48,5	104,5	2,1
" " მანგანეზი 6 კგ/ჸ .	—	—	—	—	—	—

ორივე ნიადაგზე, სრული მინერალური სასუქის (NPK) ფონზე და მის გარეშე, საქმიალ კარგ შედეგს იძლევა ორივე მიეროელებურის ერთდროულად გამოყენება შემდეგი დოზებით: ბორი ჰექტარზე 2 კგ და მანგანუმი—6 კგ-ამაღად ცნობილია, რომ სიმინდის მცენარე ნორმალური ზრდა-განვითარებისა და მაღალი მოსაცვლისათვის მოითხოვს სუსტ-მევე, ნეიტრალურ ან სუსტ-ტუტე რეაქციას. ამიტომ მევე რეაქციის მქონე ნიადაგზე სიმინდისათვის საკირო ხდება ნიადაგის მევითანბის შესუსტება ან განეიტრალება კირის სასუქის შეტანით. აგროქიმიურ ლიტერატურაში ძალიან ბევრი მასალა მოიპოვება და სოფლის მეურნეობის პრატიკასაც საქმიალ დიდი გამოცდილება აქვს მევე ნიადაგზის მოკირიანების საქმეში. ჩატარებული ცდებით მტკიცდება, რომ მევე ნიადაგზის მოკირიანებით მნიშვნელოვნად უმჯობესდება მათი ნაყოფიერება და იზრდება კულტურული მცენარის მოსაცვლიანობა. საქართველოს მევე ნიადაგზე სიმინდის მიმართ მოკირიანების ეფექტუანობისა და კირის სათანადო დოზების დასადგენად ბევრი ცდა ჩატარებული მოვცევას ამ ცდებით მიღებული ექსპრიმენტული მასალის მკირე ნაწილი (8,9, 10).

ગુરુ નાના 25

კირის მზარდი ფონების გავლენა სიმიზნდის მოხადალზე (8,9).

က ရ ေ စ ာ ပ ုအ မ ှ ု ပ ု စ ာ	မ ာ ရ ိ ဖ ြ ေ ့ လ ိ ု ပ ါ း မ ေ း မ ာ ရ ာ လ ိ ု ပ ါ း		မ ာ ရ ိ ဖ ြ ေ ့ လ ိ ု ပ ါ း မ ေ း မ ာ ရ ာ လ ိ ု ပ ါ း
	0/၁	%	
1	2	3	4
ပ ု စ ာ ပ ု စ ာ	8,4	100,0	—
က ရ ေ စ ာ ပ ု စ ာ	11,6	138,1	3,2
က ရ ေ စ ာ ပ ု စ ာ	14,8	176,2	6,4

	1	2	3	4
კირი 2 პიღოროლიშური მეტვიანობის მიხედვით . . .		13,0	154,7	4,6
NPK . . . . .		15,9	189,3	7,5
" 1/2 კირი 1/2 პიღოროლიშური მეტობის მიხედვით .		20,4	242,9	12,0
" 1/2 კირი 1 "		24,2	288,1	15,8
" 1/2 კირი 2 "		22,0	161,9	13,6

როგორც ამ ცხრილის მონაცემებით იჩენეთ, კირის გამოყენებით საურ-ძობლად დადგება სიმინდის მარცვლის შოსავალი. გამოცდილი დოზებიდან უფრო მეტ ეფექტური იძლევა 1 პიღოროლიშური მეტვიანობის მიხედვით შეტანილი კირის დოზა. ამ უკანასკნელისაგან ეფუძრი დიდია აგრეთვე სრული მინერალური სასუქის (NPK) ფონად შეტანის შემთავევაშიც. ცდებით დადგნილია, რომ დასავლეთ საქართველოს მეცნ ნიადაგები, რომლებსაც სხვადასხვა სიღილის მეტვიანობა ახასიათებს, მოიხსოვენ კირის არაერთნაირი დოზით შეტანას.

ასევე ითქმის ამ ნიადაგებზე სიმინდის მიმართაც, რაც ასე მეაფიოდ ჩანს შემდეგი ცდების მონაცემებით (10).

#### ც ხ ი ლ ი 26

##### კირის დაზების ეფექტიანობა სიმინდის შემართ დასავლეთ საქართველოს მფავე ნიადაგებზე

ცდის ჩატარების აღვილი	ს. სკორი	ავაშეცი	ს. მაღლავი	ს. ეწვერი	ს. სეფიერი	სუვალი
ც დ ი ს ს ტ ე მ ა	მოსავალი 0/3					
უსასეულო . . . . .	9,3	13,8	11,4	7,6	10,0	9,7
კირი 3 ტ/3 . . . . .	11,0	16,7	15,1	12,5	12,1	8,9
" 6 " . . . . .	12,3	17,4	17,3	12,9	16,3	10,2
" 9 " . . . . .	15,1	18,5	17,3	12,4	18,8	11,2
" 18 " . . . . .	15,4	19,1	17,0	14,3	21,1	13,2
" 24 " . . . . .	13,6	20,2	16,4	17,1	22,0	13,9
" 27 " . . . . .	15,9	—	16,6	17,4	24,4	13,5
NPK . . . . .	13,3	—	19,2	20,3	—	25,5
NPK 1/2 კირი 3 ტ/3 . .	15,0	—	20,6	18,9	—	32,1
NPK 1/2 " 9 " . . . . .	14,0	—	20,6	20,7	—	31,4
NPK 1/2 " 18 " . . . . .	15,2	—	20,4	21,1	—	31,1
NPK 1/2 " 27 " . . . . .	15,5	—	20,6	20,6	—	31,6



აღნიშვნული ცდების შედევების მიხედვით, სრული მინერალური სასტუძის შეტანის გარეშე სიმინდისათვის კირის ოპტიმალური დოზებია: სოფ. სეირის (წესტაფონის რაიონი) გაეშრებულ ნიადაგებზე ჰეტრარზე 9 ტონა, აჯამეთის ანალოგიურ ნიადაგზე—24 ტონა, სოფ. მალაյის (წყალტუბოს რაიონი) ეჭურ ნიადაგებისათვის—6 ტონა, სოფ. ეჭრის (სამტრედიის რაიონი) ნიადაგისათვის—24 ტონა, სოფ. სეფიეთის (აბაშის რაიონი) ეჭური ნიადაგისათვის—27 ტონა, ხოლო ზუგდიდის ეჭრისათვის—ჰეტრარზე 18—24 ტონა კირი გამომ-ჟარ კირზე ( $\text{CaO}$ ) გადაანგარიშებით.

კინალიდან კირის მოქმედება ხანგრძლივია და ჩვეულებრივ დიდი დოზების შემდგომოქმედება 10–15 და მეტ წელს გრძელდება, ამიტომ კირის დასახელებული დოზები ძალიან საორიენტაციოა, თუმცა ერთგვარ კინონზომიერებას ეს მონაცემებიც გამოხატავს.

ალნიშვნული ცდების შედეგების თანახმად, მინერალური სასუქებისათვის (NPK) ფონად ნიადაგების მიხედვით კირის შედარებით ეფექტურა დოზად გამოვლინდა ჰექტარზე 3-9 ტონა.

1. о. Сағар 0 Швейцари — Сімбіндеңіс ғаңбықынан атқарылғанда. Сағар мен жаңа аттың атынан, 1955 ж.

2. Ә. Қаңған Швейцари — Сімбіндеңіс ғаңбықынан атқарылғанда. Сағар мен жаңа аттың атынан, 1953 ж., тәбиғи салынғанда.

3. б. Әмбен атты — Міндерхан аттынан атқарылғанда. Сағар мен жаңа аттың атынан, 1953 ж., тәбиғи салынғанда.

4. Ә. Қаңған Швейцари — Сағар мен жаңа аттың атынан, 1953 ж., тәбиғи салынғанда.

5. М. В. Каталымов — О факторах, определяющих эффективность борных удобрений, Сб. „Применение микрэлементов“ ВАСХНИЛ, Сельхозгиз, 1941 г.

6. о. Әбділған Швейцари — Міндерхан аттынан атқарылғанда. Сағар мен жаңа аттың атынан, 1948 ж.

7. о. Әбділған Швейцари — Міндерхан аттынан атқарылғанда. Сағар мен жаңа аттың атынан, 1948 ж.

8. о. Сағар 0 Швейцари — Ніңдағынан атқарылғанда. Тәбиғи салынғанда, 1954.

9. о. Сағар 0 Швейцари — Міндерхан аттынан атқарылғанда. Тәбиғи салынғанда, 1949 ж.



10. ა. მენალარიშვილი — დასავლეთ საქართველოს ეწერი ნიადაგი გების მოკირიანება, მოქირიანების რუკით. 1936 წ.
11. თ. ქართველიშვილი — დეფექციური ტალახის ეფექტიანობა სიმინდის ქვეშ აჯამეთის ეწერ ნიადაგზე.
12. გ. ყ. ურუშაძე — დასავლეთ საქართველოს წითელმიწა და გაერტყებულ ნიადაგებში სასუქების შეტანის ტექნიკის ეფექტიანობა. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XXXIV, 1957 წ.
13. Найдин П. Г. Очередные вопросы техники внесения в почву минеральных удобрений. Жур. «Удобрение и урожай» № 2, 1956 г.
14. ი. ი. ნაკაძე — მინერალური სასუქების ფენობრივი შეტანის გავლენა სიმინდის მოსავალზე. საქ. სსრ მეც. აკ. მოამბე. ტ. 15. № 2, 1954 წ.
-



Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
Сельскохозяйственного Института, т. XLVI, 1957 г.

დოკ. სოფ. მერ. შეც. კანდ. მრ. პიშილაშვილი

## სიმინდის თესლა საქართველოში

სიმინდი საქართველოში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით სულ სხვა-  
დასხვა ჰაეისა, ნიადაგისა და რელიეფის პირობებში ითესება. სიმინდისათვის  
თითქმის ყოველგვარ ნაკვეთსა და ნიადაგს იყენებენ. რელიეფის მიხედვით  
მას ვხვდებით, ვაკე ადგილების გარდა, დიდი დაგანების ფერდობებზეც, მაღ-  
ლობ და მთანა ზონაში. სიმინდი ითესება უშუალოდ ზღვის ნაპირიდან (ზღვის  
დონიდან დასავლეთი საქართველო) საკმაოდ დიდ სიმაღლეში — 1400 მ.  
იშვიათ გამონაჯლისად მის ნათესებს ვხვდებით ზღვის დონიდან 1700 მ სი-  
მაღლეზეც (სავანეთი).\*

ძაბასადამე, საქართველოში სიმინდის კულტურის თესვა-მოყვანა მეტად  
მრავალფეროვან პირობებში ხდება და, აშკარა, ყოველი ცალკეული კონკრე-  
ტული პირობებისათვის საქიროა მისი თესვის საკითხების შესწავლა. მაგრამ  
დღის დღეობით ბევრი ამ საკითხთაგანი ან სრულდებათ არ არის მეტად იმულებულად  
შესწავლით, ან მხოლოდ ზოგადი ცნობები მოგვეპოვება.

უპირველეს ყოვლისა შევეხებით სიმინდის სათესლე მასალის შემზადების  
საკითხს. ამ საკითხის ირგვლივ ჩვენ მათლოდ ზოგადი ცნობები მოგვეპოვება.  
რამე საყურადღებო გამოკვლევა ჯერჯერობით არ ჩატარებულა, თუ მეტ-  
ველობაში, არ მივიღებთ საქ. სასელექციო სადგურის ტერიტორიაზე (აბალ-  
უბანში) იც. ბაზტაძის მიერ. ბოლო ჯამეთის მემინდვრეობის საცდელ სად-  
გურში ვლ. გორგაძის მიერ ჩატარებულ ცდებს, რომელიც შეეხება სიმინდის  
ტაროს სხვადასხვა ნაწილიდან აღებული მარცვლის სათესლე ლირსების ექს-  
პერიმეტრულად შემოწმებას. ეს გამოკვლევაც ადასტურებს იმ საერთოდ ცნო-  
ბილ ფაქტს, რომ ტაროს შეა ნაწილიდან აღებული მარცვალი, როგორც  
სათესლე მასალა, ბევრად უკეთესია შეკრის ნაწილიდან აღებულ მარცვალზე  
და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქ. სასელექციო სადგურის ინტენსი-  
ური მუშაობა სიმინდის ჯიშების სელექციური თვალსაზრისით დამუშავებისა  
და ახალი შეძლომისავლიანი ჯიშების გამოყვანის საქმეში. ამ სადგურის ნა-  
ყოფიერი მუშაობის შედევგია ისიც, რომ საქართველოში სათესი ფართობი  
სიმინდის მთავარ ჯიშებს შორის უკვე გარკვევითაა განაწილებული. ამ ბოლო

\* — ამის შესახებ იხ. პროფ. ნ. კეცილელის, პროფ. ლ. დეკაპრელევიჩის, ვ. შენაბდეს,  
დოკ. ი. ბაზტაძის და სხვათა შრომები.

წლებში კი სადგური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცივს სიმინდის პიბრი-  
ფული თესლით თესეაზე გადასვლის საქმეს.

ამებად საბჭოთა კავშირში ღიღი ყურადღება ექცევა სათესლე სიმინდის  
მარცვლის დაყალიბება-გამოთანაბრების საკითხს სკეტ ცენტრალურმა კომიტეტ-  
მა და სსრ კავშირის მინისტრთა სამკომი, როგორც ცნობილია, მიიღო სპეციალუ-  
რი დადგენილება იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში მეტევსე ხუთწლედში აშენ-  
დეს სიმინდის სათესლე მარცვლის დამყალიბებელი სეცეიალური 100 ქარხანა,  
სადაც იწარმოებს სიმინდის მარცვლის შრობა. შენაბა და დაყალიბება.

მაგრამ ვიდრე ასეთი ქარხანი ყველგან აიგებოდეს, საჭიროა ად-  
გილობრივად გამოინახოს ისეთი ხერხი, რითაც შესაძლებელი იქნება სიმინდის სა-  
თესლე მარცვლის დასათესად მომზადება. ცნობილია, რომ ზოგიერთი კოლ-  
მეურნეობა შევი 1955 წლიდან შეუდგა თავისი საშუალებებით სიმინდის თე-  
სლის დაყალიბება-გამოთანაბრების საქმის მოწესრიგებას თავის მეურნეობაში.  
ასე, მაგალითად, უკრაინის სსრ-ის ზაპოროგის ოლქის კოლმეურნეობაში  
„შლიახ დო კომუნიზმ“ სიმინდის თესლის დაყალიბებისათვის გამოიყენეს  
მარცვალსაშენდი მანქანის „კლეიტონის“ ფურცლოვანი ცხავები. რომელთა  
ხერლების (ნაჩერეტების) დიამეტრი 6—10 მმ-ია. ამ ხერხით სამი კოლმეურ-  
ნე დღეში 4—6 ცენტიმეტრი მარცვლის დაყალიბებას ასწრებს. ასეთი დაყალი-  
ბებული თესლით ნათესიდან შედეგი ცუდი არ მიეღიათ. შრომის ნაყოფი-  
ერების გადიდების მიზნით შემდეგში ასირებენ ამ საქმეში გამოიყენონ მარ-  
ცვლის დამხარისხებელი ეს-2, რომელიც მოქმედებაში (შორის-იბაში) მოდის  
ძრავის ან გადატემის გზით.\*

ამებად ჩვენს მტრ-ებს უკე გააჩნიათ სათანადო მარცვალსაშენდი რთული  
ჩაქანები (OC—1,0; OC—3,0; OCM—3,0 უ და OCM—3,0), რომელთა სა-  
თანადო ცხავებით აღჭურვის შემდეგ შესაძლებელი ხდება სიმინდის სათესლე  
მისალის სასურველად დაყალიბება. როგორც საქართველოს სსრ სოფლის მე-  
ურნეობის სამინისტროს ცნობებით ჩანს, 1957 წლის გაზაფხულზე სიმინდის  
თესლის დაყალიბებაზე იმუშავებს ჩვენი რესპუბლიკის 43 მტს-ი და კოლმე-  
ურნეობებს მთაწვდის 1000 ტ დაყალიბებულ სიმინდის თესლს.

სიმინდის კულტურის თესეა-მოყვანის იმ მრავალჯეროვანი პირობებისა-  
თვის, რასაც საქართველოს სინამდვილეში გხვდებით, მისი თესეის ვადების  
დასადგენად გაცილებით მეტი მისალი მოიპოვება. ამ საკითხით დაინტერესე-  
ბული იყო ქუთაისის საცდელი მინიორი (ამებად აჯამეთის საცდელი სად-  
გური), ჯერ კიდევ 1910-იან წლებში, რომელიც სისტემატურ ცდებს ატარებ-  
და თავის დასყურდენ პუნქტებზე.

როგორც მასალა გვიჩვენებს, ქუთაისის საცდელი მინიორი 1910—1912  
წლებში სიმინდის თესეის ვადების შესასწავლად უფრო მეტ ვადებს იღებდა,  
ვიდრე შემდეგ პერიოდში. ამ წლებში ცდის დაყენების პირებელ ვადად აღებული  
იყო მარტის III დეკადა, ხოლო მერვე (და უკანასკნელ) ვადად იწინის I დეკადა  
(იბ. ცხრ. 1).

\*—Ценный опыт калибровки семян кукурузы. „Наука и передовой опыт в сель-  
ском хозяйстве“, № 3, 1956 г.

სხვადასხვა ვადაში თესვის გავლენა სიმინდის მოსაფალზე (ცენტრული მექანიზმი)

წლები	შარტი	პრილი			შაისი			ინტისი
		III	I	II	III	I	II	
1910	—	26,0	25,9	25,8	26,1	—	26,1	—
1911	33,9	30,0	—	32,6	37,5	26,8	—	19,5
1912	23,3	24,0	—	16,2	24,7	17,1	13,5	11,4
საშუალო	28,6	26,6	—	24,9	29,4	21,9	19,8	15,4

ამის შესახებ პროფ. ი. ლომოური აღნიშნავს: „როგორც კერძოდავთ, საუკეთესო შედეგი იძლევა თესვის დაწყება სკვი ბარტის მესამე დეკადიდან, მაგრამ მთელი პრილიც შეიძლება მივიჩინოთ ამ მხრივ საესტბით მისაღებ პერიოდად, ხოლო თესვის ვადატანა მაისის მეორე დეკადაში ან უფრო გვიან ვადებში მკერთრად ამცირებს სიმინდის მოსაფალს.“\*

ამავე საცდელ მინდობრზე 1914—1918 წლებში ჩატარებული ცდები,\*\* მართალია, ძირითადად ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს ადასტურებს, მაგრამ მაინც რამდენადმე საშუალებას გვაძლევს მსჯელობაში ცელილებაც შევიტანოთ. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა წლის მიხედვით თესვის ზოგიერთი შეგვიანებული ვადა აღრუსული ვადისაგან დიდად განსხვავდებულ შედეგს არ გვიჩვენებს (ი. ცხრ. 2).

სხვადასხვა ვადაში თესვის გავლენა სიმინდის მოსაფალზე (ცენტრული მექანიზმი)

წლები	შარტი	პრილი			შაისი			აღნიშული ცდების შედეგები შეიძლება გავრცელებულ იქნეს დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზოლზე. ამ ზოლისათვის ქუთაისის საცდელი მინდერის ანგარიშებში უკვი იმ დროს სიმინდის თესვის ვადები სამ ჯგუფადაა წარ- დის თესვის ვადაში საშუალო სამ ჯგუფადაა წარ-
		III	I	II	III	I	II	
1914	24,66	20,54	9,98	—	8,64	—	8,45	
1915	—	47,51	38,98	33,98	—	33,98	33,41	
1918	—	45,44	43,42	43,82	—	43,97	44,35	
საშუალო	—	37,83	30,79	38,90	—	38,97	28,73	

შოდგენილი: თესვის აღრუსულ ვადად მინეულია 20/III—15/IV-მდე, საშუალო ვადად—15/IV—20/V, ხოლო გვიან ვადად 20/V—30/V-მდე. ჩეკის აზრით,

\*—ი. ლომოური მარცვლები ნაწილი II, 1950 წ.

\*\*—ადჯამეთსкая опытная станция—Краткий отчет по Кутансскому опытному полю за 1914, 1915, 1916, 1917 и 1918 гг.

ასეთი დაყოფა სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, თესვის ადრესობის ერთ გადა კოველვის სკეტეზის მომცემია, ხოლო საშუალო ვადა შემდეგი მორჩება, მაგრამ განხილული ცარილებით ისიც ცალი დგება, რომ უფრო მეტი შემთხვევები კარგი მოსავლისა თესვის საშუალო ვადებს ემთხვევა. ეს იმას ნიშნავს. რომ ზოგიერთ წელს, ვთქვათ, ე. წ. გვარი გაზაფხულის დროს, საშუალო ვადა სავა წლის აღრიცხული ვადის მნიშვნელობას ღუბულობს. ცალია, თესვის საშუალო ვადებს ვერ გამოყრიცხავთ, გვიან ვადებში ოსვანე კი ვა-დაჭრით ხელი უნდა ავილოთ.

თესვის დროის ასე უართო საშლევებში დაწესება, ჩენის აზრით, კიდევ იმითავა გამართლებული, რომ საქართველოს მრავალფეროვანი პირობებისა-თვის თესვის შესაფერისი კონკრეტული ვადები სათანადო ცდებით ჯერ არ არის დაწესებული. გარდა ამისა, საქირაო დაწესერენციალური მიღვომა. დოც. ი. ბაბტაძე ერთ-ერთ თავის შრომაში აღნიშნავს: „დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში თესვა ბშირად ივნინებს არახელსაყრელი კლიმატური პი-რობების გამო. ზატებული შედარებით გვიან იწყება და ამასთან წევიმიანია, მინდვრები თითქმის წყლით იქსება. შემდეგში, მასში თესვას ხშირად ხელს უშლის სანგრძლივი გვალვები. უფრო ამაღლებული და საერთოდ ის ნაკვეთები, სადაც წყლი არ დვება, უფრო ადრე ითესება—მარტის ბოლოდან ზუა აპრილამდე; დანარჩენ შემთხვევაში მასობრივი თესვა ტარდება აპრილის მე-ორე ნახევარში და მასში.”

როგორც ცნობილია, სიმინდის თესლის გალივება მაშინ იწყება, როდე-საც ნიადაგის სითბო სიმინდის ჩათესვის სილრმეზე მიაღწევს  $10-12^{\circ}$ , და, მაშასადამე, თესვის დაწესება მაშინ შეიძლება, როდესაც ნიადაგის სითბო ამ დონემდე ავა. ჩრდილოთ საქართველოს სასელექციო სადგურის მიერ 1953 წელს ჩატარებული ცდებით ჩანს, რომ სიმინდი, დათესილი იმაზე ადრე, ვიდრე ჩათესვის სილრმეზე ნიადაგის სითბო  $10-12^{\circ}$  მიაღწევდა, ძალიან დაგვიანე-ბით აღმოცენდა (იხ. ცხრ. 3).

### ცხრილი 3

თესვის დრო	ნიადაგის $t=10$ სმ სილრმეზე	აღმოცენება	მაშასადამე, 1953
20/I/1	3,9°	39 დღის შემთვევა	წელს თესვის საუკეთე-სო ვადა $10-11^{\circ}$ იყო-
30/III	5,9°	29 " "	შემაღლებულ და მთიან რაიონებში ნიადაგის
10/IV	10,8°	18 " "	ზედა ცენტრი სითბო $10-12^{\circ}$ ბშირად მარ-
20/IV	12,2°	14 " "	ტის ბოლოს ან აპრი-ლის დასაწყისში მიაღ-
27/IV	12,3°	" " "	წევს ხოლმე; მაგრამ,

რადგანაც უზრუნველყოფილი არა ვართ გაზაფხულზე სიცოცების შემობრუ-ნებისაგან და უმეტეს შემთხვევაში შემდევში მეტად უსაიანი დლევები დაღვება-ხოლმე, ტემპერატურის მეტყველა მკვეთრი ხდება, სიმინდის ნორჩი ამონაზარ-

\* ი. ბაბტაძე—სიმინდის ჯიშთაგამოცდის შეუფები საქართველოში. 1937 წ.



დი კი მეტად შერძნობიარეა და ტემპერატურის უმნიშვნელო დაცემის ფრთხოების გადასაც კი ( $-1^{\circ}$ ) საქართვისად ზიანდება, ზოლო— $-20$ -ზე სრულიად ილუბება, მაგრამ სადაც, ამ ზოლში ამ მაჩქენებლის საფუძველზე თესვის ვადის დაღვენისაგან თვეი უნდა შევივავოთ. სულ სხვა გარემობასთან კვაქეს საქმე საქართველოს დაბლობ ზოლში. აქ ტემპერატურის მატებაც და მასთან დაკავშირებით ნიაზავის გამოშრობაც საგრძნობლად სწრაფად ხდება და ასეთ პირობებში სიმინდის თესვა შეიძლება დაწყებულ იქნეს იმ მომენტიდანევე, როდესაც ნიაზავი თესლის ჩათვევის სილრეზე ტემპერატურა 7—80 მიაღწიება.

დოც. ი. ბაბუაძე, იმავე შრომიში აღნიშნავს, რომ აღმ. საქართველოში სიმინდის მასობრივი თესვა შესაძლებელია და აუცილებელიცაა აღრე იქნეს ჩატარებული (1 აპრილიდან) და, როგორც ცდებით გამოირვეა, აპრილის ნათესები ყველა ვადაზე უკეთესს შედეგსაც უწევენტბდა. სამიგრილო, 1 მაისის შემდეგ ყველა ნათესის შემთხვევაში მოსახლის დიდი შემცირება მიიღო.

ამავე საკითხზე პროფ. ი. ლომიური თავის სახელმძღვანელოში აგრეთვე აღნიშნავს, რომ აღმ. საქართველოს პირობებში „სიმინდის თესვის ვადა უფრო განსაზღვრულია და კალენდარულად თავსდება პერიოდში 10 აპრილიდან 1 მაისამდე. შეოლოდ შედარებით უფრო შემაღლებულ ზოლში იგი გადადის მაისის პირველ ათდღიურზე. სიმინდის თესვის პერიოდის ასეთ ჩარჩოში მოქმედის საფუძვლად უდევს ის გარემობა. რომ აღმ. საქართველოში სიმინდის კულტურის ტიპიურ ზოლშიც კი გაზაფხულის პირველი ნახევარი უმეტესწილად არ არის შეარი სითბოს მხრივ და შეუა პარილამდე თითქმის ყოველთვის მოსალოდნელია დაგვიანებული სიცივების შემობრუნება“. გ. ი. აბესაძე და ა. ს. ჯაფარიძე გორის რაიონის სოფ. სკრის კოლეგურნობაში 1940—1941 წლებში ჩატარებული ცდების საფუძველზე, ზემო—ქართლის პირობებში სიმინდის ადგილობრივი ჯიშის „თეთრი კაფოვანისათვის“ თესვის საუკეთესო ვადად აპრილის III დეკადას მიიჩნევნ.

თესვის ვადების საკითხს უკიშირდება საგაზაფხულო კულტურების, კურძოდ, სიმინდის ზაფხულში თესვის საკითხიც, ნაწერალზე მეორე მოსავლის მიღების მიზნით. მაგრამ ჩენ ამ საკითხზე არ შეეჩერდებით.

დიფერენციული მიღებით სავიორო აგრეთვე სიმინდის თესლის ჩათვევის სილრმის განსაზღვრის დროს. მართალია, სიმინდის ჩათვევის სილრმედ ანგარიშობენ ბარცელის სიმსხოს (დამეტრის) 10-ჯერად მანძილს, რაც უფრო ხშირად 5—6 სმ აღწევს, მაგრამ ადგილობრივი ნიადაგური თუ სხვა პირობების მიხედვით მისი ჩათვევის სილრმე შეცვლილი უნდა იქნეს. მაგ., შშროლ რაიონებში შეიძლება დაითესოს 10—12 სმ და იქნებ მეტი სილრმითაც. იმ დროს როდესაც ტენიან და ჭარბტენიან ადგილებში თესვა შეიძლება 5—6 სმ ნაკლებ სილრმეზეც ჩატარდეს. როგორც ვხედავთ, ჩათვევის სილრმე დამოკიდებულია როგორც თვით მცნარის ბიოლოგიურ თვისებებზე (თესლის სიმსხო და სხვა), ისე გარეშე პირობებზეც (კლიმატი, ნიადაგი და

\* გ. ი. აბესაძე და ა. ს. ჯაფარიძე—სიმინდის თესვის ვადა და კვების არე ზემო—ქართლის პირობებისათვის. საქ. სას.-სამ. იმსტიტუტის შრომები, ტ. XXI 1944 წ.



სხვა). ეს საკითხიც მოითხოვს ჩვენს პირობებში მეცნიერულ შესწავლის ამჟამად ჩად ჩვენ მოვავსოვება მხოლოდ მეტად საორიენტაციო ცნობები.

სიმინდა სათოხნი კულტურაა და, მაშასადამე, მის ნათესში მცენარეთ შორისი და მწერივთშორის მანძილი ფართოა. ასეთი კვების არე აუცილებელია სიმინდის წესიერი ზრდისათვის; იგი საჭიროა მისი ნათესის მოვლისას თოხნისა და კულტივაციისათვის, გამოკვებისათვის და სხვა.

მწერივთშორის მანძილის დადგენის ღრუს მხედველობაში იღებენ ორ გარემოებას: 1. კულტურის თავისებურებას და 2. მექანიზაციის პირობებს. ცხადია, ცოცხალ გამწევი ძალის გამოყენების შემთხვევაში მწერივთშორისი მანძილი შეიძლება აღდგულ იქნეს შედარებით ნაკლები (25—30 სმ), ტრაქტორის გამოყენებისას კი—რამდენადმე უფრო ფართო.

კულტურის თავისებურების გათვალისწინებით, თუკი შესაძლებელია მისი კვების არეს რამდენადმე შემცირება, უფრო მიზანშეწონილია ფართობის ერთეულზე მცენარეთა მეტი რიცხვის დატვა და ამით მოსავლის გადიდება. ასე შეიძლება მივუდვეთ ისეთ სათოხნ კულტურებს. რომელთაც მიწისშედა ნაწილის დატოტვა არ ახასიათებთ და ბარტყობაც ან სულ არა აქვთ, ან უმნიშვნელოა. ასეთია სიმინდის კულტურა. სოფლის მეურნეობის ცნობილმა მოწინავე მუშავება მარკ ღიზირინიშ (უკრაინის სსრ) თავის ნაკვეთშე სიმინდის ნათესის სიხშირე ჰქექტარზე 45 ათას ძირამდე აიყვან და სარეკორდო მოსავალიც (220 ცენტნ. ჰქექტარზე) მიიღო. ასეთივე მაგალითი გვაძეს საქართველოს სინამდვილეშიც. გალის რაიონის რეფოშესელეთის კოლმეურნეობის მერგოლურმა ტერენტი იბუბაძიმ 1946—1947 წწ. სიმინდის რიცხვი ჰქექტარზე 50 ათასამდე აიყვანა. ასევე გაზარდეს ამ მცენარის რიცხვი და სარეკორდო მოსავალსაც მიაღწიეს სოფლის მეურნეობის სახელგანთქმულმა მოწინავეებმა ჩიქოლი ქაზახიამ და ძუკუ რიგვავამ. კერძოდ, ძუკუ რიგვავამ 1947 წ. სიმინდის ნათესში მწერივთშორისი მანძილი 50 სმ, ხოლო მწერივში მცენარეთა შორის 30 სმ დატოვა. ამ პირობებში ჰქექტარზე 63 ათასი მცენარე შეინარჩუნა და მაღალმოსავლიანი აგროტექნიკის გამოყენებით მიიღო უდიდესი მოსავალი (200,4 ცენტნერი, ხოლო 1949 წ.—222,8 ცენტნერი ჰქექტარზე).

პროფ. ი. ლომიძემ იმავე შრომაში აღნიშნავს: ნათესის ისეთი სიხშირე, რომელიც ოპტიმალური იქნება უმაღლეს მოსავლის მისაღებად, არ არის და არც შეიძლება იყოს ერთხაირი ყოველგვარ პირობებში. კონკრეტულ შემთხვევებში მისი დადგნის ღრუს გათვალისწინებული უნდა იყოს: კულტურის მიზანი, ჯიშის ხასიათი, ნათესის მოვლისა და მოსავლის აღების წესი, ზრდა-განვითარების (ცენტროგუშ-სამეურნეო) ხასიათი. ამ მარივ განსაკუთრებით ყურადღალებია კვების პირობები. შემჩერულია, რომ ერთი და იმავე ჯიშის შემთხვევაში და ერთხაირ კლიმატურ გარემოში ნათესის ოპტიმალური სიხშირე შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს ნიადაგის შევებავი ძალის მიხედვით. ნოუიერ, წყლითა და საკვები ნივთიერებით მდიდარ ნიადაგზე შესაძლებელია მცენარეთა უფრო მჭიდროდ განლაგება, ე. ი. უფრო მეტი რაოდენობით ნორმიალურად განვითარებული მცენარეების აღზრდა, ვიდრე ამ ფაქტორების მხრივ

\*—ა. ს. ჯაფარი ძველი სიმინდის კულტურის აგროტექნიკა, 1936 წ.



უფრო ლარიბ ნიადაგშე .. და ცოტა ქვემოთ — „ნითესის ის ოპტიმიზმურის ინიციატივას შეირჩეოდა, რომელიც შედარებით დაბალ აგროტექნიკურ ფონზე ჩვეულებრივ გადამოიყენებოდა მოიხატება ჰექტარზე 25—30 ათასი ძრისთ, სრულიად აღიარ არის სექტარისი მაღალმოსავლიანი აგროტექნიკის პირობებში, როდესაც შესაძლებლობა გვეძლევა ოჯავრ და სამჯერ გავაზარდოთ მცენარეთა რიცხვი ფართობის ერთულზე და ამით უზრუნველყოთ სარეკორდო მოსავალი ფართო წარმოების პირობებშიც“.

ამ საკითხის, ე. ი. სიმინდის მოსავალზე თესვის სიხშირის გავლენის შესწავლას 1914—1918 წლების განმავლობაში აჭარმოებდა ქუთაისის (ჯავაშეთის) საცდელი სადგური. მინდერის ცდების გზით სწავლობდნენ სხვადასხვა კვების არეს გავლენას სიმინდის ჯიშის — იმერული ჰიბრიდის მოსავლიანობაზე\* (იხ. ცხრილი 4).

#### ცხრილი 4

თესვის სიხშირის გავლენა ხიმინდის მოხავალზე. მარცვლის მოხავალი ცენტრრობით ჰექტარზე

კვების არე	მცენარეთა რაოდნობა		1914 წელი		1915 წ.		1916 წ.		1918 წ.	
	1 მ <sup>2</sup> -ზე	1 ჰექტარზე	ცლა-ზე	ცლეშვრობი	აჯამებული	აჯამებული	აჯამებული	აჯამებული	აჯამებული	აჯამებული
71x18=0,13	7,70	77000	—	—	—	—	8,26	8,15	—	—
71x35=0,25	4,00	40000	8,67	—	—	—	28,58	13,21	26,37	—
71x52=0,36	2,80	28000	6,98	24,90	54,22	28,03	20,56	34,43	—	—
71x71=0,49	2,04	20400	6,84	20,80	50,00	24,65	22,79	36,22	—	—
71x87=0,60	1,66	16600	5,85	17,15	47,11	19,60	22,13	34,56	—	—
71x105=0,74	1,35	13500	5,12	12,86	—	—	—	—	—	—

აღნიშნული ცდების პირობების დაწვრილებით გაცნობა კვინტენბს. რომ:  
1) სიხშირის მომატებასთან ერთად სიმინდის მოხავალიც მაღლობს; 2) შედარებით ნაყოფიერი ნიადაგისათვის უკეთესი კვების არე 0,36 მ<sup>2</sup>, ანუ ჰექტარზე 28000 მცენარე, ხოლო ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგისათვის —0,25 მ<sup>2</sup>, ანუ 40000 მცენარე ჰექტარზე; 3) თუ ნალექების სიმცირე არ იგრძნობა, საშუალო ნაყოფიერების ნიადაგებშე დიდი მოხავალი მიიღება, როდესაც კვების არე 0,36 მ<sup>2</sup>-ია (28000 მცენარე). ხოლო ნალექების სიმცირის პირობებში მაშინ, როდესაც კვების არე 0,60 მ<sup>2</sup> (16600 მცენ).

როგორც ჩანს, ეს საკითხი მემალლებული და მთიანი რაიონებისათვის ჯერ არ არის შესწავლილი. ყოველ შემთხვევაში სათანადო მასალა ჩვენ ხელთ არა კვერცია. ეს არ ვიხილავთ ა. ჯაფარიძის შორაცემებსაც, რადგან ის სავასაკითხს შეეხება.\*\*

\*—Аджакаметская опытная станция. Краткий отчет по Кутаисскому опытному полю за 1914, 1915, 1917 и 1918 гг.

\*\*—ა. ჯაფარიძე—სიმინდის ნათესის ჯაფარედინ-შექანიზებული დამტკიცება. გვ. 62. მუშინდურების ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1945 წ.

იღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი ცდები ჩატარდა 1934—1940 წლებში სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში და შესწავლილ იქნა სხვადასხვა კვების არეს გავლენა სიმინდის შემდგენ ჯიშების—„იმერული პიბრინის“ „კრუგ-კორნის“, „მინებოტა-13“-ის და „ჩოქელას“ მოსავლიანობაზე“ (იხ. ცარილი 5).

ცხრილი 5  
თესვის სიბშირის გავლენა ნიმინდის  
მოსავალზე. იმერული პიბრინი.  
გარდაბანი (ზარწყვავი) 1939 და 1940 წ.წ.  
ცდა ა- კოპალეიშვილის

კვების არე	მცუნარეთა რაოდენობა		მარცვლის ორი წლის საშეალო მო- სავალი ც/ჰეკ.
	1 მ²-ზე	1 გვერაზე	
20x50=0,40	2,5	25000	36,93
30x40=0,32	3,12	31200	36,69
80x30=0,24	4,2	42000	38,94
80x20=0,16	6,25	62500	37,01
70x50=0,35	2,85	28500	44,02
70x40=0,28	3,57	35700	44,32
70x30=0,21	4,76	47600	45,36
70x20=0,14	7,10	71000	40,39

ან ჯიშისათვის როგორც დასავლეთ, ისე იღმოსავლეთ, ისე იმინდისავლეთ საქართველოს შედარებით ნაკლები ნაყოფიერების ნიადაგზე კვების არედ 0,25—0,35 მ², ხოლო უფრო ნაყოფიერი ნიადაგის პირობებში კვების არე შედარებით ნაკლებია იმა. საქართველოში — 0,21 მ² და მეტია დას. საქართველოში — 0,36 მ².

მსგავსი ცდები ჩატარებულ იქნა საქ. სასელექციო სადგურის მიერ ითა-ბი წლის (1934—1937) მანძილზე და შესწავლილ იქნა „კრუგ-კორნის“-ს ჯიშის სიმინდის თესვის სიბშირის გავლენა მის მოსავლიანობაზე (იხ. ცარილი 6).

როგორც ცდების პირობების დაწვრილებით გაცნობა გვიჩვენებს, სიმინ-დის აგრძელებულ საგვიანო ჯიშ „კრუგ-კორნის“-ათვის ტენიან წლებში კვების არედ აღებული უნდა იქნეს 0,18—0,24 მ², გვალეან წლებში კი — 0,32—0,40 მ². ცხრილში ნაჩვენები მოსავლის სიდიდეები ითაბ წლის საშუალოებს წარმო-დგენენ. ამ მონაცემებით ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი 0,18 მ² (90×20) კვების არეს შემთხვევაშია მიღებული, მაგრამ მას მაარს არ უკერს თვითონ ვ-კოპალეიშვილიც, რადგან, როგორც იგი აღნიშნავს, ამ შემთხვევაში მც-ნატეთა მორის მანძილი იმდენად პატარაა, რომ აზოულებს გამეჩერებას და თოშით გაფარეორებას; გარდა ამისა, ხდება ნათესის ნაწილობრივი ჩაწი-

\*—ვ. კოპალეიშვილი — სიმინდის კვების არეს დადგენისათვის ქართლის დაბლობი. საქ. მუნ. აკადემია. მემონდვრულის იმსტიტუტი, შრომები ტ. I, 1945 წ.

როგორც ვეცდავთ, იღმოსავლეთ საქართველოს პირობებშიც — იმერული პიბ-რინის ჯიშის სიმინდის თეს-ვის სიბშირეზე ჩატარებული ცდების შედეგად მიღებული მონაცემები უაბლოვდება ჭინ განძილულ მასალას იმ მდრივი, რომ, როგორც ცდების პი-რობების დეტალური გაც-ნობით ჩას, შედარებით ნაკლებად ნაყოფიერ ნია-დაგზე ოპტიმალური კვების არე 0,28—0,35 მ²-ია, ხოლო უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე უკეთეს შედეგს იძლევა 0,21 მ² სიდიდის კვების არე. ამგვარად, სიმინდის ამ გვი-

ანა ჯიშისათვის როგორც დასავლეთ, ისე იღმოსავლეთ საქართველოს შედა-

რებით ნაკლები ნაყოფიერების ნიადაგზე კვების არედ აღებული უნდა იქნეს

0,25—0,35 მ², ხოლო უფრო ნაყოფიერი ნიადაგის პირობებში კვების არე შე-

დარებით ნაკლებია იმა. საქართველოში — 0,21 მ² და მეტია დას. საქართველო-

ში — 0,36 მ².



„კრუპ-კორნი“ ახალებანი (ხარწყავი) 1934, 1935, 1936, 1937 წ.წ.  
(ცდა ა. კვანტკალანისა)

კვების არე	მცენარეთა რაოდენობა		მარცვლის მოსავალი გ/ჰეტ-ზე 4 წლის საშ.
	1 გვ. ზე	1 ჰეტ-ზე	
90x50=0,45	2,2	22000	43,3
90x40=0,36	2,8	28000	48,5
90x30=0,27	3,7	37000	52,9
90x20=0,18	5,5	55000	55,9
80x50=0,40	2,5	25000	47,2
80x40=0,32	3,12	31200	51,7
80x30=0,24	4,2	42000	54,6
80x20=0,16	6,25	62500	68,5

ლა სარწყავ პირობებში, და განსაკუთრებით მიუღებელია ისეთი ჩაიონები-სათვის, სადაც ხშირი და ძლიერი ქარები იცის ზაფხულობით, მაგ., გარდაბნის, საგარეჯოს, მცხეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონებისათვის.

სიმინდის მოსავლიანობაზე თესვის სიხშირის ვაკლენის შესწავლის თაოლ-საზრისით ჯიშ „მინეზოტა-13“-ზე მინდერის ცდები იქნა ჩატარებული ტი-რიფონის ველზე 1939—1940 წლებში ძველალუვისურ საშუალო ნაყოფიერების სარწყავ ნიადაგზე (იხ. ცხრილი 7).

## ც ხ რ ი ლ ი 7

„მინეზოტა-13“ ტირიფონის ველი (ხარწყავი) 1939—1940 წ.  
ცდა ა. კენტრა-შევილის მონაწილეობით

კვების არე	მცენარეთა რაოდენობა		მარცვლის მოსავალი გ/ჰეტ-ზე ორი წლის საშუალო
	1 გვ. ზე	1 ჰეტ-ზე	
80x50=0,40	2,5	25000	21,3
80x40=0,32	3,12	31200	18,3
80x30=0,24	4,2	42000	15,7
80x20=0,16	6,25	62500	15,5
70x50=0,35	2,85	28500	25,4
70x40=0,28	3,57	35700	22,1
70x30=0,21	4,76	47600	16,0
70x20=0,14	7,10	71000	18,3

\*—საში წლის საშუალო.

ამ ცხრილით ჩანს, რომ სიმინდის ჯიში „მინეზოტა-13“ ყველაზე უკეთ თეს მარენებელს იძლევა 0,35 მ<sup>2</sup> კვების არეს პირობებში და ამავენაზე ჩამორჩება 0,28 მ<sup>2</sup> კვების არეს შემთხვევაში.

ხაშურის რაიონში ურწყავ პირობებში 1939—1940 წ. „ჩოქელა“ სიმინდე ხატარებულმა მინდვრის ცდებმა უჩვენა (იხ. ცხრილი 8), რომ ამ ჯიშის სიმინდისათვის ოპტიმალურ კვების არეს 0,21—0,24 მ<sup>2</sup> წარმოადგენს.

#### ცხრილი 8

ჩოქელა. ხაშურის რაიონი (ურწყავი) 1939—1940 წ.  
(ცდა ს. ღულუნარის მონაწილეობით)

კვების არე	მცენარეთა რაოდენობა		მარცვლის მოსავალი ტ/ჰეტ-ზე 2 წლის საშუალო
	2 მ <sup>2</sup> -ზე	1 ჰეტ-ზე	
78x50=0,39	2,56	25600	19,76
78x40=0,31	2,22	32200	22,03
78x30=0,23	4,34	43400	23,28
78x20=0,16	6,25	62500	23,16
70x50=0,35	2,85	28500	21,68
70x40=0,28	3,57	35700	23,10
70x30=0,21	4,76	47600	24,43
70x20=0,14	7,10	71000	23,92
60x50=0,30	3,33	33300	22,08
60x40=0,24	4,20	42000	24,17
60x30=0,18	5,55	55500	23,07
60x20=0,12	8,33	83300	21,67

თუ შემოთ მოყვანილ მასალის ერთხელ კიდევ გადავავლებთ თვეალს, დავინახავთ, რომ სხვადასხვა კლიმატურ და ნიადაგურ პირობებში სიმინდის აქ განახლებული ყველა ჯიშისათვის. საერთოდ, კვების ცდებულ ოპტიმალურ არეთა სიღიდე თავსდება 0,18—0,40 მ<sup>2</sup> ფარგლებში, ანუ ჰეტტარზე 25000-დან 55000 სიმინდის ძირი. აღნიშნულ ცდებში სიმინდი არ ითესებოდა კვადრატულ-ბუდობრივი წესით და ორც მაღალმოსალიანი ავროტექნიკა ყოფილა გამოყენებული (იხ. ცხრილი 9).

ჩრდილოეთ მერიკის შტატ აიოვას საცდელი სადგურის მონაცემებიდან დაასკვნიან, რომ ჰეტტარზე მცენარეთა რიცხვის 10000 გაზრდა მაღალნაყოფიერ და კარგად განოყიდებულ ნიადაგებზე იწვევს სიმინდის მარცვლის მოხველის 5—10 ც გადიდებას.\*

მაგრამ ამავე დროს აღნიშნავთ, რომ ყოველი ცალკე მცენარისათვის კვების არეს შემცირება ნაყოფიერი, კარგად განოყიდებული ნიადაგის შემ-

\*—Г. Иоллес, Е. Бressman—Кукуруза и ее возделывание, Москва, 1954 г.

სიმინდის ჯიშები	ცდის პირობები	კვების არე	მცუნალეთა რაოდენ.		მცუნალეთის მოცულება
			1 გა-ზე	1 გეგეტ-ზე	
დასაფლეთ საქართველო					
1. „იმერული ჰიბრიდი“	ა. შედარებით წაყ. წიაღ. 0,36	71x52	2,8	28000	54,22
	ბ. წაყლები „ „ 0,25	71x35	4	40000	28,58
აღმოსაფლეთ საქართველო					
1. „იმერული ჰიბრიდი“	ა. შედარებით წაყ. წიაღ. 0,21	70x30	4,76	47600	45,36
	ბ. წაყლები „ „ 0,28—0,35	70x40 70x50	3,5—2,8	35700	44,32
				28500	44,02
2. „ტობა-კორნი“	ა. ტერიან წლებში 0,18—0,24	90x20 80x30	5,5—4,2	55000	65,9
				42000	54,6
	ბ. ვეალერიან წლებში 0,32—0,40	80x40 80x50	3,12—2,5	31200	51,7
				25000	47,2
3. „შინეზორა“	სარწყავ წიაღაგზე 0,28—0,35	70x40 70x50	3,57—2,85	35700	22,1
				28500	25,4
4. „ჩოტელი“	ურჩისავ წიაღაგზე 0,21—0,24	70x30 60x40	4,76—4,20	47600	24,43
				42000	24,17

Glossary 10

ნაოისის სიმირნისა და განოუზერების გაყლენა მოხადალზე

ନିବାରୁକ୍ତି	ମିଶ୍ରନାର୍ଥତା ରୂପରେନର୍ବା		ମିଶ୍ରନାର୍ଥତା ପ/ଶୈଳୀ-୩୫	
	ପ୍ରସ୍ତରଣାଶି ସା- ରୋଲଟାର୍ଡ	୧ କ୍ଷେତ୍ର-ଖଣ୍ଡ	ମିଶ୍ରନାର୍ଥତା ପାର୍ଶ୍ଵକ୍ଷେତ୍ରରେ	ସାଧାରଣ ପ୍ରସ୍ତରଣାର୍ଥତା
ମେଲିମ୍ବ ତାନ୍ଦିନାନ୍ତି (ଶ୍ରେଷ୍ଠପ୍ରକାଶକ ପ୍ରକାଶକ)	{ 2,0 3,0 3,8 4,5	19500 29500 372'0 44000	37,6 43,3 48,9 51,4	32,0 37,0 41,4 34,5
ତାନ୍ଦିନାନ୍ତି (ଶ୍ରେଷ୍ଠପ୍ରକାଶକ ପ୍ରକାଶକ)	{ 1,9 2,6 3,2	19000 25500 31500	40,1 45,2 53,2	34,5 43,9 47,0
ଶାଖିର୍ବ୍ୟାର୍ପ୍ଲାଟି ତାନ୍ଦିନାନ୍ତି (ଶ୍ରେଷ୍ଠପ୍ରକାଶକ ପ୍ରକାଶକ)	{ 2,5 3,4 4,1 4,5	24500 33750 40500 44000	68,4 77,8 84,0 85,9	67,1 80,3 85,3 79,7

თვეუებაშიც იწვევს ტარობის ზომის შეტეირებას. ამას მკაფიოდ აღისტურებს საქ. მემინდვრების ინსტიტუტის მიერ 1945—1946 წლებში ჩატარებული კვლები (იხ. კერძო 11).

စဉ် အ မြန်	ပြည်မှုပျောက် လုပ်ငန်း		ရုပ်သွေ့က			ပုဂ္ဂန်လုပ်		
	1 မီ <sup>2</sup> -နှေ	1 မီ <sup>2</sup> -နှေ	ပုံပိုင်လုပ်	ပုံပိုင်လုပ်	ပုံပိုင်လုပ်	ပုံပိုင်လုပ်	ပုံပိုင်လုပ်	ပုံပိုင်လုပ်
0,32	3,12	31200	3,6	188	25,8	1,3	178	35,0
0,24	4,2	42000	4,7	145	29,9	2,5	178	38,0
0,18	5,55	55500	9,5	107	28,6	3,0	133	43,9
0,16	6,25	62500	6,2	96	28,5	4,8	126	39,0
0,12	8,33	83300	10,2	72	26,0	5,0	98	40,5
0,08	12,5	125000	19,7	65	20,1	13,9	65	33,8

— საქ. შემინდურების ინსტიტუტის გარდაბნის ბაზაზე 1952 წ. შესწოვლილ იქნა სიძინდის ჯიშ „ქართული კრუგი“-ს ცენტრულ-ბუღდობრივად ნათესის სხდირის გაფლენა მის ზრდა-განვითარებაზე. გამოირკვა, რომ ბუღდნებში მცუნარეთა რაოდენობის გადიდებასთან ერთად მცუნარები ერთხანს სიმაღლეში იზრდებიან. შეგრძნების შემდეგ უკვე კვების ორეს შესაბამისად მათი ზრდა-განვითარება წელიწება: მცირდება ლეროს დიამეტრი, იზრდება პირველი ტაროს გამოტანის ადგილის სიმაღლე, უტაროვ მცუნარეთა რაოდენობა, მცირდება ტაროს საშუალო წონა და სხვა. ყველაზე უკეთესი შედეგი მიღებულ იქნა მაშინ. როდესაც ბუღდნებს ზორის მანძილი 70 სმ იყო, ბუღდაში კი—2 მცუნარე. ეს საკონტრი ჩერზში გულდასმით შესწავლას მოიხსენოს.

საყოველთაოდ შილებულია, რომ სიმინდა ყველგან ითესებოდეს კვადრა-ტულ-პუთიძებრივი წესით.

ბუღდობრივ თესებას შეერთ დადგებითი მხარე აქვს (მცნობის მიერ კვების ფართობისა და სინათლის შეტენი გამოყენება, თესლის ეკონომიკა და სხვა); მთავარი კი ის არის, რომ იგი ნათესების მოვლის შექანიზაციის დიდ შესაძლებლობას იძლევა. მისითების პირველ რიგში საჭიროა, რომ ბუღდნების მწერივები ზუსტად სწორად შეიძლონ იყოს.

ფართო შექანიშაციის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ბუდობრივი თესვა, როდესაც მწყრივები ორი პერპენდიკულარული მიმართულებით (ჯვარედინიძე) არიან განლაგებული. ასეთ ნაკვეთებს, როგორც ცნობილია, ჰადრაცული, უკათ ფარდრატულ-ბუდობრივი თესვა ეწოდება. აქ სრული შესაძლებლობა გვაქვს ნათესების მოელა (კულტივაცია) მთლიად მექანიზებული წესით ვაწარმოოთ (ჯვარედინი მიმართულებით). ამისათვის აქ კიდევ უფრო საჭიროა, რომ მწყრივები ორივე მიმართულებით სწორხაზოვნები იყოს.



ტორის მანქანები, როგორიცაა სშ-6, ან უფრო გაუმჯობესებული სკგ-6, ჰიდროკუპა და სხვ., რომელიც დადებითად ზუსტად განსაზღვრული რაოდენობის თესლს ვერ ათავსებენ: თუ თესლი წვრილია, ბევრი ცვივა, თუ მსხვილია—უორა, ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება თესლის ეცრეთ წოდებული დაყალიბება-გამოთანაბრების გზით.

თესლის ნორმის დადგენისას მარცველობაში უნდა იქნეს მიღებული მრავალი პირობა—სათესი მასალის ლირსება, თესვის წესი, მცუნარის ზრდა-განვითარების პირობები და სხვა.

საერთოდ ცნობილია, რომ თუ გავაუმჯობესებთ მცუნარის ზრდა-განვითარების პირობებს, თესვის ნორმა შესაბამისად უნდა ზემოქმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თესვის ნორმა უნდა გადიდეს. გამონაკლისს შეადგინს წყლის ფაქტორი. თუ წყლის ნაკლებობაა, ნორმას ამცირებენ. ამიტომ ერთი და იმდევ ჯიშისათვის თესლის ნორმა რამდენადმე მეტი იქნება სარწყავ მიწებზე, ურწყავ მიწებზე კი—ნაკლები. საერთოდ, წმინდა (სუფთა) ნათესის შემთხვევაში სიმინდი ერთ პექტარზე ითესება საშუალოდ 20—32 კგ რაოდენობით. რაც საესპერიტო უშროებელყოფს ნათესის სიაშირეს. შერეულ და ავრეთვე მშერივიად თესვის დროს სიმინდის სათეს ნორმას ამცირებენ. ასე, მაგალითად, სიმინდის კვადრატულ-ბულობრივი წესით თესვისას სტეპიან მშრალ რაონებში თესვის ნორმა 1 პექტარზე შეადგენს 20—25 კგ, ტენიან რაონებში კი—28—32 კილოგრამს.

სიმინდის საკვაშირო იმსტიტუტში (დნეპროპეტროვსკი) 1956 წლის მარტის დამლევს ჩატარებულ საკუშირო თათბირზე,\* რომელიც მიღებუნა სიმინდის პიბრიდული თესლის წარმოების საკითხებს, ალინიშვილი, რომ სიმინდის მოყვანის პრაქტიკაში ჯერ კიდევ იგრძნობა იშირი ნათესებისადმი ტენდენცია. კერძოდ, სსრკ-ის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ რაიონებშიც სიმინდი ითესება 70×70 სმ და თითქმის ყველგან ბუდნაში ორ-ორ მცენარეს სტროვებენ; ეს პექტარზე 40 ათას მცენარეს შეადგენს. თათბირზე გარკვევით აღინიშვა, რომ მშრალი და ნახევრიადმშრალი სტეპის რაიონებისათვის ეს სიაშირე აშეარად გადამეტებულია. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ამ პირობებში ასეთი სიაშირის ნათესი, ნაკლები სიაშირის ნათესთან შედარებით, ჩალის გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა, მარცვლის მოსავალი კი წელთა მანძილზე მცირდება.

ნათესის სიაშირის დიუტრენციული მიღებომით დადგენისას, გარდა ბუნებრივი პირობებისა, მარცველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე სიმინდის ამა თუ იმ ჯიშის თავისებურებანიც. ასე, მაგალითად: ცატიბილია, რომ თუ სიმინდის აფრეული და დაბალტანიანი ჯიშების თესვის შემთხვევაში შეიძლება ნათესის სიაშირე რამდენადმე გადადეს, გვიანი მაღალტანიანი ჯიშების შემთხვევაში, პირიქით, ნათესის სიაშირე მცირე უნდა იყოს აღებული.

\* Всесоюзное совещание по производству гибридных семян кукурузы. Сельхозгиз, 1956 г.

საქართველოში სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ რაიონებში, ჩვენი  
გამოცდილების დღევანდელ ეტაპზე, თავისუფლად შეიძლება პეტრი ფრანკი  
თობზე 40—45 ათასი ძირი სიმინდის შენარჩუნება, ხოლო ურწყაჭ, გვალვინი,  
ნაკლებად ნაყოფიერ ნიადაგების პირობებში ნათესის სიხშირე არ შეიძლება  
მაღალი იყოს. ამ პირობებში კვების არედ  $70 \times 70$  სმ. ალება და ბუღნაში  
ორი და მეტი მცენარის დატოვების საკითხი ექსპერიმენტულ შესწავლას  
მოითხოვს.

---

თემ. ბიოლოგ. მეცნ. კ. ნ. გ. 6. ჩანთაძე

## სიმინჯის ზრდა-განვითარება ბუღლის თემის კონკრეტული

მოვლი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბუღლობრივი გაშენების შესი მტკიცებ დამკიცებული პრაქტიკაში. ეს ღონისძიება განსაკუთრებით ფართოდ სიმინჯის მიმართ არის გამოყენებული.

ცნობილია, რომ ყოველგვარი ავტოტექნიკური ღონისძიება, რაც ამათუ იმ მცენარის მიმართ გამოიყენება, თვით მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებასთან არის შეფარდებული. მაგრამ ამასთან ერთად ცხადდა ისიც, რომ, როგორც ადამიანი კულტურულმცენარეს გარკვეულ საარსებო პირობებს უქმინის, ის ხელმძღვანელობს არა იმით, თუ მცენარისათვის, როგორც ორგანიზმისათვის, რა არის უკეთესი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ მიიღოს ამ ცენარიდან რაც შეიძლება მეტი და უკეთესი პროდუქცია, მიიღოს ის, რასაც მოსავალს ვეძახოთ.

მოსავალი ბიოლოგიური ცნება არაა. იგი მხოლოდ აერონომიული ცნებაა. მაგალითად, როგორ ვამზობოთ: ფესვი, ლერო, ფოთოლი, ყვავილი, თესლი, ჩევნის ცნობიერებაში თვითოეული მათგანი აღიქმება ერთიანი და თანაბარი მნიშვნელობით ყველა მცენარისათვის. მოსავალში კი თუმცა საერთოდ ყველა ჩამოთვლილი ორგანო ან ნაწილი იგულისხმება. მაგრამ მხოლოდ იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი მცენარიდან არის მიღებული და რისთვის ესავირობა ის ადამიანს. მოსავალი ხორბლიდან, — ეს თესლია; ჩაი მოსავალის სახით ფოთოლს გვაძლევს, ქარხალი — ძირს, ვაშლი — ნაყოფს, ბაბუკი — ლეროს და ასე შემდეგ. ზოგჯერ ამა თუ იმ მცენარის ერთი ნაწილი წარმოადგენს მოსავალს, ზოგჯერ კი — მეორე. მაგალითად, შეიძლება სიმინდს არ მიკცეთ ვიგრძელის დასრულების შესაძლებლობა და მისგან მოსავალი ავილოთ დერთულობების სახით სილოსის დასამზადებლად. ასე რომ, ორგანიზმზე მიმართულებრივი ზემოქმედებისას ადამიანი ამ ორგანიზმის ბიოლოგიურ თავისებურებებს ანგარიშს უწევს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს თეოთ მისთვის, ადამიანისთვის არის საჭირო. იგი ცდილობს ორგანიზმი შეინარჩუნოს იმ ტროის მანძილზე და იმ პირობებში, რაც საჭიროა მისგან ადამიანისათვის სასარგებლო პროდუქციის — მოსავალის მისაღებად.

ასევე ბუღლობრივი თესვის შემთხვევაშიც და ამიტომ საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ თითქოს ამ ღონისძიების მიზანშეწონილობა სახეო-



ბის შიგნით ინდივიდუალთა შორის რაღაც თავისებური, ხელსაყრელი კრიტიკული ერთობის არსებობით არის განიტონებებული.

მცენარეთა შიგასახეობრივი და სახეობათაშორისი ურთიერთობის შესწავლას ჩვენ მთელი რიგი წლების მანძილზე ვაწარმოებდით. ამ სტატიაში გადაწყვეტლია ზოგიერთი შედეგი იმ მუშაობისა, რაც სიმინდზე იქნა ჩატარებული.

ცდები წარმოებდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თბილისის სასწავლო მეურნეობაში (1948 და 1951 წ.), გორის რაიონის სოფ ქვემო-რებას კოლმეურნეობაში (1949 წ.), გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო ნაკვეთზე (1950 წ.), მეცნიერებულებრივი ინსტიტუტის დილმის მეურნეობაში (1951 წ.), სოფ. დილმის კოლმეურნეობაში (1951 და 1952 წ.წ.).

ცდების სქემა და მუშაობის მასშტაბი წლებისა და ადგილის მიხედვით სხვადასვანიარი იყო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს მიღებულ შედეგებს ერთგვარად უფრო დამაჯარებელსა ხდის.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეურნეობაში 1948 წ. ჩატარებულ ცდაში აღებული გვერნდა ოთხი ვარიანტი ბუღაში მცენარეთა რაოდენობის მიხედვით, სახელდობრ: ერთ, ორ, სამ და , ოთხმცენარიანი ვარიანტები. მანძილი მცენარეთა შორის 70 სმ-ით, ხოლო მცენარეში ბუღნათა შორის 40 სანტიმეტრით განისაზღვრებოდა. მცენარეები ბუღაში ერთმანეთთან ძალიან შეიციდოდ იყვნენ განლაგებულნი; მათ შორის რამე მანძილი არ არსებობდა: ასე იყო სხვა ცდებშიც.

მოსავლის აღრიცხვის შედეგები მოცემულია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1

მაჩვენებლები	ვარიანტები ბუღნაში				
	მცენ. რაოდ. მიზედ.	1 მცენარე ბუღნაში	2 მცენარე ბუღნაში	3 მცენარე ბუღნაში	4 მცენარე ბუღნაში
1	2	3	4	5	
სულ მცენარეთა რაოდენობა ნაკვეთზე .	214	348	525	784	
ტაროთა მთლიანი რაოდენობა . . . .	242	333	431	405	
ტაროთა მთლიანი წონა კოლოგრამობით	56,5	57,0	70,0	50,0	
ტაროს მთლ. ჭ. % - ბით კონტრ. მიმართ	100	100,8	122,1	88,5	
ტაროს საშუალო წონა გრამობით . . .	233	171	162	123	
ტაროს საშუალო წონა % - ბით . . . .	100	73,3	69,5	52,8	
ტაროს რაოდენობა საშუალოდ მცენარეზე	1,13	0,95	0,82	0,52	
ტაროს რაოდენობა საშუალოდ მცენარეზე % - ბით . . . .	100	84,0	72,5	46,0	
ტაროს წონა საშუალოდ მცენარეზე კრ.	264	164	133	64	
ტაროს წონა საშ. მცენარეზე % - ბით . .	100	62,1	50,6	24,6	

	1	2	3	4	5
უტარის მცენარეთა რაოდენობა . . . . .	—	15	94	379	
უტარის მცენარეთა რაოდენობა გარიან- ტში %/ე-ბით . . . . .	—	4,3	17,9	48,3	
ჩალის მთლიანი წონა კგ . . . . .	40	57	74	97	
ჩალის მთლიანი წონა %/ე-ბით . . . . .	100	142,5	185,0	242,5	
ერთი მცენარის ჩალის წონა გრამობით	187	163	141	125	
ერთი მცენარის ჩალის წონა %/ე-ბით . .	100	87,1	75,4	66,8	

ცხრილში მოყვანილი ციფრების მიხედვით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორმცენარიან ბუდნათა შოსავალი საკონტროლოსაგან არ განსხვავდება. ეს, რა თქმა უნდა, კანონიშიმიერული მოვლენა არაა და სხვა ცდების მონაცე-  
მები ამას ადასტურებს. აქ არსებული შეუსაბამობის ერთ-ერთი მთავარი მიზე-  
ზი უკეთესად ის არის, რომ ორმცენარიან ვარიანტში მცენარეთა რაოდენო-  
ბა საერთოდ არ იყო იმდენი, რამდენიც ცდის სქემის მიხედვით უნდა ყოფი-  
ლიყო; ნაცვლად 428 მცენარისა, ნაკვეთზე მხოლოდ 348 აღმოჩნდა. სამმცე-  
ნარიან ვარიანტშიც შედარებით დაბალი საერთო მოსავლის ერთ-ერთ მიზე-  
ზად იგივე უნდა ჩავთვალოთ. რაც შეეხება ოთხმცენარიან ვარიანტს, აქ, პი-  
რიქით, დაბალი მოსავლიანობის მიხეზი მცენარეთა სიმრავლეა.

1951 წელს მოსავლის აღრიცხა ჩატარდა ვარიანტების მხოლოდ იმ ბუდ-  
ნებიდან, რომლებშიც ცდის სქემით გათვალისწინებული რაოდენობა მცენა-  
რებისა ნამდვილად იყო. ასეთი ბუდნები ერთმცენარიან ვარიანტში აღმოჩ-  
ნდა 215, ორიანში — 187 და სამიანში კი — 115 (ოთხმცენარიანი ვარიანტი ცდა-  
ში არ გვქონდა). მონაცემები წარმოდგენილია მეორე ცხრილში.

## ცხრილი 2

ვარიანტები რაოდენობის მიხედვით	1 მცენარე ბუდნაში	2 მცენარე ბუდნაში	3 მცენარე ბუდნაში	
	1	2	3	4
სულ ბუდნათა რაოდენობა . . . . .	215	187	115	
მცენარეთა რაოდენობა . . . . .	215	374	345	
ტაროთა მთლიანი რაოდენობა . . . . .	172	296	245	
ტაროთა მთლიანი წონა კგ . . . . .	22,0	30,5	20,0	
ტაროთა მთლიანი წონა %/ე-ბით . . . . .	100	138,6	90,9	

1	2	3	4
ტურის ხაშუალო წილი გრამ. . . . .	127	103	82
ტურის საშუალო წილი %/ებით . . . . .	100	81,8	63,0
ტურის რაოდენობა საშუალოდ მცუნარეზე . . . . .	0,80	0,79	0,71
ტურის რაოდენობა საშუალოდ მცუნარეზე %/ებით .	100	98,5	88,7
ტურის საშუალო წილი მცუნარეზე გრამ. . . . .	102	81	58
ტურის საშუალო წილი მცუნარეზე %/ებით . . . . .	100	79,4	56,8
ტურის წილი 1 ბრუნაზე გრამ. . . . .	102	163	173
ტურის წილი 1 ბრუნაზე %/ებით . . . . .	100	159,8	169,6
უტარი მცუნარეთა რაოდენობა . . . . .	43	78	100
უტარი მცუნარეთა რაოდენობა კარიბისტი %/ებით .	20	20,8	28,6
ჩალის მთლიანი წილი კბ . . . . .	43	69	48
ჩალის მთლიანი წილი %/ებით . . . . .	100	160,4	111,6
ჩალის წილი 1 ბრუნაზე გრამ. . . . .	200	368	417
ჩალის წილი 1 ბრუნაზე %/ებით . . . . .	100	184,0	208,5
ერთი მცუნარის ჩალის წილი გრამ. . . . .	200	184	139
ერთი მცუნარის ჩალის %/ებით . . . . .	100	90	69

როგორც ცხრილით ჩანს, სამშეცვარიანი ვარიანტის მთლიანი შოსავალი საკოტროლოზე დაბალია. ცბალია, ეს ბუღათა საერთო რაოდენობის სიმცირითაა გამოწვეული, თორემ ისე, ბუღას საშუალო მოსავლის თვალსაზრისით თუ შევეძავთ. მივიღებთ, რომ სამშეცვარიან ვარიანტში ეფუძრი 69 პროცენტით გამოიხატება, ორმშეცვარიანში კი—60 პროცენტით.

ტაროს საშუალო წონის მიხედვით აშენად ჩანს, რომ საცდელ ვარიანტებში, განსაკუთრებით სამშენარიანში, მცნარეთა ზრდა-განვითარება საგრძნობლად შეფერხებულია. ამაზე მიუთითებს ავრევე ჩალის წონაც. ჩალის საერთო რაოდენობა საცდელ ვარიანტებში მეტად მნიშვნელოვანია საკონტროლოსთან შედარებით, მაგრამ ერთი მცნარის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, აშენა ხდება, რომ ზრდაში ჩამორჩენას აქვთ ხოლო ადგილი.

გორის რაიონის სოფ. ქვემო-რეხას კოლექტურნობაში ცდა შედარებით უფრო დიდ ნაკვეთზე იქნა ჩატარებული. ცდის სქემაში მანძილი მწერივთა შორის არ იცვლებოდა და ის 70 სანტიმეტრით განისაზღვრებოდა. მწერივის შიგნით კი ბუღალთა შორის მანძილის გარიანტები 40, 55 და 70 სანტიმეტრით გამოიხატებოდა. ბუღალთი მცენარეთა რაოდენობის მიხედვით 1, 2 და 3-მცენარიანი გარიანტები გვქონდა.

35გეტრაციის პერიოდში, სამ ვადაში ჩატარდა მცენარის წონის, ღერძის დამეტრისა და სიმაღლის და ფოთლების რაოდენობის ალიიცვა. მოხავალი 210



ასე იქნა ოლრიცხული: საცდელ ვარიანტებში იმ ბუღნების ტაროები, რომელიც მცნარეთა თანაბარი რაოდენობა იყო, ერთად გროვდებოდა. ეს მიმთხვევაში იყო ნაკარნახევი, რომ კულტურული ბუღნაში ვეგეტაციის ბოლოს არ აღმოჩნდა ცდის სქემით ვათვალისწინებული რაოდენობა მცნარეებისა. მაგალითად, ორმცნარიან ვარიანტში იყო ბუღნები ერთი მცნარეთაც; ასევე სამცნარიანი ვარიანტში ორმცნარიანი და ერთმცნარიანი ბუღნებიც აღმოჩნდა. ამნაირად ოლრიცხული იმის შესაძლებლობა მოვცუა, რომ ერთმანეთისათვის შეგვედარებინა სხვადასხვა ვარიანტის შესაბამისი ბუღნების მცნარეთა მოსავალი.

გარდა ამისა, საცდელი ვარიანტების ბუღნებიდან პირველი, მეორე და მესამე (სამცნარიან ვარიანტში) მცნარეების მოსავალს ცალ-ცალკე ვიღებდით. პირველ მცნარედ ბუღნაში კულტურული მცნარე ითვლებოდა; მესამე, ცხადია, კულტურული სუსტი იყო. რა თქმა უნდა, მცნარის საერთო სიმძლავრე და ტაროს წონა ყოველთვის პირდაპირ კორელაციურობის დამკიდებულებაში არ არიან, მაგრამ სხვანაირად ოლრიცხავ შესაძლებელი არ აღმოჩნდა. ტაროს წონის მიხედვით რომ ვიდილყავით იმის დაფარენას, თუ რომელი მცნარე იყო პირველი და რომელი არა. გაშინ თვითეული მცნარის ტარო უნდა აგვერწონა და ეს კი ტექნიკურად შეეძლებელი იყო. თანაც დიდი სიზუსტის გარიანტის არც ეს იძლეოდა, რადგან ცნობილია, რომ ტაროს წონა და მარცვლის წმინდა გამოსავალი აგრეთვე ყოველთვის არ არიან პირდაპირ კორელაციურ დამკიდებულებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ვეგეტაციის პერიოდში სამჯერ ჩატარდა მცნარის წონის, სიმაღლის, ლეროს დიამეტრისა და ფოთლების რაოდენობის ოლრიცხევა. აქ ჩვენ მცნარის წონის ამსახურ ციფრებზე შეეწირდებით, რადგან, ჯერ ერთი, ისინი ყველაზე უფრო მეტად გვაძლევენ თბიექტურ წარმოდგენას მცნარეთა მდგმარეობაზე, და თანაც კულტურული მონაცემის განხილვა. ჩაც ამ, და აგრეთვე სხვა ცდებში ჩენა მიღებული, საკურნალო სტატიის ფარგლებში შეუძლებელია.

დაკვირვებები ჩატარდა 27/VI, 11/VII და 27/VIII. ციფრები მცნარის შერალი წონის შესაბებ მოცუმულია მესამე ცხრილში.

როგორც მე-3 ცხრილით ჩანს, საცდელი ვარიანტების ბუღნებში მცნარეთა შორის შექმნილი ურთიერთობის შედეგად ზრდაში გასწრება-ჩამორჩენას აღვილი აქვს ვეგეტაციის პირველ ნახევარშივე. ეს ძალაშია ბუღნათა შორის მანძილის კულტურული ვარიანტისათვის და შენარჩუნებულია ვეგეტაციის მომდევნო პერიოდშიც. ასე რომ, თუ ჩვენ მანძილთა კულტურული ვარიანტის საშუალო მაჩვენებებს გამოვიყვანთ, ასეთ სურათს მივიღებთ (იხ. ცხრილი 4).

როგორც მე-4 ცხრილიდან ვხედავთ, არა თუ მეორე და მესამე მცნარეები ბუღნებისა, არამედ პირველებიც კი თვალსაჩინოდ ჩამორჩებიან საკონტროლო მცნარეებს. თუ ახლა კულტურული ვაღის საშუალოს გამოვიყვანოთ ბუღნის ცალკეული მცნარეების მიხედვით და მათ საკონტროლოს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ორმცნარიანი ვარიანტის პირველი მცნარე 80,6 პროცენტს შეადგენს, ხოლო მეორე მცნარე—41,6 პროცენტს. სამშენებლივ ვარიანტში პირველი მცნარე საკონტროლოს მიმართ 70,9 პროცენტს შეადგენს, მეორე—51,1 და

ວັນທີ/ປີ	ການການຄ່າ ສົດລົງທະບຽນ ທີ່ມີຄວາມ ສົດລົງທະບຽນ ທີ່ມີຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ການການຄ່າ ສົດລົງທະບຽນ ທີ່ມີຄວາມ ສົດລົງທະບຽນ		1 ສົດລົງທະບຽນ ທີ່ມີຄວາມ ສົດລົງທະບຽນ				2 ສົດລົງທະບຽນ ທີ່ມີຄວາມ ສົດລົງທະບຽນ				3 ສົດລົງທະບຽນ ທີ່ມີຄວາມ ສົດລົງທະບຽນ			
		ຄົນ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	1-ລາຍ ເຊື້ອ		2-ລາຍ ເຊື້ອ		1-ລາຍ ເຊື້ອ		2-ລາຍ ເຊື້ອ		3-ລາຍ ເຊື້ອ		4-ລາຍ ເຊື້ອ	
				ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	ຫຼັກ ທີ່ມີ ຄວາມ ສົດລົງທະບຽນ	
27-VI	70x40 ເມຕຸ.	27	100	25	92,5	10	37,0	27	100	24	89,9	8	29,6		
	70x55 *	25	100	24	96,0	7	28,0	25	100,0	25	100,0	8	32,0		
	70x70 *	31	100	20	64,5	9	29,0	25	80,6	21	67,7	17	56,0		
11-VII	70x40 *	57	100	50	87,6	35	61,6	45	78,9	38	66,6	21	36,8		
	70x55 *	77	100	50	65,0	35	45,4	41	53,2	36	49,3	32	41,5		
	70x70 *	60	100	52	86,6	38	63,6	51	85,0	38	63,3	32	53,3		
29-VIII	70x40 *	152	100	100	66,0	49	32,1	97	64,0	37	50,6	50	38,8		
	70x55 *	172	100	168	98,0	56	33,1	102	58,7	62	36,0	50	29,0		
	70x70 *	183	100	142	77,6	87	47,5	132	71,6	80	43,7	47	27,8		

ຮັບຮັດ ຢູ່ກົດ ກະລຸງລົງທະບຽນ ທີ່ມີຄວາມ ປັບປຸງທີ່ມີຄວາມ (1-ບັນຍົງລໍາກົມາ ວິທະຍາຍົງຕົກ) ມີຄວາມ.

შესამე—25,4 პროცენტს. როგორც მოყვანილი ციფრები ადასტურებენ, 1-მც ნარიანი ბუდნისაგან ჩამორჩენას ადგილი აქვთ უკელა ვადაში და უკელა გადამდებარებისას.

ცხრილი 4.

ვარიანტები	დაცვილების ვადები		27/VI	11/VIII	27/VIII	შენიშვნა			
	მცუნარეთის რაოდნება ბუდნაში	ბუდნის როგორი მცუნარეა	მცუნარეთის რაოდნების მარაგი	მცუნარეთის რაოდნების მარაგი	მცუნარეთის რაოდნების მარაგი				
1			27,6	100	64,6	100	169,0	100	27 აგვისტოსათვეს მცუნარები დატარებული იყო, მაგრამ აედა, ატროფები, მე-3 ცენტილშიც მათი წონა შესულია არ არის
2	1		23,0	85,1	50,6	78,3	136,6	82,0	
	2		8,6	31,2	36,0	55,7	64,0	37,8	
3	1		25,6	98,5	49,0	77,8	110,3	65,2	
	2		23,3	84,4	37,3	57,7	73,0	45,5	
	3		11,0	39,8	28,3	43,8	27,0	16,0	

დელ მცუნარეზე. განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩება სამმცუნარიანი ვარიანტის შესამე მცუნარე.

საცდელ ნაკვეთზე მოსავალი აღებულ იქნა 20 ოქტომბერს. მონაცემები წარმოდგნილია მეხუთე ცხრილში.

მოყვანილი მე 5 ცხრილი ზოგიერთ საგულისხმო ფაქტზე მიგვითითებს. პირველ რიგში ეს არის უტაროო მცუნარეთა მნიშვნელოვანი რაოდნებობა იქ, სადაც ბუდნათა შორის მანძილი მცირეა ( $70 \times 40$  სანტიმეტრ განლაგებაზე). სამმცუნარიან ვარიანტში აქ მათი რაოდნებობა 59 პროცენტს შეადგენს. ტაროს საშუალო წონაც ამავე ვარიანტში ერთობ მცირეა.

ბუდნათა შორის მანძილის გადიდებისას მცუნარეთა მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება. მკვეთრად მცირდება უტაროო მცუნარეთა რიცხვი (გამონაცლისა  $70 \times 55$  სმ განლაგების 1-მცუნარიანი ვარიანტი, მაგრამ ეს შემთხვევითს გარემოებას უნდა მივაწეროთ). იზრდება აგრეთვე საშუალო წონა ტაროს.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მთლიანი მოსავალი ნაკვეთისა ასევე შესაბამისად იზრდება. მანძილების გადიდების შესაბამისად ნაკვეთზე, რაც ბუდნათა რაოდნებობის შემცირების ხარჯზე ხდება, მცუნარეების მდგომარეობის იმდენად გაუმჯობესდება არ ხდება, რომ ამ ნაკვეთის მოსავლიანობამ სხვებისას ყველა შემთხვევაში გადაავარიოს. ცხრილით ჩანს, რომ მხოლოდ  $70 \times 70$  სანტიმეტრზე განლაგების სამმცუნარიანი ვარიანტის მოსავალი საგრძნობლად

ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	70x40 ပါ			70x55 ပါ			70x70 ပါ		
	1 ပိဿာ ပေး	2 ပိဿာ ပေး	3 ပိဿာ ပေး	1 ပိဿာ ပေး	2 ပိဿာ ပေး	3 ပိဿာ ပေး	1 ပိဿာ ပေး	2 ပိဿာ ပေး	3 ပိဿာ ပေး
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ အပေါ်	163	182	165	124	110	90	109	106	99
ပြည်နယ်ရှိ အပေါ်	163	324	479	124	197	236	109	188	260
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	159	226	195	119	159	179	113	180	234
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	26,6	32,4	19,4	22,9	26,8	22,2	26,3	29,5	31,9
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	100	121,8	73,3	100	117,0	96,9	100	112,8	121,3
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	167	142	99	192	168	124	232	164	136
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	100	85,0	59,3	100	87,5	64,5	100	70,5	58,6
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	0,97	0,70	0,40	0,96	0,80	0,75	1,03	0,95	0,90
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	100	72,3	41,2	100	83,5	78,1	100	92,2	87,3
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	4	96	284	21	60	65	—	11	26
ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ ပုဂ္ဂန်လျှပ်စီမံချက်များ	2,4	29,6	59,4	16,8	30,4	27,8	—	5,8	10,0

භාණ්ඩය	වැඩෙන්දු පොදුමා ගාලු, තිබුණු තිබුණු පොදුමා ගාලු, තිබුණු පොදුමා ගාලු			70×55 අඟල්			70×70 අඟල්		
	70×40 අඟල්			70×55 අඟල්			70×70 අඟල්		
	1 එක	2 එක	3 එක	1 එක	2 එක	3 එක	1 එක	2 එක	3 එක
ඩුජුමා රාජෝධීන්දා පුදු	163	182	165	124	110	90	109	106	99
1-පුදු, ඩුජුමා රාජෝධීන්දා උත්තුකාම් පුදුවීන්දා	159	30	10	103	23	5	109	23	5
අධ්‍යාත්ම මෙහෙන්දි මිශ්‍යාදා ය	26,6	3,6	1,6	22,9	4,0	1,0	26,3	5,2	1,2
අධ්‍යාත්ම වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා 1 පුදුවීන්දා ය	167	186	160	222	174	200	241	226	240
2-පුදු, ඩුජුමා, රාජෝධීන්දා උත්තුකාම් පුදුවීන්දා	—	65	8	—	50	11	—	63	19
අධ්‍යාත්ම මෙහෙන්දි මිශ්‍යාදා ය	—	19,1	2,3	—	17,2	3,2	—	20,6	7,0
පුදුවී 1-දා පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා ය	—	200	187	—	216	190	—	209	242
පු-2 පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා ය	—	92	101	—	128	90	—	115	126
1-දා පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා % ප්‍රති	—	100	100	—	100	100	—	100	100
පු-2 පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා % ප්‍රති	—	45	54	—	59,3	47,8	—	55,0	52
3-පුදුවීන්දා ඩුජු, රාජෝධී, උත්තුකාම් පුදුවීන්දා	—	—	17	—	—	20	—	—	36
අධ්‍යාත්ම මෙහෙන්දි මිශ්‍යාදා ය	—	—	4,8	—	—	6,8	—	—	14,4
පුදුවී 1-දා පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා ය	—	—	129	—	—	170	—	—	203
පු-2 පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා ය	—	—	94	—	—	105	—	—	125
පු-3 පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා ය	—	—	49	—	—	60	—	—	72
1-දා පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා % ප්‍රති	—	—	100	—	—	100	—	—	100
පු-2 පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා % ප්‍රති	—	—	72,8	—	—	61,8	—	—	61,0
පු-3 පුදුවීන්දා වැඩෙන්දා මිශ්‍යාදා % ප්‍රති	—	—	38,0	—	—	35,0	—	—	35,4



აღმატება  $70 \times 40$  და  $70 \times 55$  სანტიმეტრზე განლაგების საშმცუნარებლის რიანტების მოსახლეობა.

ვახახოთ ასეთ როგორია იმ ბუღნათა მცნარების მდგომარეობა ძოვანი ლიანობის მშროვ, რომლებიც ცდის ვარიანტებში აღმოჩნდნენ ამ ვარიანტებისათვის არადამახასიათებელი რაოდენობით: მცნარეებისა, მონაცემები მეტებს ცხრილშია წირმოლებენილი.

შე 6 ცხრილში მოცემული ციფრების მიხედვით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მცნარიან ვარიანტებში მეტად მცირე რაოდენობითაა ისეთი ბუღნები, რომლებიც ართავე მცნარე ტაროანია. მაგალითად ბუღნათა განლაგების პირველ ვარიანტში ( $70 \times 40$ ) ისინი მთლიანი რაოდენობის 36,2 პროცენტს შეადგენენ. მეორე ( $70 \times 55$ ) და მესამე ( $70 \times 70$ ) ვარიანტებისათვის შესაბამისი ციფრებია 45,4 და 59,6. ბუღნებრივია, რომ ბუღნათა შორის მანძილების გადიდებით მდგომარეობა ერთგვარია უმჯობესდება, — პროცენტები შეარებით უფრო მაღალია.

საშმცუნარიან ვარიანტებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. განლაგების პირველ ვარიანტში ბუღნების რაოდენობა, სადაც სამოავე მცნარეს გააჩინა ტარო, მხოლოდ 10,3 პროცენტს შეადგენს. მომდევნო ვარიანტებში შესაბამისი ციფრები 22,2 და 36,4-ით გამოიიჩატება. აქაც მანძილების გადილების შესაბამისად მცნარეთა მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება ხდება.

მანძილების გადილების შედეგად მცნარის უკითხისი ზრდა-განვითარება ხდება არა არა მარტო იმ ბუღნებში, სადაც 2 ან 3 მცნარეა, არამედ ერთმცნარიან ბუღნებშიც. ეს ჩანს როგორც მესუთე, ისე მეექსე ცხრილით.

ბუღნის შეგნით მცნარეთა ურთიერთობის შედეგებზე თუ მოსავლის მიხედვით ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ მეორე და მესამე მცნარეები პირველს ძალიან ჩამორჩებიან ხოლმე.

მაგალითად, სუფთა ორმცნარიან ვარიანტში ბუღნის მეორე მცნარის მოსავალი ბუღნათა განლაგების პირველ ვარიანტში პირველი მცნარის მიმართ 45 პროცენტს შეადგენს. განლაგების მომდევნო ვარიანტში, სადაც მანძილები ბუღნათა შორის მეტია, პროცენტი რამდენადმე იზრდება (59 და 55), ბოლო იმ ორმცნარიან ბუღნებში, რომლებიც სუფთა საშმცუნარიანი ვარიანტის ნაკვეთში აღმოჩნდნენ, ბუღნათა შორისი მანძილების  $70 \times 40$ ,  $70 \times 55$  და  $70 \times 70$ — შესაბამისად მეორე მცნარეთა მოსავალი პირველის მიმართ გამოიიჩატება 54,0, 47,8 და 52,0 პროცენტით.

ასევე არათანაბარი განვითარება ხდება საშმცუნარიან ბუღნებში. მოსავალი მეორე მცნარისა პირველის მიმართ განლაგების პირველ ვარიანტში— $70 \times 40$  სმ—72,8 პროცენტს შეადგენს, ბოლო მესამე მცნარისა—38,0 პროცენტს. განლაგების მომდევნო ვარიანტების— $70 \times 55$  და  $70 \times 70$  სმ— შესაბამისი ციფრებია 61,8 და 35 და 61,0 და 35,4.

აქ თითქოს გაუგებარი ხდება— რატომ არის, რომ საშმცუნარიან ბუღნებში მეორე მცნარე უფრო მაღალ მაჩვენებელს იძლევა, კიდრე ორმცნარიან ბუღნებში. მაგრამ შედეველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სამცნარიან ბუღნებში პირველი მცნარის მოსავალი საგრძნობლიდ ჩამორჩება.

ორმცენარიანი ბულნების პირველი მცენარის მოსავალს. სწორედ ამის გამო, რომ მეორე მცენარის მოსავალი პროცენტულად უფრო მაღალი ციფრებში ჩატარებული მოიხარება.

ბულნებში მცენარეთა შორის არსებულ ურთიერთობაზე საკმაოდ ნათელი წარმოდგენა შეძლება ვიქინიოთ იმის მიხედვით, თუ როგორია ცალკეული მცენარის ლეროს დიამეტრი და სიმაღლე. 1951 წელს მებრეშუმეობის სამცენიერო-კვლევითი ინსტიტუტის დილომის შეურნეობაში ჩატარებული მცენარის შედეგად ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი საინტერესო მონაცემები ამ მხრივ. აღნიშვნულ მცენარეობაში ჩატარებული ცდის სქემა საკმაოდ ფართო იყო, მაგრამ მცენარეთა ვეგეტაციის შეორენ ნახევარი, სამშუარო. ისე არანორმალურად წარიმართა მორწყვაში დიდი შეფერხების გამო, რომ მთავარი სამცენარებელი მარცვლის მოსივლის მიღება ვერ იქნა ჯეროვნად უზრუნვლყოფილი.

მცენარეთა ფიამეტრი და სიმაღლე ორ ვადაში იქნა გაზიარდი 8 ივლის და 16 აგვისტოს. ჩვენ აյ მოილოდ იმ ციფრებზე შევჩერდებით. რაც 16 აგვისტოს ჩატარებული დაკვირვების შედეგად იქნა მიღებული. რაც შეეხება პირველ ვადას, უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ის მშევე ურთიერთობა ბულნაში მცენარეთა შორის, რაც ცალკეული მათვანის მდგომარეობას გარევეულ დალს ასეამს. ამავე ვალებში ფოთლების როდენობაც იქნა აღრიცხული. მაგრამ არც ეს მონაცემები იძლევა რაიმე დამახსიათებელ სურათს ვარიანტების მიხედვით და ამიტომ მიათხეც აღრიცხულებით.

ციფრები ლეროს დიამეტრისა და სიმაღლის შესახებ მოცუმულია მეშვიდე ცხრილში. მასთან, ბულნის მცენარეთა რიგითი ნომრები ნაჩერება არა მცენარეთა სიმაღლის, არამედ დიამეტრის მიხედვით. მაგალითად, ყველაზე მსხვილერიანი მცენარე 1-ლი ნომრით არის აღნიშვნული და ასე შემდეგ. კუთხირობა, ეს უფრო მართებულია, რადგან სიმინდის ლეროს სიმაღლის გაზიარება მცენარის აყვავებამდე ნაკლებ სამედო მაჩვენებელს გვაძლევს და, საერთოდ, დიამეტრი ყოველთვის უფრო მეტი სიზუსტით ასახეს მცენარის პიოლოგიურ სიძმლავრეს, კიდევ სიმაღლე.

ზე-7 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შეიძლება ვანვიხილოთ ორი პიმართულებით. შეიძლება დაკვირისპირობით ერთმანეთს ვარიანტები ბულნათა შორის მანძილების მიხედვით და, მეორეს მარივ, შევაფასოთ ბულნებში ცალკეული მცენარის მდგომარეობა.

ბულნათა განლაგების ვარიანტებს შორის მკვეთრ განსხვავებას ვერ ვნახულობთ; მხოლოდ ის კი არის, რომ ერთმცენარიან ვარიანტში ბულნათა შორის მანძილების გადიდების შესაბამისად მცენარის ლეროს დიამეტრის ზრდის ერთგანი ტენდენცია მოხანს. ცხადია, დაკვირვება რომ ბულნათა დიდ რიცხვშე ჩატარებულიყო (ცხრილში მოცუმული ციფრები 5 ბულნის საშუალოს გამოხატავს), უფრო ჭაონზომიერულ სურათს მივიღებდით.

რაც შეეხება ბულნებში ცალკეული მცენარის მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ ამ მარივ სურათი უფრო ნათელი და დამაჯერებელია. მაგალითად, თუ ჩვენ ბულნათა განლაგების ყველა ვარიანტის მიხედვით საშუალოებს გამოიყენოთ, ბულნების ცალკეული მცენარეებისათვის ასეთ სურათს მიეღიღეთ (იხ. მე-8 ცხრილი):

ვარიანტები	ბუდენის რიცხვი მდგრადი ფორმი	მცირებულების მდგრადი ფორმი (რიცხვის სიმძლავა)	მცირებულების მდგრადი ფორმი				
1 მცენ. ბუდნაში		8,43	100	—	194,8	100	—
2 მცენ. ბუდნაში	1	7,90	93,7	100	206,7	106,1	100
	2	7,30	86,6	92,4	189,7	97,4	91,7
3 მცენ. ბუდნაში	1	7,85	93,6	100	196,4	100,8	100
	2	7,15	84,8	90,9	208,2	106,9	106,0
	3	5,97	70,8	76,0	175,6	90,1	89,4
4 მცენ. ბუდნაში	1	7,62	90,4	100	204,3	104,9	100
	2	6,73	79,9	88,3	178,1	91,4	87,4
	3	6,16	73,2	80,8	167,0	85,7	81,7
	4	5,36	63,7	70,3	154,1	79,6	75,4

როგორც ციფრები გვიჩვენებენ, ბუდნებში მეორე—მესამე—მეოთხე მცენების დიამეტრის შემცირება საესპილ ჩეელულებრივი მოვლენაა და სწორედ ეს არის: მათი დაბალი მოსავლიანობის მთავარი მიზნები. მცენარის სიმაღლის მხრივ მდგრამარეობა უფრო მეტყველია ხოლმე. ზოგჯერ არის, რომ ბუდნაში დიამეტრის მიხედვით პირველისაგან ჩამორჩენილი მცენარე მასშე უფრო მაღალიცაა.

ასევე, რამდენიმე მცენარიანი ბუდნის ესა თუ ის ეგზემპლარი, რომლის ლეროს დიამეტრი ნაკლებია იმ მცენარის ლეროს დიამეტრზე, რომელიც ერთეულად იხრდება ბუდნაში, სიმაღლის მიხედვით უკანასკნელს სჯობნის.

1951 და 1952 წლებში ცდები ჩატარებულ იქნა დილომის კოლმეურნეობაში. ჩენ აქ 1952 წლის მუშაობის შედეგებშე შევხერდებით.

საცდელი ნაკვეთის ნიადაგი მიმმეთინარი ტიპისა იყო; რელიეფი ოდნავ დაქანებული: წინამორბედ კულტურის ისევ სიმინდი წარმოადგენდა.

ცდის სქემა ასეთი იყო: მანძილი მშერივთა შორის 70 სანტიმეტრი, ბუდნათა შორის კი 35 და 50 სანტიმეტრი. მცენარეთა რაოდენობა ბუდნებში ერთი (საკონტროლო) ორი და სამი ძირით ვარისაზღვრებოდა.

მოსავლის ალრიცხვის შედეგები მოცემულია შე-9 ცხრილში.

როგორც ვხედავთ, სურათი საქმიანი კონინზომიერია. იხრდება უტარონ მცენარეთა რიცხვი ბუდნაში მცენარეთა რაოდენობის შესაბამისად. ასევე თანამიმდევრულად მცირდება ტაროს საშუალო წონა. მიუხედავად ამისა, საერთო მოსავლის მხრივ უპირატესობა, ისე როგორც სხვა ცდებში, ბუდობრივი:

පිළියා ප්‍රතිඵල සැවැන්ම යොමු කළ මූල්‍ය	70X35 ටෘ			70X50 ටෘ		
	1 එයෙන්	2 එයෙන්	3 එයෙන්	1 එයෙන්	2 එයෙන්	3 එයෙන්
පුද්‍ර තුළ ප්‍රතිඵල මුදල . . . . .	1146	1711	2310	955	1411	2012
ප්‍රතිඵල මුදල මුදල . . . . .	994	1345	1743	910	1156	1606
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල . . . . .	144,9	172,1	201,7	135,0	162,2	190,1
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල මුදල . . . . .	100	118,0	137,8	100	120,1	140,8
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල . . . . .	146	127	114	147	138	118
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල මුදල . . . . .	100	86,9	78,8	100	93,8	80,1
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල . . . . .	0,86	0,78	0,75	0,91	0,82	0,79
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල මුදල . . . . .	100	90,7	87,2	100	90,1	82,4
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල . . . . .	152	336	557	85	255	406
ප්‍රතිඵල මුදල මුදල මුදල . . . . .	10,6	21,5	24,1	8,9	18,0	20,1



თესეის ვარიანტების მხარეზეა. ცხადია, საცდელ ვარიანტებში მცუნარეობული ერთო რაოდენობა ისეთი რომ ყოფილიყო, როგორც ამას ცდის სქემა პირველი ლისწინებდა. მაშინ ტაროს საშუალო წონა უკეთესად კიდევ უზრო ნაკლები იქნებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთო მოსავალი ამით შემცირდება. მაშინ ტაროთა საერთო რაოდენობა რამდენადმე გაიზრდებოდა და ტაროს საშუალო წონის დანაკლისი ამით იქნებოდა კომპენსირებული. ბუღობრივი თესეის მთავარი აზრი სწორედ ისაა, რომ ფართობზე მცუნარეთა რიცხვის გარეულ საზღვრამდე გადიდებით საერთო მოსავლიანობა იზრდება.

გორის ნ. ბარათშეილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ცდა პატარა ნაკეთობა ჩატარდა, მაგრამ მცუნარეთა მოვლისა და მათზე დაკვირვების მარივი ისეთი ხელსაყრელი პირობები არსებობდა, რომ მიღებული შედეგები შეიძლება ყურადღების ღირსაც ჩავთვალოთ. ვეგეტაციის პერიოდში, შვიდ ვადაში ჩატარდა დაკვირვება ფესეთა სისტემის განვითარებაზე; შესწავლილ იქნა ავტოფენეროს მუხლთშორისები; ვეგეტაციის ბოლოს აღრიცხულ იქნა მოსავალი. აქ ჩვენ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით. ციფრები წარმოდგენილია მუ-10 ცხრილში.

#### ცხრილი 10.

ვარიანტი. ბუღნაში მცუნ. რაოდენობის მიხედვით	1 მცუნ. ბუღნაში	2 მცუნ. ბუღნაში	3 მცუნ. ბუღნაში
მცუნარეთა რაოდენობა სულ . . . . .	84	181	233
ტაროთა მთლიანი რაოდენობა . . . . .	80	148	188
ტაროთა მთლიანი წონა კგ . . . . .	24,7	36,4	34,9
ტაროთა მთლიანი წონა %/მით . . . . .	100	147,3	141,3
ტაროს საშუალო წონა გრამით . . . . .	308	246	183
ტაროს საშუალო წონა %/მით . . . . .	100	79,8	59,3
ტარო საშუალოდ მცუნარეზე . . . . .	0,94	0,81	0,77
ტარო საშუალოდ მცუნარეზე %/მით . . . . .	100	86,1	82,9
უტარო მცუნარეთა რაოდენობა . . . . .	4	33	45
უტარო მცუნარეთა რაოდენობა %/მით . . . . .	4,7	18,2	19,3

როგორც ცხრილით ჩანს, საერთო კანონშომიერება სხვადასხვა ვარიაციას ტიპის მოსავლის ურთიერთშეფარდების მართვი აქაც ისეთივეა დააბლიუების როგორც სხვა ცდებში.

რაც შეეხება იმას, რომ ტაროს საშუალო წონა და, მაშასდამე, საერთოდ მოსავლი აქ ყველა ვარიანტში გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ცდებში, ეს, ცხადია, მცენარეების მეტად ხელსაყრელ პირობებში ყოფნის შედეგია.

ჩვენ აქ ვერ შევეხებით კიდევ სხვა მონაცემებს, რაც აგრეთვე ბოლო წლებში ჩატარებული ცდების შედეგად მივიღეთ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ იმ მასალის საფუძველშე, რაც ამ სტატიაშია გადმოცემული, შეიძლება გაკეთებულ იქნეს შემდეგი დასკვნები:

1. ბუღდობრივი თესვის პირობებში თანამოარსებე მცენარეების ზრდა-განვითარება არათანაბრად ხდება. ბუღდაში ერთი რომელიმე მცენარის უმთხავის მდგომარეობა მეორისათვის შედარებით უარესი მდგომარეობის შექმნის მომასწავებელია.

2. ტაროს საშუალო წონა მცირდება ბუღდაში მცენარეთა რაოდენობის გადიდების შესაბამისად. საკონტროლო (ერთმცენარიანი) ბუღდნის მიმართ ორმცენარიანი ბუღდნის მცენარეთა ტაროს საშუალო წონა 80 პროცენტს შეადგენს, სამმცენარიანში 65 პროცენტამდეა, უოლო თობიანში 50 პროცენტს აღწევს.

3. ბუღდაში მცენარეთა რაოდენობის შესაბამისად იზრდება უტაროო მცენარეთა პროცენტი. ასე, რომ, ტაროს საშუალო რაოდენობა მცენარეზე ბუღდობრივი თესვისას ყოველთვის უფრო მცირეა. საკონტროლოს მიმართ ეს ორმცენარიან ვარიანტში 80%-ით გამოიიჩატება, სამიანში 70-მდეა, ხოლო ოთხმცენარიანში 25 პროცენტია.

4. ორმცენარიან ვარიანტში მეორე მცენარის ტაროს წონა პირველის მიმართ 55%-მდე აღწევს.

5. სამმცენარიან ვარიანტში პირველი მცენარის ტაროს აბსოლუტური მოსავალი მნიშვნელოვნად ნაკლებია ორ-მცენარიანი ვარიანტის პირველი მცენარის აბსოლუტურ მოსავალზე.

6. სამმცენარიან ვარიანტში მეორე მცენარის ტაროს წონა პირველი მცენარის მიმართ 65 პროცენტის ფარგლებშია. მესამე მცენარის ტაროს წონა კი 35%-ს უახლოვდება.

7. ბუღდებს შორის ვანძილების გადიდების შესაბამისად მნიშვნელოვნად ბირდება უტაროო მცენარეთა როცვი ნაკვეთზე და იზრდება ტაროს საშუალო წონა.

8. ბუღდობრივი თესვისას მცენარეთა არათანაბარი ზრდა-განვითარების მაჩვენებელია მეორე, მესამე და მეოთხე მცენარეების ლეროს დიამეტრის მნიშვნელოვანი შემცირება პირველ მცენარესთან შედარებით. თავის მირი, ბუღდნის პირველი მცენარის დიამეტრი საკონტროლო მცენარის დიამეტრზე ნაკლებია.

9. ლეროს სიმაღლეც ასევე ჩვეულებრივ ნაკლებია, ვიდრე პირველი მუშაობის  
ნარის ლეროს სიმაღლე, მაგრამ დიამეტრთან შედარებით ამას ნაკლებ ჭანთობის  
ზომიერი ხასიათი აქვს.

10. ორ და სამმცნარიან ვარიანტებში ჩალის მოსავალი 80—100 პრო-  
ცენტით იზრდება.

11. ორ და სამმცნარიან ვარიანტებში მარცვლის მოსავალი მუდამ მე-  
ტია საკონტროლოზე, რაც ფართობშე მცნარეთა მეტი რაოდენობით არსებო-  
ბის შედეგს წარმოადგენს.

---

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
Сельскохозяйственного института, т.XLVI, 1957 г.

დოკ. პ. ჯაფარიძე

სიმინდის ნათესის მოვლა მოიცავს რამდენიმე სამუშაოს. ასეთებია: ნა-  
თესის დაფარტება, გამარგვება, მწერივებს შორის, გათოვანა მწერივები, ნათე-  
სის შემეჩხერება, ბარტყების შეცლა, მიწის შემოყრა და სხვ. მცენარის მიერ  
სასიცოცხლო ფაქტორთა გამოყენება, ნირმალური განვითარება და დარაიო-  
ნებული ჯოშის თვისებათა მთელი სისრულით გამოვლინება დამოკიდებულია  
მოვლის წესებზე.

სიმინდის ნათესის მოვლა მისი აღმოცენების და წამოზრდის შემდეგ  
დაფარტებით იწყება. აღმოცენებამდე დაფარტება ჯერ კიდევ არ ატარებს  
მასობრივ ხასიათს, მაშინ როდესაც ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი  
მცენარის სასურველი განვითარებისათვის. სიმინდის მოვლა, როგორც წესი,  
უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ თესლის აღმოცენებამდე ფარტებით. საკვლევი  
დაწესებულებებისა და წარმოების დაცვირება-ვამრცდილებით ნათელია, რომ  
დათესვისთანავე მორწყევის ან მოსული წვიმის გამო ნიადაგი უმეტეს შემ-  
თხევებიში ქრეპით იფარება და ეს ხელს უმილის ნიადაგის აერაციას, უანგბა-  
დის მიწოდებას; მეორეც, ქრეპგადარტებული ნიადაგი ან სულ ვერ ატარებს  
ნალექებს სანაე ფენაში, ან თუ ატარებს, დიდი შეუერხებით. ქრეპი ხელს  
უწყობს აორთქლებას და წყლის დიდი რაოდენობით დაკარგვას. ყველა ეს  
ერთად იწვევს ნათესის სიმეჩერებს, უღონო, სუსტი მცენარეების აღმოცე-  
ნებას.

მაგალითად, აჯაშეთის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე შედარებით  
კარგად დამუშავებულ ნაკვეთზედაც კი ქრეპის გავლენით დაწუსულ მცენარე-  
თა რაოდენობა ზოგჯერ 30%-მდე აღწევდა. მუხრანის სარწყავ პირობებში  
სიმინდის თესლია, ქრეპი რომ ვერ გაარღვია, აქ-იქ დამსკდარი ქრეპის ნაპ-  
რალებიდან ამოიწყერა და აღმოცენება ძალზე გაჭიანურდა. შემოწებით დად-  
გენილი იყო, რომ თესლის უმეტეს ნაწილს დალუმავა მოელოდა, რომ შემ-  
თხევებით წვიმის არ მოესწრო, მიწა არ შეელბო და აღმოცენება არ გაეადგი-  
ლებინა. მაგრამ აღმონაცენი მწერივებს შორის გაფხვიერებამდე მაინც შევიწ-  
რობულ მდგომარეობაში იყო, რაც, ცხადია, აამდენადმე უარყოფით გავლე-  
ნის მოახდენდა მოსავალზე. ზემოაღნიშნული მდგომარეობის თავიდან აცილება  
შესაძლებელი იყო აღმოცენებამდე დაფარტებით. ანალოგიური შემთხვევები  
ყველა ზონის ყველა რაონიდან შეიძლება მოვიტანოთ, მაგრამ ამ შემთხვე-  
ვაში ეს შედმეტად მიგვაჩნია.

თესლის აღმოცენებამდე ფარცხვა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეულ საქართველოს სარწყავა და ურწყავა ნაკვეთებზე, სასარგებლოა და სამოცველო აუცილებელიყადა. აღმოცენებამდე ფარცხვა იცავს ნიადაგს გამოშრობისათვის და ხელს უწყობს თანაბარ და ერთდროულ აღმოცენებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმინდით ნათესი ნაკვეთის აღმოცენებამდე დაფარცხვა უნდა ჩატარდეს მშოლოდ ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით (ნიადაგი თუ დატეპნილია, ქერქი გადაქრულია ან სარცველები ამოიწვერი და სხვ.), და არა აუცილებლად როგორც სავალდებულო ლონისძიება. სიმინდის ნათესის დაფარცხვა განსაკუთრებით საქორთვა უსტრუქტურო და მძმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგზე, რათა აერაციის გაუმჯობესებით ხელი შეეწყოს თესლის გამოცვა-აღმოცენებას, თესვისწინა დამუშავების შემდეგ დარჩენილი ბელტების დაშლას და წყლის ეკონომიურ ბარჯვეს.

თესლის აღმოცენებამდე და აღმოცენების შემდეგ დაფარცხვით ესპობთ სარცველა ბალახებს, ვაფხვიერებთ ნიადაგის ზედაპირს, ვამტრერევთ, ვშლით ბელტებს და ვასტირებთ ხნულის ზედაპირს. ამით ვაითლებთ თონხას და ვიცვთ კულტივაციის დროს მცუნარების დაზიანებას ბელტებისა და მიწის მიყრისაგან.

მემინდერებულის ინსტიტუტის საკვლევ ბაზაზე, მის დასაყრდენ პუნქტებზე და აჯამეთის საცდელ სადგურზე და მის დასაყრდენ პუნქტებზე სიმინდის ნათესის ფარცხვაზე ჩატარებული ცდების შედეგები (ცდრილები 1-ლი და მე-2) (1) ნათლად გვიჩვენებს ამ ლონისძიების ავრცელებელს ში არსებობის მნიშვნელობას.

#### ც ტ რ ი ღ ლ ი 1

დაფარცხვის გავლენა სიმინდის მოხავლიანობაზე ცნონტრირებით 1 ჰექტარზე

	სარწყავი				1936—1940	1936—1940	1936 წ.	
	1938	1939	1936	1937				
	გარდაბაზი		ახლლებანი (მცხვ. რ-ი)					
აღმოსავლეთ საქართველო:								
1. საკონტროლო (დაუფარცხვები)	18,9	55,4	47,6	28,3	26,5	13,7	43,7	17,4
2. დაფარცხვა მცურიცების გარდაბაზო 2 ფოთოს ჟერილში	21,2	55,6	47,5	30,3	29,9	14,8	45,0	18,3

მოტანილი ციფრობრივი მონაცემების მიხედვით, თუ ვიხელმძღვანელებთ მრავალი წლის დაკირიცხვებით, შეიძლება ითვეას, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სარწყავა და ურწყავა პირობებში სიმინდის აღმოსავლენის დაფარცხვა სასარგებლოა მისი ნიღმალური ზრდა-განვითარებისა და კარგი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. თუ ამ პროცესის დადებითი 224

	დაბლობი ზონა				მაღლობი ზონა	
	აჯამეთი	ქუთაისი	სამტრედია	სტაროშიქუ	ჭიათურა	საჩხერე
	1933—1940	1933—1940	1933—1940	1939	1934—1935	1934—1936
დასავლეთ საქართველო:						
1. საქონტროლო (დაუფარცხავი) . . . . .	31,7	33,6	29,0	25,0	19,0	23,2
2. დაფარცხვა შექრივების გარდიგარდმო . . . . .	32,9	34,2	29,8	26,2	19,8	24,9

გავლენა მეტი დამაკურებლობით არ მოჩანს, ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ზოგჯერ ნიადაგის მდგომარეობის სასიათის მიხედვით (ფევიერი მდგომარეობა, საკმიო ტენიანობა და სხვ.) დაფარცხვა საჭირო არ არის და მისი დადებითი გავლენაც ამიტომ იჩქმალება. ზოგი წლის მონაცემებით დაფარცხვა თითქოს ზედმეტი პროცესია, მაგრამ მეტ შემთხვევაში ნიადაგმა ისეთი ქრქის გავეთება იცის, რომ თესლი ვერ აღწევს დღის სინათლეს და იღუპება, რაც ამოდის, ისცი სუსტი და უჯანოა, ან წყალი დიდი სისწრაფით ორთქლდება—ნიადაგი შრება.

სიმინდის ნათესის დაფარცხვის მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს მე-3 ცხრილით (4), როდესაც დაფარცხვა ჩართულია მოვლის სხვა პროცესებთან.

### ც ხ რ ი ლ ი 3

სიმინდის აღმონაცენის დაფარცხვის გავლენა მის მოხაველზე

ცხრილობით 1 პ ე ქ ტ კ.

	მაღლობი ზონა		დაბლობი ზონა	
	1933—1935	1933 წ.	1933 წ.	1933 წ.
	საჩხერე	ჭიათურა	აჯამეთი	სამტრედია
1. ფარცხვა აღმონაცენის ლოგზის . . . . .	9,8	8,8	7,4	—
2. ფარცხვა 2-გზის და გაუხვეურება 1-ჯერ . . . . .	13,2	12,5	14,6	—
3. გაუხვეურება 1-ჯერ 3-ფოთლ. პროცედ. . . . .			13,2	10,5
4. ფარცხვა, ორი გაუხვეურება: 1-ლი 3 ფოთლის არსებობისას და მე-2 ფავოლის წინ . . . . .	17,6	15,3	15,9	12,1
5. გაუხვეურება 2-ჯერ; 3 ფოთლის არსებობისას და ფავოლ. წინ . . . . .	15,4	—	14,0	11,2

სიმინდის მაღალ მოსავლიანობას, ცხადია, მარტო დაფარცხვა ვერ უზრუნველყოფს. ამ მდგომარეობით აისწნება, რომ აჯამეთის საცდელი სადგური შრომები, ტ. VLVI.

რის ტერიტორიაზე დაფულად ორგზის დაფარცხვა მდებნად მცირება სიმიზდის ნათების მოთხოვნასთან შედარებით, რომ მისი მოსავალი 10 ცენტიმეტრსაც კი ვერ აღწევს. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ფარცხის გამოყენება ზედმეტია. სიმინდის ყველაზე მნიშვნელოვანა პერიოდში ორჯერ გათოხნა: პირველად სამი ფოთლის არსებობისას და მეორედ—ყვავილობის წინ, მართალია, ადიდებს მოსავალს. მაგრამ თუ ამ ორ გათოხნას ფარცხვა დაცუმატეთ, სიმინდის მოსავალი კიდევ უფრო ( $25,8\%$ -მდე) გადიდება. წარმოების გამოცდილებით ვიცით, რომ ფარცხვა, უმუალო დადგებითი მოქმედების გარდა, ხელს უშესობს თოხნა-კულტივაციის და მოვლის სხვა წესების სრული ეფექტის გამომედონებას. არამც თუ ერთი, ორი გათოხნის შემთხვევაშიც კი დაფარცხვა დადგებით როლს თამაშობს სიმინდის მოსავლის მარების საქმეში.

ამმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ლობიოს და სოიას ძირითად სიმინდითან ერთად თესენ. ამ კულტურების დაზიანების შიშით სიმინდის შემცირებული ნათესის ფარცხვას დღემდე ერიდებიან. საკულტო დაწესებულებების ცდების შედეგების მიხედვით, სიმინდის ლობიოსთან შემცირებული ნათესის ფარცხვა სასურველია. მე-4 ცხრილში ( $2,4$ ) მოტანილი მონაცემებისა და საჭარმოო გამოცდილების მიხედვით, შემცირებული ნათესის ფარცხვას დადგებითი შედეგი მოაქვს.

#### ცხრილი 4

დაფარცხვის გავლენა სიმინდის შემცირებული ნათესის მოსავალზე  
ცხრილშით 1 შექტარში

	აღმოსავლეთ საქართველო						დასავლეთ საქართველო		
	გარდაბანი		ხაშური		ფარცხვი		წილი	აკამიერი	სამტრედ.
	1938	1939	1936	1936	1936	1933—40	1933—40	1934—35	
1. შემცირებული ნათესი—სი—სიმინდი სოიასთან დაფარცხვავი	55,9	21,7	—	—	—	28,2	27,9	18,1	
2. იგივე, გარდაგარდონ დაფარცხველი	58,9	23,0	—	—	—	30,9	28,5	19,2	
3. იგივე, გასწორივ დაფარცხველი	—	—	—	—	—	29,1	28,1	17,9	
4. შემცირებული ნათესი—სი—სიმინდი ლობიოსთან დაფარცხვა	55,9	22,6	19,1	39,5	22,0	30,3	28,0	20,2	
5. იგივე, გარდაგარდონ დაფარცხველი	56,3	22,8	20,8	40,8	23,5	31,6	28,8	22,8	
6. იგივე, გასწორივ დაფარცხველი	—	—	19,9	39,3	23,0	30,9	27,0	21,1	

ამ მონაცემებით დასტურდება სიმინდის ლობიო-სოიასთან შემცირებული ნათესის დაფარცხვის მიზანშეწონილობა. მართალია, სიმინდის მოსავალი თვალსაჩინდ არ მატულობს, მაგრამ ამ პროცესით ნათესის პირობები რამდენადმე უმჯობესდება. შემცირებული ნათესის ფარცხვა სისარ-

გებლია ოოგორც სარწყავი, ისე ურწყავი რაიონების პირობებში. ოოგორც აღვნიშნეთ, სიმინდის მოსავლის მატება დიდი არ არის, მაგრამ მაღალი მოსავლის აგროლონისძიებათა კომპლექსში ასეთი ფარტვების მონაწილეობა სასურველია. წარმოების მრავალი წლის გამოცდილებით შეიძლება დავადასტუროთ, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებში დაფარცხვა აადგილებს, აუმჯობესებს შეწრივებს შორის გაფხვიერებას, მწყრივში გამოთხოვნას და აღიდებს შრამის ნაკონტინუაციას.

ამგვარად, მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ლობიო- და სიიდამოთესილი სიმინდის ნათესის დაფარცხვა მიზანშეუწონელი იყოს და ზოგჯერ საზარალოც კი, შეცდომა. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში (ლაგოდეხის, ყვარლის, გარდაბან-მარნეულის, გორის) აგრეთვე მაღლობ რაიონებში (თეთრიწყაროს, დუშეთის, სამხრეთ-ოსეთის) და დასავლეთ საქართველოს დაბლობი და მაღლობი ზონის რაიონებში გამოყენებულმა ცარცვამ ნათელყოფილ ამ პროცესის ჩატარების საჭიროება.

გამოცდილება-დაცვირვებით, სიმინდის ნათესის მოელის პირველ პროცეს-დაფარცხვას არა უგვიანეს 8—10 დღისა უნდა მოჰყვეს თოხნა და ქულტივაცია. ამ პროცესის დროულად და ხარისხოვნად ჩატარება მეტად მიზიშნელოვანი ლონისძიებაა. კვლევითი დაწესებულებებისა და საჭარბო გამოცდილებით ნათელია, რომ მოელის ოპერაციებიდან ძირითადია თოხნა-ქულტივაცია, რომელიც აპირობებს სიმინდის მაღალ მოსავალს.

კვლევითი დაწესებულებების მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ (2, 3), რომ სიმინდის ნათესის მექანიზებული წესით მოვლა მაქსიმალურად შეიძლება შესრულდეს. ამით შესაძლებელი გახდება სიმინდის მოსავლიანობის გამადიდებელ ლონისძიებათა დროულ და შემციდროებულ ვადებში ჩატარება. მწყრივებს შორის და მწყრივში გაფხვიერების ვადაზე და წესზე დამოკიდებული ნათესის ნორმალური ზრდა, მის მიერ გარემო პირობების ყოვლმხრივ გამოყენება (ცხრ. 5 და 6).

ცხრილი 5

გათონება და კულტივაციის გავლენა სიმინდის მოსავალზე დენტიტერობით

#### 1 შექტარზე

	აუგამეთი		აბაშა		შევინთ-იანტ-გამობა		ცვარე-ლი		ჩაშე-რი	ულიკა-	უკანა-
	სასუქ.	უსას.	უსას.	სასუქ.	სამუშალო	ურწყავი		1941	1940	1940	1941
	1945—1947		1945—1947		1939-1943						
2 გათონება და 2 კულტ. კრთი მიმართულებით	41,4	25,1	32,1	36,4	27,9	37,1	20,0	18,0	—	—	12,6
3 გათონ. და 3 კულტ.	47,2	26,4	29,1	35,2	—	—	—	—	—	—	—
1 გათონ. და 2 კულტ.	—	—	—	—	28,8	35,7	22,0	21,0	—	—	13,6
1 გათონ. და 3 კულტ.	—	—	—	—	19,8	31,0	21,0	—	—	—	—
გათონება და კულტივ-საჭიროებ. მიხედვით	47,8	33,9	29,4	38,4							



ც ა რ შ რ ტ ა ს ტ ა ნ ი

გათონისა და კულტივაცის გაფლენა ხიმინდის მოხავაზე ცენტრალური მისამართის

1 პექტარზე

	აუგვისი	სამცირედია	ვანი	ჭიათურა
	1933—1939 წ.	1934—1935 წ.		
ა. გათონისა ერთი და კულტივაცია ერთი	18,4	14,1	16,3	13,5
ბ. კულტივაცია 1 . . . . .	13,2	10,4	11,4	9,3
პ. კულტივაცია 2; პირველი—3 ფოთლის პერიოდში და მეორე—ჟუვილ. პერი.	15,0	11,4	14,2	12,3
დ. კულტივაცია 3; ერთი—3 ფოთლ. დროს, ერთი ჟუვილის წინ და ერთი ჟუვილის შემდეგ . . . . .	17,4	11,2	15,8	13,0
ე გათონისა საჭირობის მიხედვით . . .	22,2	15,4	—	—

მოტანილი მონაცემებით ნათელია, რომ ხელით თოანა ღიადად ეფექტურია, შაგრამ მექანიზაციის არსებული დონე და მისი გამოყენების შესაძლებლობა, კერძოდ, სიმინდის კულტურისათვის, გარევევით ლაბარაკობს ხელით თოანის მაქსიმალურიად გამორიცხვის შესაძლებლობის შესახებ.

დასაცლეთ საქართველოში—აჯამეთის სადგურის ტერიტორიაზე ცალისათვის გამოყოფილ ნაკეთობზე, რომელიც თავისთავად დასარეველიანებული იყო, შეტანილ იქნა ნაკეთი, რასაც, როგორც ჩანს. სარეველების თესლის დიდი რაოდენობა ჟეტკვა. ამიტომ საჭირო შეიქნა სიმინდის ნათესის სამჯერ გათონა და სამჯერ კულტივაცია. ნაკელშეუტანელ ნაკეთობზე არა ნაკლები შედეგია მიღებული ორი გათონით და ორი კულტივაციით. აბაშის რაიონში კი ორი გათონითა და ორი კულტივაციით, სამ გათონასთან და სამ კულტივაციასთან შედარებით, ჟეტოესი შედეგია მიღებული. მა მონაცემებისა და წარმოების გამოცდილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მშერივში ნათესი სიმინდის ერთი მიმართულებით გაფხვერების შემთხვევეში ორი გათონა და სანი კულტივაცია საჭიროა დასარეველიანებულ, უსტრუქტურო და გამტკერიანებულ ნიადაგზე.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავა რაიონებში, სადაც დასარეველიანება დიდია, ჟეტოეს შედეგს იძლევა ერთი ხელით და სამი ჯვარედინი კულტივაცია, ურწყავში კი—ერთი გათონა და ორი ჯვარედინი კულტივაცია.

იქნას ირკვევა, რომ ამებად ასებებული დასარეველიანების დონე და ნიადაგის არასავსებით დამაქაციონულებელი სტრუქტურიანობა მშერივში და ბულნაში გამოთომის სრული გამორიცავის შესაძლებლობას არ იძლევა.

კულტივაციის რაოდენობა დამოკიდებულია გამოყენებული აგროტექნიკის კომპლექსზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე და ნიადაგის მდგრამრეობაზე. მე-7 ცხრილში მოტანილი მონაცემებით ნათელია, რომ წევიმიან წელიწადში, დაბლობი რაიონების სარწყავ და ტენიან პირობებში, სადაც სარეველების წამოზრდა და ქერქის განჩენა ჩევულებრივი მოვლენაა. ნათესს შეიძლება ბუთი კულტივაციაც დატირდეს.



სიღრმეშე სმ- ბილ	რამდენიმდე განმეორდა გათხოვა					
	1	2	3	4	5	
1. წევისიან წევდაწალიტი . . . . .	4	8,1	16,7	18,0	19,1	20,0
	8	9,8	18,3	19,5	20,3	21,7
	13	11,1	19,0	19,8	21,9	23,1
2. გვალვიან წევლიაწალიტი . . . . .	4	5,1	10,1	12,0	13,8	15,7
	8	8,1	12,1	14,0	16,0	17,2
	13	10,5	16,1	17,1	18,5	19,5

ნალექებიან წელიწადზო, გვალვიან წელიწადთან შედარებით, გაფხვიერება-კულტივაცია ნაკლებ სიღრმეზეა საჭირო. პირველი გაფხვიერება-უფრო ლრმად უნდა ჩატარდეს, ვიდრე მეორე და მესამე. პირველი და მეორე კულტივაციის გავლენა მოსალიანობას დაიდა, მესამე და შემდგომი კულტივაციების ეფექტიანობა საგრძნობლად მცირდება. გვალვიან წელს ლრმა გაფხვიერების ეფექტიანობა უფრო მცირდ მოჩანს როგორც პირველი, ისე მეორე კულტივაციის დროს. მრავალი წლის საწარმოო გამოყლილებით და კვლევითი დაწესებულებების ცდების შედეგებით, პარტენიონ და სარწყავ რიონში საჭიროა ერთი გათოხნა და 4—5 კულტივაცია, საქმაოდ ტენიან და ტენიან რიონებში — ერთი გათოხნა და 3—4 კულტივაცია, გვალვიან და მცირენალექებიან რიონში — ერთი გათოხნა და 5 კულტივაცია. პირველი გაფხვიერება უნდა ჩატარდეს 6—8 სმ სიღრმეზე, მეორე — 8—10 სმ სიღრმეზე და შემდეგი გაფხვიერება კი 5—6 სმ სიღრმეზე.

პრატიკულმა გამოყდილებამ დაგვანახვა, რომ საქამაო ტენიანი და მცირებულებიანი რაიონების უწყება ნაკეთებზე პირველ ჩიგში უნდა შესრულდეს კულტივაცია და ორა-სამი დღის შემდგე ზელით გამოთხოვნა, ვინაიდან ბორიად კულტივაციის შემდგე მწერილებს შორის რჩება მოუკრელი სარეველები, რომლებიც მოქრიილი ბალახის ორ-სამ დღიში დაჭრილობისას კრიგად ჩანან და უნდა მოკვრან ხელით თოხნის დროს. სარწყაფ და ჭარბტებიან რაიონებში კი ჯერ უნდა ჩატარდეს მწერილებში ხელით თოხნა და მერე კულტივაცია, რის შემდეგაც უნდა დარჩეს კვალი გაერნებ წესით მორწყების შესასრულებლად. მაისათვის საყიროა კულტივატორს შუა თათი შევცვალოთ ორმხრიანი ნიადაგის შემოსაყრელით. ამ მდგომარეობის გამო ჯვარედინი კულტივაციის შესრულების დროს იგი პირველ ჩიგში უნდა ჩატარდეს სარწყაფი კლების საწინააღმდეგო მიმართულებით და შემდეგ მათ გასწეროვ.

ପିଲ୍ଲାଙ୍କର ନାମକାଳ ଦା କୁଳାଲୀଯାପାଇବା ଶାତର୍ଥିଷ୍ଟାଙ୍କରୁ ମେନିଶ୍ଵର୍ଣ୍ଣନାରୀ ଏହି ସାହିତ୍ୟରେ ନିର୍ମାଣ କରିଛି।



განია. მისი დროულად—ადრე ვადაში, 2—3 განვითარებული ფოთლის პერიოდის ოდში ჩატარება დიდად უწყობს ხელს მცენარის ინტენსიურ ზრდას. პილატის

მრავალი წლის გამოცდილებით გამორკვეულია, რომ რაგინდ ხელსაყრელი პირობები შეცუქმნათ სიმინდს, თუ იგი არ გამეჩხერდა, თუ ერთეულ ფართობზე გარკვეული რაოდენობის მცენარე არ იქნა დატოვებული, მისი ნორმალური ზრდა-განვითარება და მაღალი მოსავლის შილება შეცდლებელია.

შესაძლებელზე მეტი რაოდენობის მცენარეთა დიდხანს დატოვება ან სარეველების მოსაპონის დაყოვნება დაუშვებელია, ვინაიდან კულტურულ მცენარეებს, მსგავსად ველურად მოზარდი მცენარეებისა, არა ავთ გამომუშავებული თვითშემეჩხერების უნარი. ამიტომ რაც უურო მალე მოვაცილებთ ნათესს სარეველა ბალახებს და მალე შევამეჩხერებთ მას, მით უფრო ინტენსიური იქნება მცენარეთა ზრდა-განვითარება.

მოხერხებულობის გამო შევამეჩხერებას აწარმოებენ თოხნის ჩატარებასთან ერთად. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ მწერივში ნათესი სიმინდის შემეჩხერება მიზანშეწონილია ორჯერადად ჩატარდეს: პირველი—პირველი გათომნის დროს და მეორე—მეორე გათომნის დროს. პირველი შემეჩხერების დროს აცლიან ჩამორჩნილ, სუსტ და დაავადებულ მცენარეებს, ნაწილობრივ კი ჯანმრთელ მცენარეებსაც, თუ ისინი ჯვუფად ან ძალიან ახლოს არიან ერთომეორესთან. დაანარჩენ მცენარეებს კი საბოლოოდ მეორე გათომნის დროს აცლიან და ტოვებენ მძლავრ და ჯანსაღ მცენარეებს. ასეთი შერჩევა დიდად ემარება სიმინდის ნათესის გამჭვიდებებას და მოსავლის გადიდებას.

კვადრატულ-ბულობრივ ნათესში გამეჩხერება ბულობში სრულდება აგრეთვე გამოთომნის დროს. გათვალისწინებული რაოდენობის მძლავრ და ჯანსაღ მცენარეებს ტოვებენ ბულაში და ზედმეტს კი ჭრიან. ერთპატად შემეჩხერებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ურწყავ, მცირენალექებიან და გვალვიან რაიონებში. მა პროცესის დაგვიანებით სიმინდი იძლენად ყვაითლება და ინაგრება, რომ შემდგომ მისი გამოკვეთება შეცდლებელი ხდება.

მიწის შემოყრა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში სიმინდის მოვლის ერთ-ერთი ლონისმიება, რომელიც სიმინდის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის აუცილებელ პროცესად ითვლება, არის პირველი თოხნის დროს მიწის შედარებით მცირედ და მეორე თოხნის ჩატარებისას უფრო მეტად შემოყრა. ეს ლონისმიება არ არის სწორად შეფასებული. მიწის შემოყრა, სიმინდის მოვლის სხვა წესებთან ერთად, გაერცელდა დასავლეთ საქართველოს ზავი ზღვის სანაპირო რაიონებიდან, სადაც ეს კულტურა პირველად დაინერგა. მა რაიონებში ნალექების დიდი რაოდენობა მოდის (2000—2500 მმ), ისინი ჭარბი ტენით ხასიათდებიან, ამიტომ აქ სიმინდისათვის მიწის შემოყრა მიზანშეწონილია და ნალექებიან წლებში აუცილებელიყავა. მა რაიონებში არამც თუ მიწის შემოყრის აწარმოებდნენ აორთქველების ზედაპირის ხელოვნურად გადიდების მიზნით, არამედ ზედმეტი წყლის ასაცილებლად მწყრივებს შორის საწრეტი ჰვლებიც კი გაპყავდათ.



როგორც ჩანს, ეს ლონისძიება შემოღებულია და გამართლებულია ადგი-  
ლობრივი პირობებით. აქედან გასაცემია, რომ ეს ლონისძიება ყველგან და უკიდურეს  
ველთვის როდი მოგვცემს დადგებით შედეგს. ამგამად საქართველოს ჟურ-  
ნაიონში ყველა ტიპისა და მექანიკური შემადგენლობის ნიადაგზე აწარმოე-  
ბენ მიწის შემოყრას. ერთი და იმავე მიზნით ატარებენ მიწის შემოყრას ალ-  
მოსავლეთ საქართველოს რაიონების სარწყავ ნაკვეთებზე, სახელმობრ, ალაზ-  
ნის ველზე, უკანა მთარეში, შირაქში, ლაგოდეხის, გორის, თიანეთის და  
თეთრიწყაროს მთიან ზონაში და სხვა რაიონებში. ასევე იქცევიან დასავლეთ  
საქართველოშიც. მიწის შემოყრას აწარმოებენ კოლხეთის დაბლობის სარწყავ  
და ურწყავ ნაკვეთებზე, მთიან ზონაში: რაჭიში, ლეჩხუმში, სვანეთში და სხვ.

მიწის შემოყრას მიაწერენ შემდეგ დადგებით ოვისებებს: მისი გავლენით  
სიმინდი თითქოს უძრო უძლებს ქარს; შეულის ყრის შემდევ სიმინდის მიერ  
გამოტანილი დამატებითი ფესვები იფარება მიწით, რის საშუალებითაც სიმინდი  
ნიადაგიდან ითვისებს ზედმეტ წყალსა და საკვებ ნივთიერებას; სიმინდის ძირ-  
ში მიწის შემოყრით ხდება სარეველა ბალახების მოხრინბა და სხვ. საცდელ  
დაწესებულებათა დაკვირვებით, მიწის შემოყრა ყველგან არ არის საჭირო:  
იგი ადიდებს ხარჯს და მოსავალი უმეტეს შემთხვევაში 5-დან 35% მდე კლა-  
ბულობს. რაც შეეხება სიმინდის მიერ ნიადაგის ზედაპირზე გამოლებული და-  
მატებითი ფესვების შემოყრილი მიწით დაფარებას, ეს სრულებით შედგერი  
პროცესია. ეს ფესვები თავისით იმაღება სიმინდის ირგვლივ გატეხიერებულ  
მიწაზი (ჩვენ მოვალეობას კი შეადგენს ნიადაგი ფხვიერ მდგომარეობაში  
გვექინდეს). მესამე მოტივი—თითქოს შემოყრილი მიწა აწვდიდეს სიმინდს  
დამატებით წყალს და საკვებ ნივთიერებას, სიმართლეს მოქლებულია, ვინაი-  
დან სიმინდის ძირში მოყრილი ფაიირი მიწა ისე მაღე შრება, რომ მას  
არყოთარი დამატებითი წყლის მიწოდება არ შეუძლია.

კვლევითი დაწესებულებების მიერ ჩატარებული მეზაობის შედევებს  
სრულიად საწინააღმდეგო დასკვნამდე მიკვევართ (ცხრილი 8). ირკვევა-  
რომ მიწის შემოყრა არ ახდენს რაიმე დადგებით გავლენას მოსავალზე, პირი-  
ქით, ხელს უწყობს წყლის ინტენსიურ აორთქლებას.

#### ცხრილი 8

მიწის შემოყრის გავლენა სიმინდის მოსავალზე

	საქართველო		ტ- ნიანი	წრიული	ტრიასის საკუ- ლტო	აჯამეთ. საკუ- ლტო	
	ლაგო- დები	ლი					
	1935	1937					
1. გამოსხია მიწის შემოუტენად . . .	37,4	32,2	29,5	18,8	20,0	15,2	25,5
2. " " შემოყრით 4 სმ . . .	36,7	30,5	28,0	18,0	—	13,5	25,1
3. " " " 8 სმ . . .	32,2	26,1	25,3	17,7	17,2	11,3	23,4
4. " " " 11–12 სმ 28,3	21,0	—	—	—	11,0	9,6	21,0
5. " " " 15 სმ . . .	—	—	—	—	15,0	—	—

	დაბლობი ზონა (სარწყავი)		მაღლობი ზონა (უწყვავი)		
	გარდა- ბაში	სკო	სამრთ- ვია	პიროვნეული	საჩიტო
	1943—45	1941	1927—29	1935	1935—36
1. კუთხომზა მიწის შემოუტოლად . . .	29,6	31,5	19,8	15,3	16,7
2. " " შემოყრით 5 სმ . . .	29,1	30,2	18,2	13,5	16,5
3. " " " 10 სმ . . .	25,4	25,3	13,3	9,8	11,8

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ნიადაგის ტენი მორწყვის ან ჭვემის შემდეგ და ნიადაგში შექმნილი წყლის შარაგი რაც შეიძლება მეტ ხანს შევინარჩუნოთ. უწყვავ და მცირენალექებიან რაიონებში კი ყოველი წევთი წყალი მიზნობრივი უნდა გამოვიყენოთ და არ გავფლანგოთ. მიწის შემოყრა კი იწვევს აორთქლების ზედაპირის გადიდებას და წყლის არაპირდაბირი დანიშნულებით ხარჯვას. ერთი სიტყვით, მონაცემების მიხედვით გარეეულია, რომ მიწის შემოყრა საქართველოს არც ერთ რაიონში არ არის საჭირო, გარდა ვარბტენიანი რაიონებისა, როგორც არის ნატანები, სუფსა, ჭალადიდი და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოს უწყვავ და მცირენალექებიან რაიონებში მიწის შემოყრა დანაშაულიც კია.

- დადგენილება, მიღებული 1955 წლის 31 იანვარს ამბ. ნ. ს. ხრუშჩინის მოხუცულა  
სენატის გამო. გამ. კომისიისტი, 1955 წ. 2 თებერვალი, № 27 (10113).
2. მიმართვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუნტრალური  
კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი კოლმეურნეობებისადმი,  
მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისადმი, პარტიული, პროფესი-  
ზიონული და კომევშიონული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა და სასოფლო-სა-  
მეურნეო ორგანიზაციებისადმი, საბეჭილისტებისა და სოულის მეურნეობის-  
ყველა მუშაკისადმი. გამ. კომუნისტი № 14 (10711) 17 იანვარი, 1957 წ.
3. ა დ ე ს ა ძ ე გ. ი. — პურეული და მარცვლეული პარკოსანი კულტურები, 1955 წ.
4. ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი ს. — სილოსი და საკვების დასილოსება, თბილისი 1955 წ.
5. „Корма“—Сельскохозяйственная энциклопедия. Москва, 1951 г.
6. ლომოური ი. ნ. მარცვლეული კულტურები, ნაწ. II, 1950 წ.
7. ყ რ უ ა შ ვ ი ლ ი გ. გ.—წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღების  
საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა იკადემიის მთამბე, ტ. XVII, № 7 1956 წ.
8. ჯორბენაძე ა.—სიმინდის ორი მოსავლის მიღების გამოცდილება,  
თბილისი, 1956 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
Сельскохозяйственного Института, т. XLVI, 1957 г.

საქ. მცცხ. აკადემიის წევრ-კორესპ. პროფ. ლ. კალანდაძე

სიმინდის გავრცელები და მათ უმრავლესობის განვითარების  
მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის  
სიმინდის განვითარების მიზანის მიზანის მიზანის მიზანის

სიმინდის საქართველოში უკვე დიდი ხარისხი აღინიშნა და  
ისეთ კულტურას წარმოადგენს, რომელიც წარმატებით აქმაყოფილებს სოფლის  
მეურნეობისა და მშენებლობის მშარდ მოთხოვნილებებს. გასაგებია, რომ  
სიმინდის მანერბლების შესწავლას და მათ საწინააღმდეგო ბრძოლის ლონის-  
ძიებების შემუშავებას უკვე რამდენიმე წელია ფრიად სერიოზული  
უზრადლება ექცივა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბ. უკაროვის, ლ. კალანდაძის,  
ნ. თულაშვილის, დ. კობახიძის, ვ. გარსიძეშვილის, ზ. ჯაშის, ა. აბაშიძის,  
ლ. შავაცარიშვილის და სხვ. გამოკვლეული, რომლებიც საფუძვლად დაედო  
სიმინდის მანერბლებთან ბრძოლის საშუალებათა წარმოებაში ფართოდ გამოყე-  
ნებას. მართალია, ამ მიმართულებით ბეჭრი რამ არის გაექცებული, მაგრამ  
კიდევ დარჩენილია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც საფუძვლიან შესწავ-  
ლას ან დაზუსტებას მოითხოვენ. მეცნიერების უკანასკნელი მილწევების მიხედ-  
ვით, ამასთან დაკავშირებით ჩეცნ მიზანს წარმოადგენდა მოკლედ შეგვეჯამე-  
ბინა ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები და დაგვესახა ის ამოცანები, რაც  
უახლოეს მომავლში უნდა გადაიტრას.

სიმინდის მცნარე ისე, როგორც სხვა მატკულოვანი კულტურები, მავ-  
ნებლებისაგან განუშევიტლივ ზიანდებიან, დაწყებული დათესვით და დამთავრე-  
ბული მოსავლით აღებით და მზა პროდუქტით. მიახლოებითი მონაცემების  
მიხედვით, სიმინდის მეტნაკლებად მთავარი მავნებლების სახეობათა რიცხვი  
საქართველოში 54 აღმოჩენის. ქვემოთ ჩეცნ დავახასიათებთ მათ ცალ-ცალკე ან  
ჯგუფებად და თანაც მოყიფან ცნობებს მათი გავრცელებისა და მეურნეობაშე  
უაზყოფითი გაელენის შესახებ.

I. ჭრიჭინასებრნი—Grylloidea

1. მინდე რის ჭრიჭინი (Gryllus campestris L.). საქაოდ გაერც-  
ლებული სახეობაა აღმოსავლეთ საქართველოში. ნ. თულაშვილის (4) მონაცე-  
მებით, აქ ეს მანერებლი საცხოვრებლად მჯგობინებს მშრალნიადაგიან მთის  
კალთებსა და ველებს. ამავე დროს დასვლეთ საქართველოში ტენიანი ნია-  
დაგის პირობებში იგი თითო-ოროლა გვხვდება. სიმინდის აზიანებს ძირითა-  
დადა აღმოცენების ფაზაში ან მცნარის განვითარების პირველ პერიოდში.



ზინდება ჭათესილი მარცელებული. ცნობილია აგრეთვე, როგორც შინდვრტებული ბოსტან-ბატისა, ტენიური და მთელი ჩიგი სხვა კულტურების მავნებელი.

2. ტრამალის ტრიჭინა (Gryllulus desertus Pall.). განსაკუთრებით ფართოდა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. ნ. თულაშვილის (4) ცნობით, იგი უფრო გახვდება დაბლობ აღგილებში, უმთავრესად სარწყავ ნაკვეთებში, ანდა ისეთ ნაკვეთებში, სადაც გრუნტის წყალი ნიადაგის ზედაპირთან ახლოსაა. დასავლეთ საქართველოშიც ხშირად გავრცელებულია, თუმცა კი უფრო მცირედ. მას მიერ სხვადასხვა კულტურისა და სიმინდის დაზიანების სურათი იგივეა, როგორც მინდების ტრიჭინას შემთხვევაში.

რაგანაც ტრამალის ტრიჭინა ხშირად მასობრივად მრავლდება, ხოლო ამიტომ იგი, როგორც საშიში მავნებელი, გაცილებით მეტ საფრთხეს წარმოადგნს, უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდის ნიოესებისათვის.

3. შუბლი ტრიჭინა (Gryllulus frontalis Fieb.). ვგხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ძირითადი გავრცელებულია ისეთსაც ადგილებში, როგორც მინდების ტრიჭინა. სხვა კულტურებთან ერთად აზიანებს სიმინდსაც, თუმცა უფრო იშვიათად.

4. ბორცოული ტრიჭინა (Gryllulus burdigalensis Latr.). გავრცელებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოშიც, მაგრამ შედარებით მცირე რომელიმით. მისგან სიმინდის დაზიანება იშვიათად არის აღნიშული.

5. ბახრა ანუ ბოსტანა (Gryllootalpa gryllootalpa L.). პოლიფაგი და საყველოთად ცნობილი მავნებელია. საქართველოში ყველგან გავრცელებულია. განსაკუთრებით დიდი ზანი მოაქვს ლამიანი, ნეტიანი და ორგანული ნიერიერებით მდიდარი ნიადაგების შემთხვევაში. მახრა აზადვურებს დათე-სილ მარცელს, ახლად ამოსულ და ნორჩ მცენარეს. ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება ნაკვეთის გადათესვა, თუ მავნებლის წინააღმდეგ სათანადო რადიკა-ლური ღონისძიებები არ იქნება მიღებული.

## II. კუტკალიისებრნი—Tettigonioidea

1. Poecilimon similis Retow. გავრცელებულია ყველგან საქართველოში, მომეტებულად მთიან ზონაში, თუმცა პირველად რეტროსკის მიერ აღწერილია საქართველოს შეი ზღვის სანაპიროებში. აზიანებს სიმინდისა და მთელი რიგი სხვა კულტურების აღმონაცენს, ნორჩ მცენარეებს და, აგრეთვა-შეწევენ ნაზ ფოთლებს. მასობრივად არ მრავლდება და, როგორც მავნებელი, სიმინდისათვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს.

2. მწვანე კუტკალიი [Tettigonia (Phasgonura) viridissima L.]-ფართოდ გავრცელებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში საქმაოდ დიდი რომელიმით. სხვა კულტურებთან ერთიც სიმინდსაც აზიანებს ისევე, როგორც ზემოაღნიშული სახეობა, მაგრამ ამ კულტურის შედარებით უფრო მცირე ენებას აყენებს, კიდორ ქვემოთ აღწერილი სახეობა.

3. გრძელ ჭუდა კუტკალი [Tettigonia (Phasgonura) caudata Charp.]-უფრო გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ საქმაო ზიანი

მოაქვს სიმინდისათვის დასავლეთ საქართველოშიც. ყველგან უფრო ტეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე მწვანე კუტკალია.

4. მავნე კუტკალი (Pholidoptera noxia Ramme). ოღონისტელები საქართველოში გავრცელებული კუტკალიებიდან ყველაზე მავნე სახეობაა, რადგანაც მრავალ კულტურას აზიანებს, თანაც ბშირად დიდ ფართობს იქმნებს და მასობრივადაც მრავლდება. სიმინდის ზემოაღნიშნული წესით ძლიერ აზიანებს, ვინსაც ფრენით აღმონაცენს და ნორჩი მცნობებს.

5. რუბი ანუ ლაქებიანი კუტკალი (Decticus annaeliseae Ramme). გვხვდება მოინა ზონაში. ამჯობინებს ტრაბალისა და შშრალ ნიადაგურ პირობებს. გავრცელებულია ოღონისავლეთ საქართველოში. საქმაოდ პოლიფაგია. აღნიშნულია სიმინდის ნათესების მისგან დაზიანება საქმაოდ დიდ ფართობზე.

6. თეთრშუბლი კუტკალი (Decticus albifrons F.). ამ სახეობის გავრცელება აღნიშნულია მხოლოდ ოღონისავლეთ საქართველოში. იგი შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში სიმინდის ნათესებსაც აყენებს ზარილს.

### III. კალიისებრნი - Acrididae

1. ეგვიპტური კალი (Anacridium aegyptium (L.)). საქართველოში ყველგან გავრცელებულია. პოლიფაგი სახეობაა, მაგრამ ტეტი ზიანი მოაქვს დასავლეთ საქართველოში. საღაც წარსულში მისი მასობრივი გამრავლებაც იყო აღნიშნული (1936—1937 წ.წ.). აზიანებს სიმინდის ნათესებსაც როგორც აღმონაცენის, ისე ნორჩი მცნობების სახით. აღმონაცენი მოლინად ნადგურდება.

2. იტალიური კალი (Calliptamus italicus (L.)). ნაკრებ სახეობას წარმოადგენს, რადგანაც საქართველოს პირობებში შეიცავს 3 სახეობას: α) *Calliptamus italicus italicus* (L.), β) *Calliptamus barbarus cephalotes* F.-W. გ) *Calliptamus tenuicercis* Tarb. იტალიური კალია ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა საქართველოში და განსაზღვრებით ზოგ წლებში დიდი ზარილი მოაქვს. აღნიშნული 3 სახეობიდან ფართოდ გავრცელებულია *Calliptamus italicus italicus*, დანარჩენი ორი სახეობა კი შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება. სხვა კულტურებთან ერთად სიმინდის ნათესებსაც აზიანებს. მისი მასობრივი გამრავლება კონკრეტული აღნიშნება ხოლმე აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი მცირე რაოდენობით კრიულდება. აღმოსავლეთ საქართველოში მასობრივად გამრავლების დროს ზოგჯერ გვხვდება შერეული მარიკის კალიისთვის.

3. მარიკის კალი (Locusta maroccanus (Thunb.)). მასობრივად გამრავლების დროს დიდად აზიანებს ოღონისავლეთ საქართველოში ნათესებს, მათ შორის სიმინდისაც. საქმაოდ დიდ ჯოვებს ქმნის და ზოგჯერ გვხვდება ტრანსიტურ კალიისთვის ერთად. დასავლეთ საქართველოში ცალკე ერთეულებითაც გავრცელებულია.

4. Chorthippus brunneus brunneus (Thunb.). ცნობილია როგორც ფართოდ გავრცელებული სახეობა. საქართველოშიც თითქმის ყველგან გვხვდება და

ხავმაო დიდი რაოდენობითაც. მაგრამ მიუხედავად ამისა, კულტურული მცენარეები ნარეგბისათვის და მათ შორის სიმინდისთვისაც მცირე ზიანი მოაქვს. ბეჭდის გადამარცვა

5. *Chorthippus macrocerus macrocerus* (F.-W.). ამ მავნებლის გავრცელება აღნიშნულია შეწილიად აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ გვხვდება დასავლეთ საქართველოშიც. სიმინდის ნათესებისათვის შედარებით შეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე *Chorthippus brunneus brunneus*-ს.

6. აზიური ანუ გაღამფრენი კალია (*Locusta migratoria migratoria* L.). ეს სახეობა ჯოგებად წარსულში შემოფრინდებოდა ხოლმე კიბის ზღვის სანაპიროების დაქაობებული ადგილებიდან აღმოსავლეთ საქართველოში. ერთეული ეგზემპლარების სახით ახლაც გვხვდება საქართველოს ამ ნაწილში, მაგრამ შესამჩნევი ზიანი არ მოაქვს.

#### IV. მცენარის ბუგრები—*Aphidoidea*

1. სიმინდის ფესვის ბუგრი [*Bursocrypta gallarum* Gmelin (Tetranera ulmi Geoffr.)]. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, აზიანებს სიმინდის ფესვებს. ამავე ტროს თელას ფოთლებზე იწვევს ლობის ბარცვლის ოდენი გალებს. პირველად აღნიშნულია ბ. უვაროვის მიერ (19). ა. აბაშიძეს (1), სიმინდის გარდა, აღნიშნულია აქვს ხორბალზეც მცეთის, სილანის, თბილისის, მარნეულის და ბოლნისის რაიონებში. ამგვარად, ეს სახეობა აღმოსავლეთ საქართველოშია გვრცელებული, დასავლეთ საქართველოში კი ჯერ არ არის ნაბული. როგორც სიმინდის მავნებელი, ნათესს დიდ ზიანს უენებს.

2. თელას წითელგალიანი ბუგრი [*Bursocrypta coerulescens* Pass. (Tetranera rubra Licht.)]. ლ. კალანდაძისა და ზ. ჯაშის (7) ცნობით, აზიანებს სიმინდს სამკორის ველზე. დაზიანებას სიმინდზე და თელაზე დაალოებით იგივე ხასიათი აქვს, როგორც სიმინდის ფესვის ბუგრის შემთხვევაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სახეობა მცირე რაოდენობით არის გვრცელებული.

3. სიმინდის ბუგრი (*Siphia maydis* Pass.). საქართველოში უკელვან გვხვდება, საფაც. კი სიმინდი ითესება (ნ. თულაშვილი—17, ა. აბაშიძე—1 და სხვ.). კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში მეტი ზიანი მოაქვს სარწყავ ნათესებში. მთიან ზონაში უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება. დასავლეთ საქართველოში სიმინდის უკელვაზე უფრო გვრცელებული მავნებელია. მის კოლონიებს დიდი რაოდენობით ცველებით ფოთლებზე, განსაკუთრებით ქვედა მხარეზე, ტროს საბურეველ ფოთლებსა და ქოჩიჩქე. უკანასკნელ შემთხვევაში ბუგრები დიდი რაოდენობით ექსკრემენტების გამოყოფით ხელს უშლიან დამტვრებას. ისინი იწვევენ მცენარის დასუსტებას, ფოთლების გაყვითლებას და საერთოდ მოსავლის შემცირებას, განსაკუთრებით მომეტებული ტენიანობის პირობებში.

4. სიმინდის მწვანე ბუგრი [*Aphis avenae* Kalt. (*A. maidis* F.)]. საქართველოში პირველად, სიმინდის გარდა, აღნიშნულია ა. აბაშიძის მიერ (1) სორგოზე, ლომზე, ქერსა და შერიაზე. ლ. კალანდაძის, ნ. თულაშვილისა და ლ. შეკაციშვილის მიერ (6) ნახულია ლომზე, ზედა ფოთლების ვაგინის-



შიგნითა მხარეზე. უფრო გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, შედარձისა და რებით მცირედ—აღმოსავლეთ საქართველოში. სიმინდის ბუგრთან შედარձისა და სახეობას უფრო მცირე ზიანი მოაქვს.

#### V. ხოჭოები—Coleoptera

1. *Aclypea opaca* L.;
2. *Aclypea undata* Mull;
3. *Silpha obscura* L.

სამივე სახეობის მატლები და ხოჭოები ფ. ზაიცევის მიხედვით (3) საქართველოში იშვიათად აზიანებენ სიმინდის აღმონაცენს და ნორჩის მცენარის ფოთლებს. იმგვარადვე ზიანდება, აგრეთვე, ბოსტნეული კულტურები და სხვ-როგორც მავნებლები, დიდ უარყოფით როლს კერ ასრულებენ.

4. *Brachylaeon murinus* L.;
5. *Selatosomus latus* F.;
6. *Atous hirtus* Hrbst.

სამივე სახეობა მაღლულაქიების (ოჯ. ტკაცუნების—Elateridae) წარმომადგენელია. ფ. ზაიცევის (3) მიხედვით, პირველი სახეობა აღნიშნულია. სიმინდის, თავთავანი კულტურების, ბოსტნეულისა და თამბაქოს ფესვებზე. მეორე სახეობა კი, ამას გარდა, აზიანებს მზესუმზირასაც. მესამე სახეობის მატლები აღნიშნულია ჭარხალზე, სიმინდზე და თავთავის კულტურებზე. საქართველოში მათი გავრცელების შესახებ დაწყრილებითი ცნობები არ მოიპოვება და არც დადგენილია, მოაქვთ თუ არა მათ ჩვენში მნიშვნელოვანი ზარალი სიმინდისათვის.

7. ტრამალის ტკაცუნა (*Agriotes gurgistanus* Falb.). გავრცელებულია მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ გვხვდება დასავლეთშიც. ზიანი მოიქვს მის მატლებს. ისინი ამოქამდნ ხოლმე გალივებულ მარტოლებს. აკეთებენ ხვრელს აბალამოსულ სიმინდის მთავრ ფესვში, როს შედეგად მცენარე ბმება, სოლომ მასობრივად გავრცელების შემთხვევაში იწვევენ ნათესების ისე დაზიანებას, რომ საჭირო ნდება გადათხვა. ასეთი შემთხვევები აღნიშნულია ბაშიირეთის ასსრ-ში, კურსკის, კალინინგრადის ოლქებში და სხვ. ადგილებში (12). მაგრამ საქართველოს პირობებში სიმინდის ნათესების ასეთი ძლიერი დაზიანება აქამდე არ ყოფილა შემთხვეული. სხვა კულტურებს კი და მათ შორის თამბაქოს, აბალამოსულ ნამუენ ვაზს და სხვ. ეს მავნებელი ჩვენშიაც საკმარისად აზიანებს (თულიშვილი — 17). მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, შექმნილი მდგომარეობის გამო, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ფართოდ მიმართავენ სიმინდის მარტოლების  $12^{\circ}$ , ჰექსაქლორანის ფხვნილით დამტკერვას დათესების წინ (1—2 კგ 1 კვნტერ მარცვალზე), საქართველოში ამ ღონისძიებას არ ვიყენებთ, რადგანაც, როგორც იყო აღნიშნული, მავნებელი მასობრივად არ აზიანებს სიმინდის ნათესებს.

8. ზათესის ტკაცუნა (*Agriotes sputator* L.). აზიანებს სიმინდის ნათესება და მარტოლს ისე, როგორც ტრამალის ტკაცუნა. მისი გავრცელება კურკერობით აღნიშნულია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში. ამავე დროს

უფრო უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება და მის მიერ გამოწვეული ჰარიალიც შედარებით მცირება.

9. ზოლიანი ტკაცუნა (*Agriotes lineatus* L.). საქართველოში უკელვან არის გავრცელებული, მაგრამ ისე, როგორც ნათესის ტკაცუნას, სიმინდის კულტურისათვის მცირე ზიანი მოაქვს.

10. ზავი ტკაცუნა (*Agriotes obscurus* L.). სიმინდის გარდა, აზიანებს თამბაქოს, მზესუმშირიას და სხვა კულტურებს აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში აღნიშნული არ არის. როგორც მავნებელს, დიდი უკარისით გამოიყენეთ არ კეთილის.

11. სიმინდი დის ზოზინა (*Pedinus femoralis* L.). ამ მავნებლის პატლებს უწოდებენ ცრუმავთულა ჭიებს (ოჯ. ზავტინიანები—*Tenebrionidae*). ისინი აზიანებენ დათესილ და გალივებულ მარცვალს ჩანასახის მხრიდან და აღმონაცენსა და ნორჩი მცენარის ნიადაგში მოთავსებულ ნაწილებს. სიმინდის გარდა, ზიანს აყენებენ თავთავიან და ბალჩის კულტურებს. ეს სახეობა აღნიშნულია აღმოსავლეთ საქართველოში.

12. ტრამალის ზოზინა (*Blaps halophila* Fisch.). ცრუმავთულა ჭიების ეს სახეობა ნ. თულაშვილის (17) ცნობით გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან ადგილებში. მისგან გამოწვეულ დაზიანებას ივივებასიათო აქვთ, როგორც სიმინდის ზოზინასაგან, მაგრამ ამ უკანასკნელთან შედარებით უფრო მცირე როლს ასრულებს.

13. სილის ზოზინა (*Opatrium sabulosum* L.). ეს ცრუმავთულა ჭია გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ ადგილებში. სიმინდის გარდა, სხვა კულტურებთან ერთად აზიანებს ვაზსაც.

14. ივნინ დის ლრაჭა (*Pentodon idiota* Hrbst.). საქართველოში უკელვან არის გავრცელებული, მაგრამ მისი მასობრივი გამრავლება არ ყოფილა აქამდე აღნიშნული. ხოჭო ლამით იყვენება აღმონაცენით და ამით გარკვეული ზარალი მოაქვს. მატლები აზიანებენ ფესვებს.

15. ივნინ სის ლრაჭა (*Amphimallon solstitialis* L.). ამ მავნებლის პატლები აზიანებენ სიმინდის ფესვებს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც სიმინდი დათესილია ყამირ ან ნასვენ ნაკეთებზე. ნ. თულაშვილის (17), ზიანდება, აგრეთვე, ვარხალი, მზესუმშირია, ლომიო, თავთავიანი კულტურები.

16. *Rhizotrogus serrifunis* Mars. ამ ღრავას მატლები, ფ. ზიანურის ცნობით (3), აზიანებენ სიმინდის ფესვებს, მაგრამ ძლიერ იშვიათად.

18. პურის ზოლიანი რწყალი (*Phyllotreta vittula* Redt.). ნ. თულაშვილისა (17) და ფ. ზიანურის (3) მონაცემებით, მცირედ აზიანებს აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში მარცელებულ კულტურებს და მათ ზორის სიმინდისაც. იშვიათად ზიანდება ვარხალიც ამ ღრავა, როგორც ამ სახეობის მატლებს, როგორც მავნებებს, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ, ხოჭობი, ძლიერ ზიანს აყენებენ, განსაკუთრებით გვალვიან გაზაფხულზე (გამოსამორების შემდეგ, აღმოსავებს, რაღვანაც ფოთლების პარენქიმით იყვენებიან). ნაკლებ საზიანოა ხოჭოების კვება ზაფხულში (ჭერიდიდან გამოსვლის შემდეგ) იმიტომ, რომ ფოთლები უკვე შედარებით გაუზუბებულია. დასავლეთ საქართველოში სიმინდის ნათესების ამ მავნებლით დაზიანების შემთხვევები არ არის აღნიშნული.

19. ბერლის ცხვირგრძელა (*Calandra granaria* L.) დიდ ზიანს აყნებს შენახულ მარცვლეულს, მის პროდუქტებს და, ცხადია, სიმინდსაც გარემონტის საქართველოში ყველგან დიდი რაოდენობით გავრცელდა პირველი იმპერიალისტური მოსახლეების შემდეგ, რაღაც სიმინდის გამოძირების მაშინ მასობრივად გამოვლენდა. მაშინდელ პერიოდთან შედარებით, ეს მავნებელი ახლა ისე დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც მარცვლეულისათვის ფრიად დიდი ზიანის მომტანია, თუ მის წინააღმდეგ ზომები არ ტარდება. ხშირად გვხვდება ბრინჯის ცხვირგრძელასთან ერთად. აღმოსავლეთ საქართველოში.

20. ბრინჯის ცხვირგრძელა (*Calandra oryzae* L.). მარცვლეულს და მის პროდუქტებს ისე აზიანებს, როგორც ბერლის ცხვირგრძელა, მაგრამ უკანასკნელისაგან განსხვავდება იმით, რომ შედარებით მეტი პოლიფაგობით ხასიათდება. ამავე დროს იგი დაფრენს და უკვე მინდობრში დებს კვერცხს შემოსულ მარცვლებში, შემდევ მავნებელი მოსახლეობის ერთად საწყობებში მოხვდება და აქ ინტენსიურად მრავლდება. საქართველოში ყველგან არის გავრცელებული ბერლის ცხვირგრძელასთან ერთად, მაგრამ უკანასკნელ სახეობასთან შედარებით მეტი რაოდენობით გვხვდება დასავლეთ საქართველოში.

21. *Tanymecus dilaticollis* Gyll. ფ. ზაიცვეს ცნობით (3), ამ ცხვირგრძელას ხოჭოები აზიანებენ სიმინდს. 6. თულშვილის მიერ ამ სახეობის საქმაოდ მასობრივი გავრცელება და სიმინდის ნათესების დაზიანება აღნიშნულია პირველად საქართველოში 1956 წელს თელავისა და გარდანის რაიონებში. ხოჭოები ღრღნიან აღმონაცენის შიდა ფოთლებს, რითაც მცნობის გამომაბას იწვევენ. საერთოდ სიმინდის შედარებით უმნიშვნელო მავნებელია, მაგრამ შემოთ აღნიშნულ შემთხვევაში მისი დიდი რაოდენობით დაგროვება სიმინდის მცნობელებზე მონდა იმის გამო, რომ სარეცელები ნაკვეთებზე თითქმის მოსპობილი იყო.

## VII. ორფრთიანები — Diptera

1. შვედური ბუზი [*Oscinosa (Oscinella) frit* L.]. ეს სახეობა საქართველოში ყველგან არის გავრცელებული, მაგრამ შედარებით გვიან იყო, როგორც პურეულის მავნებელი, აღრიცხული (რ. სავენკო, 1935 წ.), რაღაც აღმოსავლეთ საქართველოს პურეულის ძირითად რაონებრში მისი განვითარება-გამრავლებისათვის მთლიან ტემპერატურისა და გვალვების გამო, ხშირად ხელსაყრელი ბირობები არ იქმნება. ლ. კალანდაძის, 6. თულაშვილისა და ლ. შავკაცაშვილის (6) ცნობით, შვედური ბუზი დასავლეთ საქართველოში მეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ თავთავიან კულტურებს იგი აქ გაცილებით მცირედ აზიანებს. ამასთანავე, ისიც არის აღსანიშნავი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ზიანდება ქერი და იშვიათად ხორბალი მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში თითქმის თანაბრად ზიანდება ხორბალიც და ქერიც. ის. ბათიაშვილის და ა. ბალდავიძის (2) მონაცემებით, შვედური ბუზის საკვებ მც:

ნარებს წირმოალგენენ საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, შერია, შერიუჟა, შალფა, ვანგა, ვლეურტა, მშეურტება და ძურტა. ვ. შეკოლევის მიხედვით (10) შეედური ბუზის მატლები იშევათ და ანიჭებული სიმინდის აღმონაცენს. მაგრამ ა. მარკინის, პ. ზარინგისა და ნ. ნიკულინას (12) ცნობით, ეს მავნებელი ამ პოლო ხანებში სიმინდის ნათესებში საკმაოდ მასობრივად გავრცელდა მოსკოვის, ორლოვის, სარატოვის ოლქებში, ალტაის მთარებში, თათართა ასსრ-ში და სხვ. ამასთანავე, 1955 წლის განმავლობაში იყო აღნიშნული შემთხვევები, როდესაც ზოგ ნათესში სიმინდის შენარეთა დაზიანება 45%-საც კი აღმოჩედა.

საქართველოში შეედური ბუზის მიერ სიმინდის დაზიანება პირველად აღნიშნული იყო 1945 წელს თ. ალხაზიშვილისა და ა. აბაშიძის მიერ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (ამჟამად მიმდინარეობს ამ სახეობის ზესწავლა, როგორც სიმინდის მავნებლისა). რადგანაც შეედური ბუზის მატლები სიმინდის დაზიანების შემთხვევაში სულ სხვა სურათს იძლევიან, ვიდრე თავთავინი კულტურების დაზიანების დროს, ამიტომ ქვემოთ მოვყავს, კერძოდ, სიმინდის დაზიანების სურათი: გაზაფხულზე გამოიურენის შემდეგ ბუზი კვერცხს დებს აღმონაცენის გარსხე, შემდეგ კი, მცენარის განვითარებასთან ერთად, ნორჩი ღეროს ფოთლის ვაგინაზე, თითონ ღეროზე, ან მცენარის ახლოს ნიადგას ზედაპირზე. აბლად გამოჩეკილი მატლები შეიძრებათ სიმინდის ნორჩი ღეროს კონუსის ზეგნით და აქ ღრღნიან ნანგ ფოთლებს, ამ გზით დაზიანებული მცენარე ზრდაში ჩამორჩება ხოლმე, მისი ფოთლები ვიწრო და თანაც დაფულეთილი იდება; ზოგჯერ კი ასეთი მცენარის განმობასაც აქვს ადგილი.

აღსანიშნავია ის გარემობაც, რომ ზესტაფინის რაიონში, აფხაზეთში და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში (მცხეთის რაიონი) ლ. კალანდაძის, ირ. ბათათაშვილის, ე. ნებიერიძისა და ნ. ნაცირაძის მიერ არაერთხელ იყო პლიშნული ისეთი ზემთხვევებიც, როდესაც სიმინდის ფარგანის მიერ გაეკუთხულ ხერელებში შეედური ბუზების ჭუპრები გვხვდებოდა. შესაძლებელია ამ გარემობით აისხნას ზემოაღნიშნული ის მოვლენა, რომ დასავლეთ საქართველოში 1954 წელს ამ სახეობის ზრდასრული ფორმები დიდი რაოდნენბობით გვხვდებოდა, მათი მატლები და ჭუპრები კი ხორბალსა და ქორის მცენარეებზე იშვიათად თუ იყო ნაბული.

ლ. კალანდაძის, ნ. თულაშვილის და ლ. შევაციშვილის მიერ (6) საქართველოში პირველად იყო დადგენილი შეედური ბუზის აღნიშნული ტიპით იური ფრამის სახესხვაობის—*Oscinonoma frit var. pusilla* Mg. გავრცელება, მაგრამ კერჯერობით არ არის დადგენილი, აზიანებს თუ არა იგი სიმინდს.

### ჭრცლორთიანები ანუ პეპლები—Lepidoptera

- 1—7. მომღრღნელი ხვატარები. სახეობათა ამ კომპლექსში საქართველოს პირობებში შედის: 1. წეირა ხვატარი (*Agrotis exclamationis* L.);
2. შემოდგომის პურეულის ხვატარი (*A. segetum* Schiff.), 3. ხვატარი იფსოლნი (*A. ypsilon* Rott.); 4. *Euxoa nigricans* L.; 5. ხორბლის ხვატარი (*E. tritici* L.); 6. ხვატარი ფიქტილისი (*E. fictilis* Hb.=*E. aquilina* Schiff.) და
7. სამხრეთის მომღრღნელი ხვატარი (*E. conspicua* Hb.).



შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ სახეობის მატლებს შეუძლიათ ფართო გვიონ დათესილი მარკველისა და სიმინდის აღმონაცენის შეტანაყლებით დაზიანდება ნება. მაგრამ მათ შორის, როგორც მანენდლები, აღნიშნული კულტურებისათვის მეტი ზიანის მომტანია შემოდგომის პურეულის ხვატარი, ხვატარი-ივსილონი და, შესაძლებელია, წიარა ხვატარიც. შემოდგომის პურეულის ხვატარი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულია დასაცავთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს გაძლიერებულ ტენიან რაიონებში (მაგ., ლაგოდების რაიონში, ნაწილობრივ ყვარლის და სავ.). ხვატარი ითქვილონი დაახლოებით იმავე პირობებსაა შეგვებული და ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ ნაკვეთებში სიმინდის ნათესებისათვის მას რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი არ მოაქვს.

რაც შეეხება წიარა ხვატარს, იგი ფართოდ გავრცელებულია დაბლობ და მთისჭინა ზონაში, მაგრამ ნ. თულაშვილის (17) მიხედვით, მასობრივად არ მჩავლდება და ამიტომ სიმინდს დიდი ზიანს ვერ აყნებს.

ამგვარად, პირველი ორი სახეობის მატლებს დიდი ზიანი მოაქვთ და-საცლეთ საქართველოში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ ნაკვეთებში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ მანენდლების გავრცელების გამო ნათესი ძალიან მეჩერდება ან საქმიან დიდი ცარიელი აღვილება ჩნდება.

მომზრდნელი ხვატარების ეს სახეობები წელიწადში ორი-სამი გენერაციის მოცუმას ასწრებენ, სიმინდის კულტურისათვის კი, კერძოდ, საშიშია ვაზაფ-ხულის გენერაცია.

8. ბამბის ხვატარი (*Chloridea obsoleta* N.). როგორც სახელწოდება ვიჩივებებს, ითვლება ბამბის ფრიად საშიშ მანენდლად. ამავე დროს საბჭოთა კავშირში აზიანებს მცენარეთა 120 სახეობას და მათ შორის სიმინდსაც.

ბამბის ხვატარი გავრცელებულია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ცალკე ერთეულებად ვეხვდება დასაცავთ საქართველოშიც. ახალგამონეკილი მარლები იკვებებიან ტაროს ბეწყვათ, შემდევ კი ლრონიან მის საბურველ ფოთლებს და იწყებენ მარცვლებით კვებას, რითაც წარმოშობენ სასველებს, რომლებიც გამოვსებულია ნალრინავი ნაწილაკებით და ექს-კრემნტებით. ეს უკანასკნელი გარემოება იწვევს ტაროების დალპობას (ფუზარიზმს).

ბამბის ხვატარი საქართველოში იძლევა სამ გენერაციას, მაგრამ სიმინდს ძირითადად აზიანებს მისი მცორე გენერაციის მატლები (პირველი გენერაციის შატლები ვითარდებიან თამბაქოს და სარეველ ბალაზებშე).

ბამბის ხვატარს განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს სტავროპოლის მხარეში, სადაც ზოგჯერ დაზიანების პროცენტი 80-ზე მეტია და ერთ ტაროზე 1—3 მატლი ვეხვდება (ა. მარკინი, ბ. ზარინგი, ნ. ნიკულინა—11). დაახლოებით იმავე რაოდენობით მატლები ყოველ ტაროზე აღინიშნება აღმოსავლეთ საქართველოშიც, სადაც ზოგიერთ წელს დაზიანების პროცენტი 30—40 აღწევდა. გასაგებია, რომ მანენდლის მცირე რაოდენობით გავრცელების გამო (იხ. ზემოთ) მას უმნიშვნელო ზარალი მოაქვს დასაცლეთ საქართველოში.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით [ვ. შეგოლვეთ (10), ნ. თულა-შეილი (18), ა. მარკინი, პ. ზარინგი, ნ. ნიკულინა (12)], საბჭოთა კავშირში სიმინდის ფარვანას მკვებავ მცენარეებად ცნობილია კულტურული მცენარეების 47 სახეობა, მათ შორის, სიმინდის გრძლა, რამი, კენაფი, ქენდირი, ქუჯური, საფუარი, წიწიბურა, მჩესუმზირა და სხვა. ღროვათ მისგან ზიანდება აგრეთვე ჩაის ბუქნის, ციტრუსების, ტუნგოსა და სხვა სუბტროპიკული კულტურულების ნაზი კულორტები და ა. შ.

ლ. კალანდაძის, ი. ბათიშვილის, ე. ნებიერიძის და ნ. ნატორაძის მიერ 1956 წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკვლევებით ისიც იქნა დადგენილი, რომ სიმინდის ფარვანას მატლები მნიშვნელოვნად აზიანებს, აგრეთვე, ბად-რიჯნის ღეროებს (ქობულეთის რაიონი). კულტურულ მექანიზებს გარდა, სიმინდის ფარვანას მატლები გვხვდება მსხვილლერიან სარეველა ბალახებზე (ანწლი, ლიქა, ჭიათურა, არტემიზია და სხვა).

საქართველოს დაბლობ ზონაში სიმინდის ფარგვანა იძლევა შელიწადში ორ გენერაციას. მისი პირველი გენერაციის მატლები აზიანებენ სიმინდის ფოთლებს, ქორჩისა და ღეროს (ფოთლებით იკვებებიან ახლად გამოჩეული მატლები). მეორე თაობის მატლები იკვებებიან ლეროთი და ტაროთი (უფრო მეტ შემთხვევაში ზიანლება ტარო, ვიდრე ლერო).

გამოწვეული დაზიანებისა და გაუტყელების მიხედვით. სიმინდის ფარგანდას მაქსიმალური მავნეობის ზონად შეიძლება ჩითევალოს ჟესტურობისა და მაიაკუსკის რაონენები და ნაწილობრივ მათ მეზობლად მდებარე რაიონები. ძლიერი მავნეობის ზონას კი შეიძლება მიკუთვნოს დასაცლელ და აღმოსავლეთ საქართველოს დაწარჩენი რაიონები, გარდა მოისწინა და მთიანი ზონებისა.

შეკრებული არამყარი მაცნეობის ზონად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთისწინა ზონა ზღვის დონიდან 500—750 მეტრის სიმაღლის ფარგლებში. მთიან ზონაში 1000—1200 მეტრის სიმაღლეზე და უფრო ზევით მაცნებელი სრულიად აღარ გვხვდება.

სიმინდის ფარვანას გავრცელება საქართველოში და მის მიერ გამოწვეული დაწინაერბის აღნიშვნული ხასიათი იმაზე მიუთითებს, რომ ამ მავნებელს ჩვენს პირობებში სიმინდის კულტურისათვის განსაკუთრებით დიდი უარყოფითი შემსრულობა აქვს და ხშირად მის მიერ მცენარეთა დაწინაერბის პროცენტი 40—50-საც კი აღწევს. ამავე დროს პირველ თაობასთან შედარებით, მეტი ზიანის მომტანია მეორე თაობის მატლები, რომლებიც მეტი რაოდენობითაც გვხვდებიან და ამასთანავე ტაროს და ლეროს აზიანებენ. ისიც არის ალაზანიშვალი, რომ, თუ მატლებისაგან ტარო დაზიანდა მარცვლების განვითარებამდე, მაშინ ტარო სრულიად ალარ იძლევა მარცვლებს და ჭრება. შეიმ-



ვნელობრივ ფქვეს იმაშაც, რომ მატლებისაგან დაზიანებულ ლეროს და უკირაცხული ხშირად უწინდება ფუზარიოზი, რის გამოც ჩაღა: უბარისათ ცდება. ტრანსფერის კი ლებია.

10. კარადრინა (Laphygma exigna Hb.). პებლის ეს სახეობა საქართველოში ყველგან არის გავრცელებული, მაგრამ მის მასობრივი გამრავლება და ისიც ზაფხულის მეორე ნახევარში აღნიშნული იყო მხოლოდ 1933 წელს. სიმინდის გარდა, ამ მავნებლისაგან ზიანდება სხვა მრავალი კულტურა და, მათ შორის, ბამბა, ჭარხალი, სელი, იონჯა, პატიორი, ბაღრიჯანი და სხვ., სარეველა ბალახებიდან კი განსაკუთრებით — თათაბო, ხვართქელა, და ა. შ.

სიმინდის დაზიანება იმით გამოიხატება, რომ მატლები ჯერ იკვებებიან ფოთლებით აბლაბულის ქვეშ, შემდეგ კი აზიანებენ ტაროსაც (მასში ლრონით შეიძრებიან ხოლმე და მარცვლებით იკვებებიან). დამახსიათებელია ისიც, რომ მატლები კვების მიზნით აკეთებენ ხერელებს პატიორის ნაყოფში.

საქართველოში კარადრინი იძლევა 3—4 გვერაციას წელიწადში, მაგრამ პირველი გენერაციის მატლები მომეტებულად სარეველებზე იკვებებიან. სიმინდს აზიანებს ძირითადად მეორე და მესამე გენერაციის მატლები. მართალია, 1933 წლის შემდეგ დღემდე კარადრინა ყველგან საქართველოში მცირე რაოდნობით გვხვდება, მაგრამ სიმინდისათვის მას შედარებით მაინც მეტი ზიანი მოაქვს დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთში.

11. სიმინდის ანუ მარცვლეულის ჩრჩილი (Sitotroga cerealella Oliv.). ეს სახეობა ითვლება ბურეული მარცვლების ფრიად საშიშ მანებლიად. განსაკუთრებით მასობრივია აზიანებს სიმინდის მარცვალს საწყობებსა და სასიმინდებში. საქართველოში ყველგან არის ვარცელებული და უძველესი დროიდან არის ცნობილი. განსაკუთრებით წარსულში მშირად ყოფილა აღნიშნული ისეთი შემთხვევები დასავლეთ საქართველოში, როდესაც სიმინდის შეახსული მოსავალი ამ მავნებლისაგან მთლიანად განადგურებულა („გაფრინდა“).

სიმინდის ჩრჩილი სამხრეთული ფორმა; იგი მინდოორშიც აზიანებს სიმინდს, როდესაც პეტელა კვერცხს დებს ტაროს ისეთ მარცვალზე, რომელიც არ არის დაფარული საბურეველი ფოთლებით. ლ. კალანდაძის, ნ. თულაშვილისა და ლ. შევკაციშვილის მიერ (6) საკელე პირობებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად 1953 წელს გამოირკეა, რომ სიმინდის მარცვლების რძისებრი სიმწიფის ფაზაში თვითონეულ ტაროში 3—4 მატლი იყო და ამავე ტაროს ტაროების დაზიანების პროცენტი აჯამეთში 4—28-ს უდრიდა.

საველე პირობებში მავნებელს შეუძლია მოგვცეს სხვადასხვა კულტურაზე ორი გენერაცია წელიწადში, თბილ საწყობებში კი — 8 გენერაციამდე, რადგანაც ისეთ პირობებში თითქმის განუწყვეტლივ მრავლდება.

თუ სათანადო ანალიზს გაეცემოთ სიმინდის მავნებელთა ზემოაღწერილ 54 სახეობას, რომლებიც სიმინდს მეტნაკლებად აზიანებენ, შეიძლება დაგასკვნათ, რომ შედარებით უფრო საშიშ მავნებლად უნდა ჩაითვალოს შახრა, ბელლისა და ბრინჯის ცხვირგრძელები, მომღრღნელი ხვიტარები, ბამბის



ხვატარი, სიმინდის ფარვანა, კარალრინა და სიმინდის ჩრჩილი. ამიტომ ჰელიუსი მოთ მოგვყავს უმთავრესად მათ წინააღმდეგ ბრძოლის ძირითალი ღრმისძიების ბანი (უპირატესად ქიმიური ხასიათისა). სხვა სახეობათა შესაბებ კი ამ მარივ საქმიანო დაწერილებითი ცნობები მოიპოვება სპეციალურ ლიტერატურაში და სახელმწიფო ნერულოებში.

მწერთა აღნიშნული მავნე სახეობები შეიძლება შემდეგ 4 ჯგუფად ვაკის:

1. დათესილი მარცვლისა და ოღონაცენის მაენებლები—მახრა, ჭრივინები, მევთულა ჭიები და ტრუმავთულა ჭიები, ლრაჭები, მომღრღნელი ხვატარები და სხვ.;

2. მცნარის მწერანე ნაწილების მაენებლები—კუტკალიები. კალიები, ბუგრები, შეედური ბუზი და სხვ.;

3. ლეროს, ქოჩინისა და ტაროს (საველე პირობები) მაენებლები—პამბის ხვატარი, სიმინდის ფარვანა, კარალრინა;

4. მარცვლის მაენებლები—ბელლისა და ბრინჯის ცხვირგრძელები და სიმინდის ჩრჩილი.

აირევლი ჯგუფის მაენებლების საწინააღმდეგოდ საკმაოდ რადიკალური ღრმისძიებებია შემუზავებული. კერძოდ, მახრას წინააღმდეგ წინათ ფართოდ იყო გამოყენებული დარიშანის პრეპარატებით მოშავამული მისატყუარი მასალის. (სიმინდის მარცვლების, ქაროს, ბრინჯის ჩრჩილს, ფქვილის და სხვა) ნიადაგში შეტანა, ან კიდევ შემოლგომაზე ცხენის ახალი სატიკით ამოქსებული ორმოები. მაგრამ ამ ბოლო ხანგბში უფრო ფართო გამოყენებას პოულობს ჰექსაქლორანის (150—180 კგ ჰექტარზე), ან ფოსფორიტული ფქვილისა და ტექნიკური ჰექსაქლორანის (25 ნაწილი ტექნიკური ჰექსაქლორანი, 75 ნაწილი ფოსფორიტული ფქვილი) ნარევის ნიადაგში ჩაფარცევა (60—80 კგ ჰექტ.ზე). მომღრღნელი ხვატარების წინააღმდეგ იგივე ჰექსაქლორანი (გამოყენების იმავე წესების დაცვით) გამოლგება, მაგრამ კარგ შედეგს იძლევა, აგრეთვე, მოშავამული მწერანე მასის (სარეველა ბალაბი, კარტოფილის მწერანე ნაწილები, კარბლის ფოთლები) ნიადაგის შედაპირზე პატარა ორმოებში მოთავსება (100 ნაწილ მწერანე მასაზე 1—2 ნაწილი ნატრიუმის არსენიტი, ან პარიზის მწერანა).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მავთულა ჭიებისა და ტრუმავთულა ჭიების საწინააღმდეგოდ, სხვა ღრმისძიებებთან ერთად, საბერთო კავშირის სხვა რესპუბლიკის ფართოდ იყენებონ დათესების წინ სიმინდის მარცვლების 12%, ჰექსაქლორანის ფენიცილით დამტევერვას (1—2 კგ 1 ცენტრერ მარცვალზე), მაგრამ ჩენებში ამ სამუალებას არ მიგერთავთ იმიტომ, რომ ეს მაენებლები მასიბრივად არ აზიანებენ სიმინდის ნათესებს. იგივე შეიძლება ითქვას ღრაჟების შესაძებელი.

შეორე ჯგუფის მაენებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღრმისძიებან დიდი ხანი ცნობილია, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ აალა კალიებთან და კუტკალიებთან ბრძოლისათვის უპირატესობა ეძლევა 12%. ჰექსაქლორანის მოფრქვევას (8—12 კგ 1 ჰექტ.ზე). რაც შეეხება ბუგრების წინააღმდეგ ბრძოლას, სავიორების მიხედვით, სხვა ღრმისძიებებთან ერთად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰექსაქლორანის ფენიცილის შეფრქვევა (ტაროების გარვითარებამდე) ან სხვა კონტაქტური შხამების გამოყენება.



შეცდური ბუზის წინააღმდეგ, თუ ეს საჭირო გახდება, აგროტექნიკური ლონისძიებებთან ერთად, კარგია ახლად ამოსული და ოდნავ წმომზრდიდან მცენარეების შეფრქვევა 12% ჰქექსაქლორინით (15–20 კგ ჰქექტარზე) და ამ ლონისძიების გამორჩება 7–8 დღის შემდეგ.

განსაკუთრებით საშიშარ მესამე ჯგუფის მავნებლებთან ბრძოლა ფართო მასშტაბით უნდა ტარდებოდეს და შემდეგში უნდა გამოიხატებოდეს:

ბაბბის ხევატარისა და კარატრინას წინააღმდეგ კარგ საშუალებას წარმოადგენს აგროტექნიკური ხასიათის ლონისძიებანი, მაგრამ განსაკუთრებით ეფექტური პეპლების მასობრივად ფრენისა და კვერცხის დების დროს ნათესების შეფრქვევა დღტ-ს (20 კგ ჰქექტარზე), ან ჰქექსაქლორინის ფხენილით (15 კგ ჰქექტ-ზე) და ამ ლონისძიების გამორჩება 6–7 დღის შემდეგ (ტაროს შემოსვლის დროს ეს ლონისძიება არ გამოღვება).

სიმინდის ანუ ლეროს ფარვანასთან ბრძოლის რადიკალური ლონისძიებები დღემდე კიდევ არ არის შემუშავებული. ამიტომ ჯერჯერობით მთავარ საშუალებას წარმოადგენს მოსავლის ალების შემდეგ მინდორში დარჩენილი ლეროების მოსპობა (პეპლების გამოფრენამდე) და, აგრეთვე, იმ მსხვილერობით სარეველების განადგურება, რომელთა ლეროებში ამ მავნებლის მატლები ზამთრობენ. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, პირველი თაობის მატლებით მოდებული სიმინდის მცენარეების გამოვრა (ივნის-ივლისში) და მწვანე საკეთებად, ან სასილოსედ გამოყენება. ამ გზით ძალიან შემცირდება მავნებლის მარაგი ნათესებში და მისი მეორე თაობის მატლები მცირე რაოდენობით დააზიანებენ ტაროებსა და ლეროებს. შესაძლებელია, აგრეთვე, კარგი შედეგი გამოილოს ნათესების აეროზოლებით შესხურებამ პეპლების ფრენისა და კვერცხის დების პერიოდში (ამ მიმართულებით გამოყვლევები მიმდინარეობს).

დღიდი უურადლება უნდა მივაქციოთ მეოთხე ჯგუფის მავნებლებთან ბრძოლის სკითხს. უკელა ლონისძიება უნდა ვიზმართო, რომ ბრინჯის (უცეირგრძელა და სიმინდის ჩრიჩილი მინდორშივე მოესპორ და ამით დავიცვათ ახალი მოსავალი. მისათვის საჭიროა აღრე გაზაფხულზე, ვიდრე ეს მავნებლები საწყობიდან გარეთ გამოფრენას დაიწყებდონ, მოესპორ ისინი სხვადასხვა გზით (უუბიგაცია, დღტ-ს ფხენილის გამოყენება და სხვ.). ამავე დროს საწყობების ირგვლივ შედარებით აღრე ზოლებად უნდა დავთესოთ სიმინდი (რამდენიმე მეტრის სიგანით) იმ მიზნით, რომ საწყობებიდან და სასიმინდებიდან გამოფრენილმა ხოკებმა და პეპლებმა კვერცხის მთელი მარაგი ამ ზოლების სიმინდის ტაროებზე დადონ. ასეთი მცენარეები შემდეგ უნდა მოვჭრათ და მწვანე საკეთებად ან სასილოსედ გამოვიყენოთ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ამ დაცვითს ზოლებზე მოსავლის მიღება მარცვლების სახით აუცილებელია, შეიძლება მცენარეთა დამუშავება დღტ-ს ფხენილით, როცა მავნებლები მასობრივად კვერცხების დებას დაიწყებენ (მაისი, ივნისი). გასაგებია, რომ სათესლე მასალად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ მავნებლით მოუდებელი მარცვლები და უნდა მოესპორ ანარჩენები მინდორში მოსავლის ალების შემდეგ.

ფრიად მნიშვნელოვან ლონისძიებას წარმოადგენს აგრეთვე სიმინდის ასეთი ჯიშების გამოყენა, რომელთა ტარო საბურველი ფოთლებით მთლია-

ნად იქნება დაფარული. ამით თვალსაჩინოდ შემცირდება აღნიშნულ მავნე-შელთა გავრცელება ნათესებში და შემდეგ საწყობებსა და სასიმინდევზე მოვარდის დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიისა და ფიზიკის უაბლები შეიძლების საფუძველზე, უმცესელია, სიმინდის მავნებლებთან ბრძოლის კიდევ უფრო რაღიალური ლონისძიებები იქნება შემუშავებული. და წარმოების პირობებში გამოყენებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბაშიძე—მასალები მარცვლეულ კულტურების მავნე აუიდო-ფაუნის შესწავლისათვის. საქ. მცენ. დაცვის ინსტიტუტის შრომები, ტ. X. 1954.

2. ი. ბათიაშვილი და ა. ბალდავაძე—პურეულ მარცვლო-ვანთა ბუნებისა და მათ საწინააღმდეგო ბრძოლის ლონისძიებათა შესწავლი-სათვის აღმოსავლეთ საქართველოში. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XLII—XLIII, 1955.

3. ფ. ზაიცევი—საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურები-სათვის მავნე ხელშფრთიანების სარკვევი. საქ. მცენ. აკ. გამომცემლობა, 1956.

4. 6. თულაშვილი—აღმოსავლეთ საქართველოში მინდების ჭრიჭონის (*Gryllulus desertus* Pall.) ბიოლოგია და მის წინააღმდეგ ბრძოლის მე-თოდების შესწავლის მასალები. საქ. მცენ. დაცვის ინსტიტუტის შრომები ტ. VII, 1950.

5. 6. თულაშვილი, ა. აბაშიძე და თ. ილაზიშვილი—მარცვლეულ კულტურათა მავნებლების წინააღმდეგ დღის და პექსაქლორი-ნის გამოცდის შედეგები მცენარის ტოქსიკაციის გზით. საქ. მცენ. ეკოლოგიის მოამბე, ტ. XV, 1954.

6. ლ. კალან დაძე, 6. თულაშვილი და ლ. შავკაციშვილი—პურეულ მარცვლოვნთა მავნებლების შესწავლისა და მათ საწინააღმდეგო ბრძოლის ლონისძიებათა კომასლების დაზუსტების შედეგები. საქ. მცენ. დაც-ვის ინსტიტუტის შრომები, ტ. X. 1954.

7. ლ. კალან დაძე და ზ. ჯაში—მემინდევრებისა და მებოსტნეო-ბის მავნე მშენების შესწავლის შედეგები სამგორში. სტალინის სახ. თბილ. საბ. უნივერ. შრომები, ტ. 60, 1956.

8. Бей-Биенко Г. Я. и Мищенко Л. А.—Саранчевые фауны СССР, части I, II. Изд. АН СССР, 1951.

9. Бей-Биенко Г. Я.—Прямокрылые-Кузнечиковые, подсем. листовые кузнечики. Фауна СССР т. II, вып. 2. Изд. АН СССР, 1954.

10. Бей-Биенко Г. Я., Богданов-Катьков Н. Н., Чигарев Г. А. и Щеголев В. Н.—Сельскохозяйственная энтомология. Гос. Изд. с. х. литературы, 1955.

11. Каландадзе Л. и Тулашвили Н.—Материалы к изучению кузнечиков как вредителей с. х. растений. Труды Тбилисской Госунта. т. XII, 1940.



12. Маркин А. К., Заринг П. В. и Никулина Н. К.—*Вредители и болезни кукурузы*. Госиздат с. х. литературы, 1956.
13. Савенко Р. Ф.—Перечень вредителей с. х. культур ЗСФСР, часть 1, беспозвоночные Изд. Груз. фил. АН СССР, 1935.
14. Савенко Р. Ф.—Обзор саранчевых Закавказья. Труды Груз. фил. АН ГССР, зоол. сектор, т. III, 1940.
15. Савенко Р. Ф.—Материалы к фауне кузнецов в Грузии. Труды Зоол. Инст. АН ГССР, т. VII, 1947.
16. Тверской Д. Л. и Шапиро И. Д.—Временные указания по защите кукурузы от вредителей и болезней на 1956 г. Изд. МСХ СССР, 1956.
17. Тулашвили Н. Д.—Материалы к вредной фауне полевых культур в Грузинской ССР. Труды Груз. Института защиты растений, т. V, 1948.
18. Тулашвили Н. Д.—Некоторые моменты из биологии и экологии кукурузы мотылька (*Rhyacista nubilalis* Hb.) в Грузии. Изв. опыт. станц. защит. раст. НКЗ Грузии № 2, 1941.
19. Уваров В. П.—Обзор вредителей с. х. Тифлисской и Эриванской губ. за 1916—1917 г. Тифлис, 1919.
20. Pichler F. und Schreier O.—Wichtige Krankheiten und Schädlinge im Getreidebau. Bundesanstalt f. Pflanzenschutz, Wien., 1952.

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
Сельскохозяйственного Института, т. XLVI. 1957 г.

ଫର୍ମ୍. ଡି. ୩୧୯୯୮୦ସୀନୀପ୍ରେ, ଫର୍ମ୍. ବ୍. ୧୩୬୦୩୦୭୩୦୯୦

სიმინდის ავალებოლობაზე საქართველოს პიროვნეული

ამ ბოლო წელებამდე სიმინდის კულტურას აწარმოებდნენ საბჭოთა კავშირის მხოლოდ სამხრეთ რესპუბლიკის ში. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში სიმინდს მეორეაბის სხვანანი ნაკვეთები ეთმობოდა. მეცხროველების საჭიროებამ სიმინდის კულტურის შემდგომი განვითარება მოიხსოვა, ამიტომ პარტიამ და ხელისუფლებამ ამოცანად დასახეს ამ კულტურის ფართობების გადიდება არა შარტო მისი ზრდა-განვითარების ოპტიმუმურ ზონებში, არამედ უფრო ჩრდილოებითაც. პრაქტიკამ სულ მოკლე ზანში ამ ღონისძიების მიზანშეწონილება დაამტკიცა და სიმინდის კულტურა ღრმა ჩრდილოეთშიც შეიტრა. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სახალხო მეცნიერობის განვითარების მე-6 ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულ იქნა 1960 წლისათვის სიმინდის სათესი ფართობის გადიდება კოლეგიურნეობებსა და საბჭოთა მეცნიერობებში არა ნაკლებ, ვიდრე 28 მილიონი ჰქებრაობით.

სიმინდის ფართობების შრლის ასეთ სწრაფ ტემპთან ერთად, დასახულია ფართობის ერთეულზე მაღალი მოსავლის მიღება არსებული აგროტექნიკური წესების ზუსტად გატარებისა და მათი შემდგომი სრულყოფის საფუძველზე.

ბუნებრივია, რომ, თუ სიმინდი მისთვის ნაკლებ ხელსაყრელ ნიადაგურ და კლიმატურ პირობებში იმყოფება. იგი უფრო ადვილად დაქვემდებარება სხვადასხვა ავალმყოფურ მოვლენას და ხშირად მაღალი მოსაცლის ამოცანის შესრულება მიუღწევდება დარჩება. ამიტომ საჭიროა საცუდებლიანად შევისწავლოთ სიმინდის კულტურის ავალმყოფობანი და სისტემატურად ვაწარმოოთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

საქართველოში სიმინდის წარმოებისათვის ბევრგან არის ჰავისა და ნია-  
დაგის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ ასეთ პირობებშიც მას მრავალი ავად-  
მყოფობა უჩნდება. სიმინდის ავადმყოფობათა განერა კიდევ უფრო ძლიერდე-  
ბა მეორე მოსალის. მისალებად მისი თესეისა და შემაღლებულ ზოლში გაერ-  
ცელების დროს. სიმინდის ავადმყოფობათა ზესწავლა, მათ წინააღმდეგ სა-  
თანადო ღონისძიებათა უტარება და ახალ ღონისძიებათა ზემუშავება სიმინ-  
დის მოსალინობის შემდგომზე ზრდის პირობაა.

ମେଲିଥାରୁ, କୁଣ୍ଡଳାରୁ ତୁଳାପାଦିତ୍ୟ ସିମିନ୍ଦ୍ରି ନାକୁଳାରୁ ପୁରୁଷାଲ୍ଲବ୍ଦାରୁ ଏହିପ୍ରେସରୁ, ମିଳିବାରୀ ଏହାଲ୍ଲବ୍ଦିପାଦିତ୍ୟରେ ଶାତ୍ରୁଧରୀଙ୍କାର ଦେଖିପାରିବାରୁ ଶାତ୍ରୁଧରୀଙ୍କାର ଦେଖିପାରିବାରୁ



ტურად არ წარმოებდა. დღემდე მხოლოდ სამითოდე შრომა მოიპოვება სუმინის გარემონტიკული დღის დავადებებზე.

ამ შრომებში ძირითადად გამოკვლეულია ავადმყოფობათა გამომწევევი ორგანიზმების ბიოლოგიურ-მორფოლოგიური თაეისტურებანი და მეტად მეტალადაა გაშექმნული ბრძოლის ლონისძიებანი, რაც შემუშავებული და განხორციელებული უნდა იქნეს სიმინდის წარმოების პირობებში (გარდოსანი-ძე, შოშიაშვილი).

საქართველოს ოებუბლიერში უფრო საფუძლიანი გამოკვლევებია ჩატარებული სიმინდის მარცვლის ავადმყოფობათა შესასწავლად (საქ. სახ.-სამ ინსტიტუტი), რის ნიადაგზეც შემუშავებულია თესლის ფიტოპათოლოგიური ექსპერტიზის საფუძლები. ეს საუკეთესო მასალას წარმოადგენს თესლის სწორი შერჩევისათვის.

სიმინდის კულტურის სათესი ფართობების გადიდებისა და ამ კულტურის პროდუქტების წარმოების შძლავრი განვითარების მოცანა პრაქტიკული აუნიჭებს მცენარეთა დაცვის მუშავების წინაშე სიმინდის ავადმყოფობათა და ბავნებელთა ყოველმხრივი შესწავლისა და მთა წინააღმდეგ საჭირო უფასტურ ლონისძიებათა შემუშავების პროცესის. ამ პროცესის გადაწყვეტაში გარევიშვილი წელი უნდა შეიტანონ მცენარეთა დაცვის სპეციალისტებში.

ამ შრომაში მოცემული გამოკვლევები ძირითადად ჩატარებულია შრომის წითელი დროშის თრდენის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, ინსტრუტის ფიტოპათოლოგიის კათედრის თანამშრომლის დოც. ბ. ვარდოსანის მიერ. დიდი ნაწილი მასალებისა, განსაკუთრებით ტაროს და თესლის ავადმყოფობათა შესახებ 1939—40 წლების კლევითი მუშაობის შედეგია, ნაწილი კი მოპოვებულია 1945—50 წლებში.

დღემდე ჩენენს ოებუბლიერში, როგორც მინდვრად — უმთავრესად მოსავლის აღების პერიოდში, ისე შენახეის პირობებში (ბელლებში) რეგისტრირებული და ნაწილობრივ შესწავლილია სიმინდის სათესსლე და სასაქონლო მასალის 27 ავადმყოფობა: მათგან 25 სოკოვანი, ერთი ბაქტერიული და ერთი არაბარაზე ტული წარმოშობისა. ზოგი დაავადება მთლიან საქართველოს პირობებისათვისაა დამახასიათებელი და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში არ გვხვდება. ისეთ დავადებებზე, როგორც საკარანტინო ლიფექტებზე; უფრო უნდა გავაძახილოთ ყურადღება.

სიმინდშე ვეგეტაციის პერიოდში და მის ტაროშე მოსავლის აღმოჩა და შენახეის პერიოდში აღნიშნულია შემდეგი ავადმყოფობანი:

1. *Fusarium moniliforme* Schleid.—სიმინდის ფუზიარიობი.
2. *Diplodia zeae* (Schw.) Lev.—სიმინდის დიპლოდიოზი.
3. *Nigrospora otizae* Petch.—სიმინდის ნიგროსპორიზი.
4. *Giberella saubinetii* (Mont.) Sacc.—ტაროს წითელი სილამბლე.
5. *Ustilago maydis* (B. C.)—სიმინდის ბუშტოვანა გუდაფეტე.
6. *Ustilago Reiliiana* Kuhn.—სიმინდის მცვრივანა გუდაფშტა.
7. *Helminthosporium zeicola* Stout.—სიმინდის ჰელმინთოსპოროზი.
8. *Helminthosporium maydis* Oke et Sli.—სიმინდის ჰელმინთოსპოროზი.
9. *Physoderma zeae* Show.—სიმინდის ფიზოდერმიზი.



10. *Sclerotinia libertiana* Fucil.—სიმინდის სკლეროცინდა.
  11. *Cladosporium zae* Lobik.—კლადოსპორიუმი.
  12. *Cladosporium herbarum* Pers.—კლადოსპორიუმი.
  13. *Botrytis cinerea* Pers.—ბოტრიტისი.
  14. *Alternaria tenuis* Nees.—ალტერნატინა.
  15. *Alternaria* sp.—ალტერნატინა.
  16. *Aspergillus niger* Van. Tiegh.—ასპერგილოზი.
  17. *Aspergillus* sp.—ასპერგილოზი.
  18. *Penicillium* sp.—პენიცილიუმი.
  19. *Rhizopus* sp.—რიზოპუსი.
  20. *Acremoniella atra* (Corda) Sace.—აკრემონიელა.
  21. *Brachysporium* sp.—ბრახისპორიუმი.
  22. *Melanospora Zamiae* Corda—მელანოსპორა.
  23. *Aposphaeria zeae* Lobik.—აპოსფერია.
  24. *Epicoccum* sp.—ეპიკოკუმი.
  25. *Trichotbecium roseum* Link.—ტრიქოთეციუმი.
  26. სიმინდის ტაროს ბაქტერიოზი.
  27. სიმინდის თეთრია.

სიმინდის აფალმულობრივა გავრცელება

ანტიშენულ ავადმყოფობათა როგორც გაერცელების ორეალი, ისე ლავა-  
ცების ხარისხი განსხვავდებულია. გაერცელების მხრივ პირველ „რიგში ფუზა-  
რიონიშია აღსანიშნავი, რომელიც საქართველოში კველგან გვხვდება. მისგან  
გამოწვეული დაავადების ხარისხიც მაღალია: 1939—40 წლებში ჩენი გამოწ-  
ვეულებით ფუზარიონიშით სიმინდის ტაროს დაავადების პროცენტი აღმოსავალე  
საქართველოში 5-ს შეადგინდა, დასავლეთ საქართველოში — 6%. ფუზარიონის  
შემდეგ დასავლეთ საქართველოში უნდა აღინიშნოს დიპლოდიოზი. ის აქ  
კველგან არის გაერცელებული. მის მიერ გამოწვეული დაავადების პროცენტი  
მოსავლის აღების ბერიოდში 3,2-ს აღიარება.

ავადმყოფობათა დასახულება	დაავადებული ტაროების რაოდენობა %-ით		დასაცლებ საქართველო	
	აღმისავ. საქართველო	მოსაცლის აღმის პერიოდში	ბელად	მოსაცლის აღმის პერიოდში
1 სიმინდის ფუზარიოზი . . . . .	5	6,4	6	3,8
2 სიმინდის დიპლოდიოზი . . . . .	0,21	—	3,2	3,25
3 ნიგროსპორიოზი . . . . .	4,7	2,6	1	1
4 ოფტა . . . . .	6	3,2	0,3	0,9
5 ბაქტერიოზი . . . . .	3,2	0,17	ფრთველები	0,5
6 წიფლი სიდამპლე . . . . .	0,07	0,09	2,5	1
7 ბუშტოვანი გუდაფშეტა . . . . .	0,43	—	0,4	—

ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ როგორც მინდერად, ისე ბელლებში დასაცლეთ საქართველოში უფრო გაერცულებულია სიმინდის ფუზარიოზი, წითელი სიდამპლე და დიპლოდიოზი, აღმოსავლეთ საქართველოში კი უფრო მეტად გვხვდება: ნიგროსპორიოზი, ოფტა და ბაქტერიოზი.

რაც შეეხება ტაროს დაობების გამოწვევე სოკოებს, როგორიცაა, მაგ., პენიცილიუმი, რიძობუსი, ასპერგილუსი, ტრიქოთეციუმი, კლადოსპორიუმი და სხვა, ისინი ყველაზე არიან გაერცულებული და შენახვის პირობების მიხედვით სხვადასხვა რაიონში მეტანაცლებად გვხვდებიან. ამასთან, დაობების ხარისხი იქ უფრო მეტია. სადაც მოსაცლის აღებისა და შენახვის პირობები ცუდია. ტაროები ტენიანია, ხეავების სიმაღლე სტანდარტით გათვალისწინებულზე (1,5–3 მეტრი) მეტია და თესლსაცავები შეუცვერებელია. ეს სოკოები მეტი სიძლიერით შენახვის ბოლო პერიოდში გვხვდება. განსაკუთრებით სასაქონლო მასალაში. ასე, მაგალითად, გაზაფხულზე „ობის“ სოკოებით გამოწვეული და ავადება 15,3–30%. უდრიდა. სათესლე მასალაში დაობები უფრო მცირე იყო: შემოდგომაზე 0,7%, გაზაფხულზე კი – 4%. როგორც გამონაცლისი, აღნიშნულია ერთი შემთხვევა. როდესაც სათესლე მასალის დაობება ლაგოდებში 8% უდრიდა შემოდგომაზე.

სიმინდის ტაროს ავადმყოფობათა დიდი შემეტებობა და მათ რიცხვში ფუზარიოზი, დიპლოდიოზი, ოფტა, ნიგროსპორიოზი, წითელი სიღამპლე და გუდაფშეტა მოსაცლის აღების დროს გვხვდება, რაც იმას მოწმობს, რომ ტარო ძირითადად მინდერად ავადდება. ამასთანავე, ზოგი ავადმყოფობა, როგორიცაა, მაგ., მტვრიანა გუდაფშეტა, ბუშტოვანი გუდაფშეტა და ბაქტერიოზი, ტაროსათვის მხოლოდ მინდერის პირობებშია საზიანო, ზოგი კი თან მიყენება მოსავალს, შენახვის პირობებში განაგრძობს განეითარების და ამრიგოდ, როგორც მინდერად, ისე შენახვის დროს ტაროსათვის საშიშია. ასეთია, სახელდობრ: დიპლოდიოზი, წითელი სიდამპლე, ნიგროსპორიოზი და უმეტეს შემთხვევაში ფუზარიოზი.



სიმინდის თეორია ტაროს მინდვრადვე ავადებს. მისი საშინო შემცირებულების ბელლად იმ მხრივ არის აღსანიშნავი. რომ თეორიათი დაავადებული ტარო შემცირები ადვილად ავადლება სხვადასხვა სოკოთი, რის გამოც ის სრულიად უვარესი ხდება. ტაროს დანარჩენი ავადმყოფობანი მინდვრად შედარებით იშვიათად გვხვდება და მათი საზიანო მოქმედება უფრო შენახვის პირობებშია აღნიშნული. ასეთი არიან პენიცილიუმის და კლადოსმორიუმის წარმომადგენლები.

მინდვრად ტარო უმეტესად ერთი ავადმყოფობითა შეპყრობილი, შენახვის პირობებში კი მასშე ხშირად სხვა სოკობიც სახლდებიან, რის გამოც ტაროზე ავადმყოფობათა კომპლექსი იყრის თავს.

უმეტეს შემთხვევაში ტარო წვერის მხრიდან არის ხოლმე დაავადებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფუნქჩი ტაროზე მტკიცედ არ არის შემცირებული და მისი წვერი გაშიშვლებულია. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ინჟექცია უფრო გაადვილებულია. ტაროს წვეროში ინჟექციის ადვილად შევრას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ ადგილას წვეულებრივ თავმოყრილია ნაკლებ განვითარებული და სუსტი მარცვლები. ამასთანავე, აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ადგილას, ტარო ბშირად არის დაზიანებული მწერებისაგან. ჩვენ გამოკვლევების დროს ნათელი სურათი შეიძმა იმისა, რომ სიმინდის პეპელათი დაზიანებისა და ფუზარიონითა და ასერტებლობით დაავადებას შორის პირდაპირი კორელაციური კავშირი არსებობს. სხვადასხვა სოკოთი ავადლება აგრეთვე თეორიათი დაავადებული ტაროც, მაგალითად, თეორიათი დაავადებული ტაროების 18,3% ერთლროულად ფუზარიუმითაც იყო დაავადებული.

ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სოკოს, განსაკუთრებით ობის გამოწვევს, მლრღნელებითა და მექანიკური მოქმედებით დაზიანებულ ტაროებზე. მექანიკური დაზიანება კი უფრო მეტად კრუგზე და მინენოტაზე არის აღნიშნული. როგორც ჩანს, შედარებით ნაოქიანი შედაპირის გამო ამ ჯიშთა სიმინდის მარცვლები ადვილად ზიანდება მოსავლის აღებისა და შენახვის ოპერაციების დროს, და ეს ადგილებს მათ ინფიცირებას.

ტარო სხვადასხვა სახით ავადლება. ზოგჯერ მხოლოდ ცალკეული მარცვლებიდან დაავადებული, ზოგჯერ კი მთელი ტარო, როგორც მარცვლები, ისე ნაქუჩი. განსაკუთრებით საზიანო ტაროს დაავადების ის სახე, როდესაც მისი გამომწვევი მიკროორგანიზმი ნაკუჩი სახლდება, აქედან მარცვლებში იქრება, ჯერ მათ ფუქსის ავადებს, შემდეგ კი დანარჩენ ნაწილს. ტაროს ამ სახის დაავადება დიფუზური ხასიათისაა. ამ შემთხვევაში ტარო უმეტესად მთლიანად ავადლება; ჩანასახის დაავადების შესაძლებლობაც მეტად ავადმყოფობის უარყოფითი გავლენა ტაროს სასაქონლო და სათესლე ლირსებაზე ძლიერია, ამ, სახის სენით სიმინდის ტაროს ავადებს დიპლოდიოზი, წითელი სიდამპლე, ნიგროსმორიზი. ზოგჯერ ფუზარიოზი და ზოგიერთი ობის გამოწვევი სოკო (პენიცილიუმი, ბოტრიტისი). ასე, მაგალითად, სოფ. ოდილაურზი მოსავლის აღებისას საცდელი ნაკვეთის გამრკვლევის დროს, დიპლოდიოზით დაავადებული ტაროებს საერთო რაოდენობიდან მთლიანად დაავადებული აღმოჩნდა 57,3%. დანარჩენი ტაროები შენახვის პერიოდში განვრმობდნენ ლპობას, და გაზაფხულზე მთლიანად დაავადებული აღმოჩნდნენ.

წითელი სიღამპლე ტაროს აავადებს დიპლოდიოზის შეგავსაღ, შეულოდ უკანი იმ განსხვავებით, რომ დაავადებას ყოველთვის წევროდან იწყებს, ფიჭლორიზუმი დიდი კი როგორც წევროდან, ისე ფუძიდან.

ნივროსპორიოზი უმთავრესად სუსტ და შაბინჯ ტარობზე გვხვდება, ხოლო შენახვის პერიოდში იგი სავსებით დასრულებულ ტაროებზეც არის შეინშული. ტაროების მთლიანი დაავადება კი უმთავრესად ბერლებშია აღნიშნული.

რაც შეეხება ფუზარიოზს, იგი უმთავრესად ცალეულ მარცვლებს ან მარცვლების ჯგუფს აავადებს. ტარო მთლიან დაავადების მაშინ აქვს ხოლმე ადგილი, როგოსაც ის ადრევე ავადდება მცენარის ვეგეტაციის დროს. ასეთი ტაროები მოსავლის აღებისას სრულიად განუვითარებელი და უვარებისა. ამასთანავე, სოკო როგორც მარცვლებში. ისე ნაწილის კველი ნაწილში ლრმად არის შეტრილი. ფუზარიოზით მთლიანად დაავადებული ტაროები შენახვის პირობებში შედარებით იშვიათად გვხვდება.

აღნიშნული ავადმყოფობანი—დიპლოდიოზი, წითელი სიღამპლე, ნივროსპორიოზი და ნაწილობრივ ფუზარიოზი განვითარების პოლო პერიოდში უმეტესად მშრალი სიდაბლის საბით არიან გამოვლინებული. დაავადებული ტარო გამომშრალია და მსუბუქი, მარცვალი შემქენარია, მისი შიგთავსი დაშლილია და ტარო ადგილიად იტუშნება.

ტაროზე ობის გამომწვევი სოკოებიდან განსაკუთრებით პიტრიტისი და პერიკლიუმია აღსანიშნავი. ვარბტენან ტაროებზე ისინი ნაწერიდან იქრებიან მარცვლებში, ტაროს მთლიანად აავადებენ და მარცვალს სავსებით უკარგავენ გაღივების უნარს. დანარჩენები, როგორც მაგალითად, Alternaria, Cladosporium, Trichotrichium და სხვ., მომეტებულად სახლდებიან ტაროს წევრზე, ნაწერისა და განუვითარებელ ბეკი მარცვლებზე და იმ შემთხვევაში არიან უფრო მინებელნი, როდესაც შენახვის პერიოდში მათი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები შეიქნება.

### ავადმყოფობათა გავლენა თესლის გაღივების უნარიანობაზე

ამ საკითხს აქ ზოგადად შევეხებით, რამდენადაც მასზე ცალეულ ავადმყოფობათა განხილვის დროსაც შეტრილით.

ავადმყოფობის გავლენა თესლის გაღივების უნარიანობაზე პირობითადად ავადმყოფობის გამომწვევი მიწროორგანიზმის ბუნებაზე და თესლის დაავადების სიძლიერეზეც დამოკიდებული. ამ მშროვ სხეადასხეა შემთხვევა შესაძლებელი. დაწევებული თესლის ზედაპირული ინტენსიტეტი და დამთარებული მიცელიუმის შეგრით თესლის სხეადასხეა ნაწილში. უკანასკნელ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიკროორგანიზმი ჩინასახშია შეტრილი, ავადმყოფობათა გავლენა უფრო ძლიერია და თესლის გაღივების უნარიანობა მცირება. თესლის გაღივების პერიოდი კი მცენარის სიკოცლისათვის ქრიტიკული მომენტია და მოძველი მცენარის ნორმალური ზრდა და განვითარება აუცილებელი წინაპირობაა მისი კარგი პროდუქტიულობისა. თუ მცენარე გადავიდების პერიოდში დაავადების მიზნით არანორმალურად დაიწყებს განვითარებას, შემდეგში, რა საშუალებითაც უნდა დააღწიოს თავი. მე მოვლენას, იგი თავისი პროდუქტიულობით გვერდში ვერ ამოუდგება ლიკობრდანვე ნორ-

მალურ განვითარებაში მყოფ მცირეარეს. ამ მხრივ თესრ წყვეტილი მნიშვნელობა აქვს სიმინდის მოსაფლიანობაში.

ორივე ჯგუფის გალივების უნარიანობის შემოქმებაზ შემდეგი გვიჩვენა: ძლიერ დაავადებული მარცვლები თთქმის საცხვით გალივების უნარმოკლებული აღმოჩნდენ. მაგალითად, დიპლომიონის შემთხვევაში მხოლოდ 1,6% გალივდა. სუსტად დაავადებული მარცვლების მითლოდ ნაწილი არ გალივდა. ამასთანვე, მათი გალივების უნარიანობა განსხვავდული აღმოჩნდა ავადმყოფის სახეობის მიხედვით. ასე, მაგალითად, დიპლომიონის შემთხვევაში გალივება 10,9%, უდრიდა, ფუზირიონის - 39%, და ნიგროსპორიონის - 87%.-ს. სხვა დაავადებათა შემთხვევაშიც გალივება საღ მარცვლებთან (საკონტროლო) შედარებით ნაჯერები იყო. ასე რომ, დაავადებულად მარტო ის მარცვალი როდი უნდა ჩაითვალოს, რომელსაც აჩვარა სიმატრომები ეტულობა. შეიძლება მარცვალს გარეგნულიდ არ გმინეოდეს დაავადების ნიშნები, მაგრამ მასში ის ფარული ფორმით აჩაქონდეს. აქედან გამომდინარეობს სათხასლე მასალის ფიტოპათოლოგიური ექსპერტიზის აუცილებლობა. სუსტად დაავადებული თესლების გარევეული ნაწილი რომ მაინც ლიკიდება, ამით როდი სწყდება გალივების უნარშერჩნილი თესლის პრეპრიცელი სიჯანსაღის საკითხი. მშენებით ასეთი თესლის ლიკი დაკრინებულია, დეფორმირებულია და ნაწილობრივ არაჯანსაღი ფერი აქვს. ასეთი ლიკი კერ უზრუნველყოფს მომავალი მცენარის სრულყოფილ განვითარებას და ამიტომ მასზე დაყრდნობა სახარბიცლო შედეგს ვერ მოგვცემს.

ଜୀବିତା ଗାନ୍ଧିଜୀବିତା

1939 წელს ჩატარებული გამოკვლევებით საქართველოში ვაკულულ ებული სიმინდის ჯაშები, აღმასრული მოსავლის მიზეცვით, შემსრულებელი სიძლიერით აღმოჩნდა დაავადებული (ი. ცხრ. 2).

Царинолъчи монументален лист на Урбанизирана География на България, който съдържа 12 главни тематични карти и 12 картографични схеми, съпътствани от обширни текстови пояснения.

სიმინდის ჯიშები	უკანასკნელი წელი							
1 აჯაშეთის თეთრი . . .	ქუთაისი ლანჩხუთი	20,8 24,2	13,6 13,5	3 5	0,5 1,25	0,9	2,8	— 4,5
2 აბაშის ყვითელი . . .	ქუთაისი აბაში	26,3 17,0	15 8	3,7 3,0	1,4 2	3,4 2	1,3	— 2,5
3 იმერული პიბრიადი .	ყარაბა	16,7	7	—	—	7,3	2	—
4 კრუზი . . . . .	შესრუანი	20,5	8,5	—	4,5	6	—	1
5 მინენოტა 13 . . . . .	ოსიარეკი	19,5	2	0,25	13,0	1,25	1,5	—
6 კავკავანა აფგანობრივი ისამარეკი	21,3	3,7	0,67	3,3	6,3	7,3	—	

ცხრილში მოცუანილი ცრობებით დიპლოდიოზით სუსტად დაავადების მხრივ საყურადღებოა რამდენიმე ჯიში: იმერული პიბრიადი, კრუზი, მინენოტა და კავკავანა. მათი დაავადების ხარისხი შესაბამისად შემდეგია: იმერული პიბრიადი—0, მინენოტა—0,25%, კავკავანა—0,67%. ამ შემთხვევაში საჭიროდ მიღება არის ალვინიშვილის შემდეგი: მანენებულ ჯიშებში დიპლოდიოზი აღმოსავლეთ საქართველოს პირობებშია აღრიცხული. აյ დიპლოდიოზის გავრცელება საერთოდ მცირება და შესაძლებელია უფრო მეტად სხვადასხვა ფაქტორების გავლენით არის შესძლებული (ნალექების სიმცირე, თესლთა ბრუნვა). ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი, ოდილაურის საცდელი ნაკეთი) 1939 წლის იმერული პიბრიადის დიპლოდიოზით დაავადების ხარისხი 3,5% უდიდება და კავკავანებიც მნიშვნელოვნად იყო დაავადებული. ყველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ალვინიშვილი ჯიშების სუსტად დაავადება პირობითი და საკმარის საბუთს არ იძლევა, რომ ისინი გამძლე ჯიშებად ჩატვალით. საერთოდ ზემომყვანილი ცნობები, როგორც ბუნებრივ პირობებში ჩატარებულ დაკვირვებათა ერთი წლის შედეგი, მხოლოდ საორიენტაციო მასალას იძლევა. ჯიშთა გამძლების საკითხები, ცხადია, უფრო ფართოდ წარმოებულ მუშაობის და ხელოვნური დასწრებების მეთოდით შემოწმებას საჭიროებს.

### სიმინდის ავადმყოფობაზე ვეგეტაციის პერიოდში

სიმინდის დიპლოდიოზი—Diplodia zeae (Schw.) Sev. დიპლოდიოზი სიმინდის ერთ-ერთი მეტად მანენებელი ავადმყოფობაა. ის ავადებს როგორც ალმონაცენს, ისე მოზრდილ მცენარეს, განსაკუთრებით კი ტაროს. დიპლოდიოზით დაავადებული მარცვალი უფარგისი ხდება როგორც სათესლედ, ისე საკეცბად. დაავადებული თესლის დიდი ნწილი გალივების უზარს კარგავს. ამის შედეგად ნათესა ძლიერ გამეჩხრებული გამოდის.

ავადმყოფობა კრულდება დაავადებული თესლით, დაავადებული მცენარის ნარჩენებით და ნიადაგით. ამასთან, როგორც ამერიკელი მცელევარინი ალნიშნავენ, ინფექციის პირველი სახეობა თავისი შედეგით განსაკუთრებით



სერიოზულია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სოკო აღმონაცენთან ერთად იძრ-  
ცება.

დიპლოდიოზის გამომწვევი სოკო პირველად 1906 წელს ამერიკაში ჩატა-  
ოლიშვილი. იქ იგი ძლიერ გავრცელდა და დღემდე მისგან გამოწვეული ზა-  
რალი მეტად დიდია; ამერიკულ შევლევართა ცნობებით, იგი საშუალოდ მო-  
სავლის 10—16%, დანაკარგს იძლევა, ზოგიერთ შტატში კი ცალკეულ წლებში  
ეს პროცენტი 64-მდე აღწევს.

საბჭოთა კავშირში დიპლოდიოზი დღემდე მთლილ საქართველოშია  
აღნიშნული და საკარის მიწასაკემის 1940 წლის დადგენილებით ის შინა-  
საქართველოს მიერთებული.

საქართველოში დიპლოდიოზი პირველად აღმოჩენილ იქნა 1920 წელს  
კორონინინის მიერ (საქართველო), შემდევ კი იყო ლ. წერეთელმა და ი. შიშია-  
შვილმა დასაცემთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ნახეს. 1932 წლიდან  
ეს დაავადება შემჩნეულ იქნა აღმოსაცემთ საქართველოში (მუხრანი), შემ-  
დევ კი ცეცხლა რაიონში, მაგრამ იძლენად მცირე მასშტაბით, რომ ხშირად  
საშუალო ნიმუშში არც კი გვხვდება.

დიპლოდიოზი აღნიშნულია სიმინდის ცველა ჯიშზე: აჯამეთის თეთრზე,  
აპაშის ცვეთელზე, თეთრ და ცვითელ კაეროვანებზე, იმერულ ჰიბრიდზე, კრუგზე,  
ბინებორიზე, სტერლინგზე.

დიპლოდიოზის სიმბრტომები ავადმყოფობის ნიშნები მცენარის  
ცველა ორგანოზე—ფოთოლზე, ლეროზე, ფესვებზე გვხვდება. უფრო მეტად  
კი—ტაროზე. იგი შემჩნეულია მცენარის ცეცხლულის მთელ პერიოდში, მაგ-  
რამ უფრო ფალსაჩინოდ—აღმონაცენსა და დასრულებულ ტაროზეა აღნიშ-  
ნული.

აღმონაცენი ინფექციის: მტარებელი თესლისაგან ან ნიადაგში შერჩენი-  
ლი სპორებისაგან ავადდება. ამასთანავე, პირველ შემთხვევაში აღმონაცენი  
უფრო ძლიერ არის დაავადებული და ასეთი მცენარები ძირითადად აღრე  
ვაზაფულზე ილუბებიან ისე, რომ სოკო ნაყოფიანობის მოცემას ვერ ას-  
წრებს.

ფოთლებზე დაავადება უფრო იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ უხვი  
ტენიანობს პირობებში ელინდება. პირველად მოწითალო ფერის სხვადასხვა  
ზომის ლაქებია შესამჩნევი, რომელთა ფორმა თანდითანობით მოგრძო ხდება.  
თუ ფოთლზე ლაქის გაჩენა ფოთლის ცენტრალურ ძარღვზე დაიწყო, ლა-  
ქის გასწერივ წვერის მიმართულებით გაუცერულებული ზოლი ჩნდება. აქვე  
იძლევა სოკო დამახასიათებელ შავი ფერის პირიდიუმებს, რომელიც უფრო  
მეტად ძარღვების მიმართულებით არიან განლაგებული.

ლეროზე დიპლოდიოზის ნიშნები უფრო თვალსაჩინოა და შესამჩნევი  
ხდება ტაროს ამოლების მომენტიდან, შემდევ კი სწრაფად მატულობს. უფრო  
აშევარი ნიშნები ქვედა მუხლებზეა, განსაკუთრებით საბჯენ ფესვებთან ახლოს.  
ზედა მხარეს ნიშნები უფრო მცირე და მკრთალი ხდება. დაავადებულ აღილებში  
ლეროზე ჯერ მკრთალი ნაცრისფერი, წერტილოვან ზოლებში გარდამავალი,  
ლაქები იქნება, რომელიც თანდათანობით ყვითსფერში ვადადის, ზოლოს კი,  
პირიდიუმების უხვად წარმოქმნის მომენტში, ზავ ფერს ლებულობს. სოკოს

შიცულიუმი გარედან არ ეტყობა, იგი ლრმად იჭრება ქსოვილებში და ლეროს-  
ჯულს შესამჩნევად აფუტუროვებს. ასეთი ნიშნების ნააღმდევად გაჩინის შემადგენ  
თხვევაში აშირად მცნარე კვდება, მოგვიანებით გაჩინისას მცნარე არ კვდება.  
მაგრამ იგი სუსტი აგებულების რჩება.

ფესვებზე აფადმყოფობის აშვარა ნიშნები უფრო მოგვიანებით მეღლავ-  
ნდება. აქ ყავისფერი ლაქა იქმნება, რომელიც ქვედა მხარეს სივრძივ მიე-  
მართება; ამ ლაქაზე ურიცხვი ზაფი ფერის პიკნიდიუმი ჩინდება ძლიერ და-  
კადაბული ფესვების გალი ფუტუროვდება და მისი ადვილად ვადატება  
ხდება.

უფრო თვალსაჩინო და ადვილად გამოსაცნობი ნიშნები ტაროზე ჩინდე-  
ბა. ტაროს დაავადება წვეროდან ან ძირიდან იწყება და თანდათანობით  
მოელ ტაროზე ვრცელდება. დაავადებული მარცვალი ბზინვარებას კარგის,  
ფერს იცვლის ჯერ ჩინასაბის არეში, შემდევ კი მთლიანად. მარცვლებისა და  
განსაკუთრებით მათ რიგებს შუა სოკოს მიცელიუმის თეთრი ფიტქი შესაჩ-  
ჩინება. დაავადებულ მარცვლებზე, უფრო მეტად მათ ძორზე, ტაროს ნაქუჩე-  
და მარცვლების ბუდეში შავ-შავი წერტილისებრი ბორცვები შეიმჩნევა, რაც  
სოკოს ნაყოფიანობას—პიკნიდიუმებს წარმოაღენს. სოკოს მიცელიუმი და  
ნაყოფიანობა ტაროს ყუჩწე, ფუჩჩი და ულაშებზე ვითარდება. ასეთ შემ-  
თხვევაში ფუჩჩი და ულაში მტკიცედ არის მიყრული ტაროზე. სამოლოოდ  
დიპლოდიონით დაავადებული ტარო მსუბუქია, გამოიშრალია და ადვილად  
იმტკრევა. მარცვლები ნაწილობრივ ან მთლიანად გამუშებულია—ყავისფერია  
ან შავი. მარცვლებსა და მათ რიგებს შორის გრძებარე ფიტქი შეთელილია.  
მარცვლები შემცნარია, რის გამოც ერთმანეთისგან დაშორებული არიან. შა-  
თი კავშირი ნაქუჩიან სუსტია და ტარო ადვილად იუზვნება. დაავადებული  
მარცვალი საღარა შედარებით ორჯერ მსუბუქია. შენახვის პირობებში ან-  
დაბან ტაროზე ფიტქი არ ეტყობა. მარცვლები ჩინასაბ არეში გამუშებუ-  
ლია, ზოგჯერ ტაროს მოშავო ფერი აქვს.

დიპლოდიონის გამომწვევი სოკოს მორფოლოგიური  
ნიშნები. სიმინდის დიპლოდიონის გამომწვევად ლიტერატურაში აღნიშ-  
ნულია *Diplodia*-ს გვარის სამი სახეობა:

1. *Diplodia zeae* (Schw.) Lev.
2. *Diplodia frumentii* E. et Fv.
3. *Diplodia macrospora* Farle.

აღნიშნული სახეობანი ერთმეორისაგან განსხვავდებიან როგორც დაზი-  
ანების გარეგნული სახით, ისე შორტოლოგიური ნიშნებით. ამათვან გავრცე-  
ლების ხარისხისა და მავნეობის მარივ პირველ აღგილზე *D. zeae* დგას.

საქართველოს პირობებში ჯერჯერობით მაოლოდ *Diplodia zeae* გვხვდე-  
ბა. მისი მიცელიუმი ჩვეულებრივ მოთეთროა, მოძელების შემთხვევაში კი  
ბშირად ბაცი-მოყავეისფრო ხდება. მიცელიუმი განსაკუთრებით ძლიერად მარ-  
ცვლის გვერდებზე და მათ რიგებს შუა გვხვდება. ნაყოფიანობას პიკნიდიუ-  
მების სახით იძლევა, რომელიც ფოთლებზე, ფესვებზე, ლეროზე, განსაკუთრე-  
ბით კი ტაროს სხვადასხვა ნაწილზე (ნაქუჩე, მარცვლებზე, ფუჩჩი და ულაშ-  
ზე). გვხვდება. ზოგჯერ პიკნიდიუმები ტაროს ქსოვილების გარეშე, მიცე-



ლიუმების ხლართებშია ზექმნილი. მარცვალზე პიკნიდიუმები კანსა და რეზონაცია არის ფენს შეა, ენდოსპერმში და ხშირად კი ჩანასაბშიაც ვითარდება და გადასაცავის სახის ტენის ფენს შეა.

დიპლოდიას ორგაზო პიკნიდიუმებია ცნობილი მოყავისფრო სამორებით და ძაფნაირი სპორებით. ძაფნაირსპორებიანი პიკნიდიუმები პირველად აღმოჩენილი იყო H. Johann-ის მიერ. საქართველოში ამ გამოკლევებიდე სოკოს მაღლოდ პირველი სახის პიკნიდიუმები იყო ცნობილი. მეორე სახის პიკნიდიუმები ჩენში ნამოენია 1940—41 წლებში ქუთაისის, სიმონეთის, ლაშეცხათის, აბაშის და ზუგდიდის მასალებში.

D. zeae-ს ნაყოფიანობის პირველი სახე შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: პიკნიდიუმები შეტანილად მრგვალია, ოვალური ან ზოგჯერ ოდნავ შებრტეპლებული. მათი ზომა დიამეტრში 375 მიკრონია. გარსი პარენქიმატული ქსოვილისაგან ზედგება, პერიფერიულ ნაწილში მუქი ყავისფერია, გულისაკენ კი უფრო ბაცი. წვერზე პორუსი აქვს დატანებული. პიკნიდიუმები ერთეულია ან ჯგუფებად სხედან. პიკნიდიუმების ერთმანეთთან დაახლოების გამო ზოგჯერ გარსი მათ ზორის გაერთიანებულია.

კონიდიათმტარები ჩირისისბრია, უფერო, სიგრძით 20 მიკრონამდე. სპორები თითისტრისისბრ-ცილინდრულია, წვერზი მომრგვალებული, ძირში შედარებით შევიწროებული, უფრო ხნირად სხვადასხვა სიძლიერით მოხრილი, ერთ ან იშვიათად ორ-სამტაცირიანი. ორი ტიპის შემთხვევაში უჯრედები მეტაზილად ორათანაბარია, ორი უჯრედი მოკლე, მესამე კი მათზე ორჯერ კრძელი. სპორები ბაცი ყავისფერია. მათი ზომა 16,5—33,5×5—6 მიკრონია. პიკნიდიუმებისაგან ისინი ზევი ლორწოვანი წვერთის ან და ზევი ხევული ძაფის სახით გამოიყოფან. ეს უკანასკნელი წყლის წვერში სწრაფად იშლება, ხოლო მშრალ არეში დიდან დაუშლელი რჩება.

პიკნიდიუმების მეორე სახე—უფერო-ძაფნაირი სპორებით (Scolecospores) ჩვეულებრივ პიკნიდიუმებთან ერთად გვხვდება და ლუპაში გასინჯვისას იშით ვამოიცნობა, რომ აյ პიკნიდიუმებიდან ბაცი-ჩილისფერი წვერთი ან ამავე უკრის ხევული ძაფი გამოიყოფა. აღნიშნული გვვედებოდა აჯამეთის თეთრზე და აბაშის კვითოლზე როგორც შემოღომობით, ისე განაფხულზე.

პიკნიდიუმები Scolecospores მომრგვალო ან ოვალურია, ზომით 125×125, 187—250×100—187,5 მიკრონი. მათი გარსი უფრო ნათლად ზედა ნაწილშია გამოსახული. პიკნიდიუმები ზოგჯერ ჯგუფადა შეერთებული და შემჭიდროების გამო შეზობელ პიკნიდიუმების საზღვართან გარსი ზოგჯერ გაერთიანებულია და სუსტადა გამოსახული, ზოგ შემთხვევაში პიკნიდიუმები ორჯამერიანია.

ასეთ პიკნიდიუმებში სპორები ძაფნაირია, სწორია ან კლავნილი, უფერო, ზომით 18—26,8—1 მიკრონი, სპორების გროვა ოდნავ მომწვანო მოყვითალოა. ერთსა და იმავე პიკნიდიუმში, ძაფნაირი სპორების გარდა, ზოგჯერ D. zeae-ს ჩვეულებრივი სპორებია შესამჩნევი.

დიპლოდიონისა და მისი გამომწვევი—Diplodia zeae-ს განვითარების პირობების და გამომწვევი—Diplodia zeae-ს განვითარების გროვას გამოსახულის ავეისტოს თვის მეორე ნახევრიდან ან სექტემბრიდან იწყებს, როცა ტარო შევი სიმწიფეში ზედის, ტემპერატურული პირობები ჯერ კიდევ მაღალია. შრომები, ტ. XLVI.



ლია და ჰაერის ტენიანობაც თანდათანობით მატებას განიცდის. სოკურული ტენიანობითად ინფექციის მომენტისათვის შოთხოვს, შემდეგ კი იგი ტაროვაში შემცველი ტენით კმაყოფილდება. ინფექციის შემდეგ ტარო კიდევაც რომ გამოჩერეს, იგი მაინც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობის უნარს და მარცვლის ნელ, მაგრამ თანდათანობით დაშლას იწყევს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტაროს დასნებუნება მისი ყველა ნაწილიდან არის შესაძლებელი. ტაროს დაავადების დაწყებას ეცნობით როგორც წვეროდან, ისე ფუძიდან იმისდა მიხედვით, თუ სად მოხვდა ინფექციის გამომწვევი და სად შეეჭმნა მას ტაროში შეჭრის პირობები.

სოკუს სპორის წინაშერდილის შეცრისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 25—30°C მეტყობის, საინკუბაციის პერიოდი 3—5 დღეს არ აღმარტება. ნაყოფიანობის—პიკინილიუმების პოცემის სოკუ ლაბორატორიულ პირობებში მე-6—9 დღეს ასწრებას. რაც შეეძება ბუნებრივ პირობებში ნაყოფიანობის მოცემას, ამის შესახებ საკუთარი ცნობები არ მოგვეპოვება, ლიტერატურული ონაცემებით კი ეს 15—30°C პირობებში 5—6 დღეში ხდება.

სოკუს დაზამთრება მინცვის პირობებში პიკინილიუმების საშუალებით ხდება უმთავრესად ლეროს ნარჩენებზე, ფესვებზე, შენაბვის პირობებში კი დაზამთრება, გარდა პიკინილიუმებისა, წარმოებს მიცელიუმის სახითაც თესლში.

სიმინდის ფუზარიოზი—*Fusarium moniliforme* Scheld. ლიტერატურული წყაროების მიხედვით სიმინდზე *Fusarium*-ის გვარის რამდენიმე სახეობა გვხვდება:

*Fusarium merismoides* Cda.

*Fusarium poae* (Peck) Wr.

*Fusarium avenaceum* (Fr. Sacc.).

*Fusarium diversisporium* Sherb.

*Fusarium equiseti* (Cda) Sacc.

*Fusarium scirpi* Lamb. et Faurt. v. *acuminatum* (Ell. et Ev.) Wr.

*Fusarium culmorum* (W. G. Sm.) Sacc.

*Fusarium moniliforme* Scheld.

ამათვან უფრო მეტად აღსანიშნავია *F. moniliforme*, რომელიც გვხვდება როგორც აღმონაცენზე, ისე მოზრდილ მცენარეზე და უმთავრესად კი ტაროზე. იგი საქართველოში ყველგანაა შემჩნეული და საქმიანდ გაცრუელებული.

1939 წლის გამოკვლევებით აღმოსავლეთ საქართველოში მოსავლის აღების პერიოდში ფუზარიუმით დაავადება საშუალოდ 5%, უდრიდა, ხოლო ცალკეულ რაიონებში: მუხრანში—8%, გარდაბანში—7,7%, ოსიაურში—2%. დასკვლეთ საქართველოში დაავადება მოსავლის აღებისას 6%, შეაღვენდა, ცალკეული რაიონების მიხედვით კი: ქუთაისში 15,3%, ლანჩაურში—13,5%, აბაშიში—8%. როგორც გამონაკლისი, აღსანიშნავი სკრის მასალა (აღმ. საქართველო), სადაც დაავადება მოსავლის აღების დროს 42%, შეაღვენდა. როგორც გამოიჩვა, ყანა, რომლის მოსავლი დაავადების ასეთი მაღალი



პროცენტით ხასიათდებოდა, დაგვიანებით იყო დათესილი, რასაც ჰქონდა განეპირობებინა დაავალებას ისეთი დიდი გავრცელება.

ფუზარიოზით დაავალებას განიცდის როგორც აღმონაცენი, ისე მოზრდილი მცენარე. ეს უკანასკნელი ინფექციის მიმღებიანობას განსაკუთრებით ტაროს შექმნის შემდგომ პერიოდში იჩინს. ძლიერ ავალება თვით ტარო და მისი მარცვლები. ავადმყოფობის ნიშნები შემდეგია: ტაროზე უფრო ხშირად მარცვლების ჯგუფია დაავალებული. გვხვდება ცალკეულ მარცვლებზეც. დასაწყისში მარცვლებზე მოვარდისფრო ფიტქა შესამჩნევი, რომელიც შემდეგში თანდათანობით ძლიერდება და მარცვლებსა და მათ შორის არეს მთლიანად ფარავს. დაავალებული მარცვალი შრება და იქმუქნება, მისი შიგ-თავსი ადვილად იშლება. დაავალებული მარცვლების საზღვაოთან მარცვალი ფარულ ფორმაშია დაავალებული და მხოლოდ ნოტიო კამერებში მოთავსებით იძლევა აშეარა ნიშნებს. ამ შემთხვევაში ფუზარიოზი მოვარდისფრო ნაზი ფიტქის სახით ვითარდება ჯერ მარცვლების ძირში, შემდეგ კი—მთელ მარცვალზე. ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში მოვარდისფრო შეფერილობას იღებს.

ცალკეული მარცვლები მომეტებულად მაშინ ავალება, როდესაც ისინი წინასწარ თეთრათო, მღრღნელებით ან მექანიკური მოქმედებით არიან დაზიანებული. ბელად გამოკვლევების დროს თეთრათო დაავალებული ტაროების 18,3% ერთდროულად ფუზარიოზითაც აღმოჩნდა დაავალებული.

სშირ შემთხვევებში ტარო არა მარტო ნაწილობრივ, არამედ მთლიანად ავალდება. ამ დროს სოკო, მარცვლების გარდა, ნაქნიშიაც გადადის და ავალ-ბუთობა დიფუზურ ხასიათს დებულობს. ფუზარიოზით დაავალებული ზოგიერთი ტარო მოსავლის აღებისას საესხმით განუითარებელია, მარცვლები მოუმშიერებელია და შემცნარი, ტარო მსუბუქია და ადვილად იმტვრევა. ასეთი ტაროების მიეროსკოპულმა ანალიზმა გვიჩენა, რომ მიცელიუმი და სოკოს ნაყოფიანობა ტაროს ყველა ნაწილშია განვითარებული.

მინდერად ფუზარიოზის ხშირად უხვდებით ისეთ ტაროებზე, რომელთა მარცვლები ფუქრით დაფარული არაა. იგი ხშირად ჩნდება აგრეთვე მავნებლებისაგან დაზიანებულ აღილებში.

ფუზარიოზის გავლენა თესლის გალივების უნარიანობაშე დამოკიდებულია თესლის დაავალების სიძლიერეზე და აგრეთვე იმაზე, თუ თესლის რომელ ნაწილშია სოკო შეკრილი. როდესაც სოკო მარცვლის წევრზეა დასახლებული, მარცვალი ნოტიალურად ღივდება, ხოლო როცა სოკო ჩინასაში ან მის არეშია შეკრილი, მარცვალი ან სრულებით არ ღივდება ან სუსტსა და განვითარებაში ჩამორჩნდილ ღივს იძლევა.

ნემლიენჯოს ცნობით, ფუზარიოზით დაავალებული მარცვლებისაგან ზრდა-ში ჩამორჩნდილი მცენარეები მიიღება, მათი უმეტესობა ადვილად ავალდება სხევადასხევა ავადმყოფობით, მათ რიცხვში ფუზარიოზითაც და, საბოლოოდ, მცირე და დაბალი ხარისხის მოსავალს იძლევა.

*Fusarium moniliforme* სიმინდის ტაროზე წევრლებრივ მიეროვნიდიალურ სტადიაში გვხვდება, მოვარდისფრო, ფვეირი ნაზი ფიტქის სახით. მეტად იშვიათად ტაროზე მაკროკონიდიები ვითარდება მოვარდისფრო-ყვითელი,



ნარინჯისფერი ან ატბისფერი ვრცელების სახით. მიკროკონიდები ჰაზროვან  
მიცელიუმშე ვითარდება მძიებად, ცრუთავეებად ან გაფარტულად. ჭარბი  
ათმტარი მარტივი ან სუსტად დატოტვილად. მიკროკონიდები ერთ, ან  
შეტაც იშვათად, ორუჯრედიანებია, მოგრძო თითისტრისებრი და უფერო;  
მათი ზომა  $5,4-13,5 \times 2,7-3$  მიკრონია. მაკროკონიდები ღლავ ნამელი-  
სებრ მოხრილა ან მახათისებრია, ზოვგერ თითქმის სწორი, 3-5 ტიხრიანი,  
ორივე ბოლოში შევწროებული, ძირში ღლავ შესამჩნევი ფენით. ზომით  
 $29,7-51,3 \times 3$  მიკრონი. *Fusarium moniliforme*-ს ჩანთიან სტადიიდ აღიარე-  
ბულია *Gibberella Fujikuroi* (Saw.) Wr., რომელიც არც ბუნებაში და არც ხე-  
ლოვნურ სუბსტრატებზე არ შევინიშვნას.

წითელი სიდამპლე *Gibberella saubinetii* (Mont.). ეს ავადმყოფობა ემართება როგორც აღმონაცენს, ისე მოზრდილ მცენარეს. იგი აღმონაცენს აუძღვრებს, რის გამოც იგი სუსტად იზრდება. ეს მიკროორგანიზმი მოზრდილი მცენარის ლეროში იქრება და მის ლობას იწვევს. ტაროში იგი უმთავრესად წვერის მხრიდან იქრება და ცალკეულ ან მათ ჯვეფს აავადებს.

საქართველოში იგი უფრო მეტად გურია — სამეგრელოში კვებდება. 1939—40 წლების გამოკვლევებით, დაავადება მოსავლის ოლებისას ლანჩჩუთში 4,5%, უდრიდა, აბაშიში — 2,5%. იყო შემთხვევა, რომ წითელი სიღაპელე ხვავში 7%, ზეადგნდა. 1941 წელს წითელი სიღაპელე მნიშვნელოვნად გამოკვლინდა მათარაძის, ოჩამჩირის და გაგრის რაიონებში, მოლო 1944 წლის მოსავლში — ცხავიას რაიონში.

შედარებით შეტყო მასტერული წითელი სიღმებლე გამოკვლინდა აჯამცის თეთრზე და აბაშის ცვეთელზე, უფრო ნაკლებად კი—იმერულ ჰიბრიდზე (ლა-გოლები) და კუნძულზე (მუჯრანი).

ტიბიურ შემთხვევაზე ავადმყოფობა იწყება ტაროს წევროლან და თან-დათანობით სხვა ნაწილებშედაც გადადის. დაავადებულ ტაროზე პირველად ოქტორი ფიტქი კითარდება მარცვლის გვერდებზე და მათ შორის. შემდეგში ეს ფიტქი თანდათანობით ფერს იცვლის—ჯერ მოვარდისფროა, შემდევ მო-წითალო-მოყვითალო და ლუბდლისფრო. ასევე იცვლება მარცვლის შეფერ-ვაც. იგი ჯერ მოვარდისფროა. შემდევ კი—მოწითალო-ალუბლისფრო; ზოგი მარცვალი მოყვითალოან ბატა-ყავისფრო. ტაროზე ეს ფერები შემდევთან-მიმღევრობით გამოვლინებული: მარცვლები ტაროს წევრზე წითლადაა შე-ფერილი, ქვევითევე თანდათანობით შეკრთალია და ბოლოს მოყვითალო და ლია-ყავისფრო. ამგვარადვე შეფერილი ტაროზე შეტჩინილი ულფაში, ყვავი-ლის კილი, ნაქუჩის გული და სხვა ელემენტები. ასეთი შეფერვა უფრო ადვი-ლი შესაძნევია ტაროს გადანაწევაზე. საერთოდ ტაროზე მოწითალო-ალუბლის-ფრი სჭარბიბს, რის გამოც ავადმყოფობას აწითელ სიღაბლეებს—ს უწითერებენ.

წითელი სიღამბრით დაგვადებულ ტაროზე მარცვალი შემცნარია, განსაკუთრებით ჩანაბის არეში. და ზედ მოწითალო-მოყვითალო-ჩალისფერი ფიფქია განვითარებული. მთელი თავისი დმიახსიათებელი ნიშნებით ეს ავად-მყოფობა კარგად შესამჩნევია სიმინდის თეთრ ჯიშებზე.

წითელი სიღამპლის გამოშვევი სოკო ორგვარ ნაყოფიანობას იძლევა ჩანთიანს და კონიდიალურს. ჩანთიანი სტადია პერიტეციუმებში იჭრება რომელიც სიმინდის ტაროზე ან ლეროზე გვხვდება. პერიტეციუმები კვერცხს მოიკრისება; დასაწყისში იისფერია, შემდეგ კი მუქი-ყავისფერი, ზაფში გარდამავალი. პერიტეციუმების ზომა 220—243×135—150 მიკრონია. ჩანთები მოვრძო ლანცეტისებრია, წევეროში შევიწროებული, ზომით 60,8—67,5×7,6—8 მიკრონი. ჩანთები პერიტეციუმში კონკრეტული ასკოსპორები ჩანთაში 8 ცალია, სამრიანობანი, ბოლოში შევიწროებული, ზომით 24,3×4 მიკრონი.

კონიდიალურ სტადიაში 3—7 ტიხრიანი მაკროკონიდიები გვხვდება, ზომით 30—61×4,3—4,5 მიკრონი. მაკროკონიდიები ორივე ბოლოში მოძრილია, თავებში შევიწროებული.

გარდა სიმინდის, ალნიშნული სოკო აავადებს ხორბალს, ქერს და სხვა პურეულს, რომელთა მარტვალს მათრობელობის თვალსებას ანიჭებს.

სიმინდის ნიგროს ტაროზი — *Nigrospora oryzae* Petch. ეს ავიდ-მყოფობა 1911 წელს ბულგარეთში ბუბაკისა და კოჩიროვის მიერ იყო აღმურილი. ამგადაც იგი მრავალ ქვეყანაში გვხვდება. საქართველოში პირველად 1934 წელს იქნა ალნიშნული ვარდოსანიძის მიერ მუხრანის კოლმეტურნობათა მასალაში. შემდეგში, 1939—40 წლებში ჩატარებული გამოკვლეულებით, ნიგროსპორობის ალნიშნულ იქნა ქუთაისის, აბაშის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, ზეგდიდის, სამტრედიის და ცხაკარის რიონენბში. აღმოსავლეთ საქართველოში იგი ნახულია კასპის, ხაშურის, თბილისის, ლუშეთის, მცხეთის, თეთრიწყაროს, ბაშიჩისის, ბორჩალოს, წითელწყაროს, სილნალის, სტალინიშის და ლაგოდების რაიონებში. აღმოსავლეთ საქართველოს გამოკვლეულ რაიონებში სიმინდი ნიგროსპორობით მოსავლის აღებისას დაავადებული იყო 4,7%—8% ფარგლებში. სათესლე სიმინდის დაავადება 2,6%, შეიძგნდა. დასავლეთ საქართველოში იგი 1% არ აღმოატებოდა.

ალნიშნული წლების მონაცემებით, ნიგროსპორობით უფრო გავრცელებული იყო კრუგზე და მინეზოტაზე. კრუგზე დაავადება შეიძგნდა 4,5% (ოსიარი), ხოლო მინეზოტაზე — 13%.

ნიგროსპორობით დაავადებული ტარო გვხვდება როგორც მინდვრად, ისე შენახვის პირობებში. მოსავლის აღების შემდეგ იგი მომეტებულია სუსტი, მახინჯ და განუვითარებელ ტაროზე შეიმჩნევა. მარტვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთ ტაროზე შემცვნარი და ბეტირია, განსაკუთრებით ტაროს ზედა ნაწილში ან გვერდზე. ამიტომ დაავადებული ტარო ცალგვერდა ან წვეროს მხირეს შევიწროებული. დაავადებული მარტვლის ძირში და მის ირგვლივ შეჩრჩნდლ ყვავილის კილებზე ნიკოფიანობის ზაფი, ფხვნილისებრი ფილტრი განვითარებული. ასეთივე ფილტრი შესამჩნევია ნიქუჩი, მარტვლის ბუდეში და კილებზე. მარტვლები ერთმანეთისაგან დაცილებულია და მცილობრივ არ სხედა, მათი ძირები შემცვნარია.

მოსავლის აღების შემდეგ ნიგროსპორობიში, გარდა განუვითარებელი ტაროებისა, გვხვდება დასრულებულ ტაროებზეც. ჩვენი დაევიტრებებით, და-მაწყისში სოკო ნაქუჩი — ტაროს წვერზე ან ძირში სახლდება, იქედან მარ-

ცვალში იქრება და, ამრიგად, თანდათანობით მთელ ტაროში ვრცელდება ნიგროსპორიოზი შეიძლება შეგვხვდეს ერთეულ მარცვლებზეც; ასეთი შემთხვევაზე კვლები თეროათი დაავადებულ მარცვლებზეა.

ნიგროსპორიოზით დაავადებული თესლის გალივების უნარი ეცემა 87%-მდე. შენახვის პერიოდში ნიგროსპორიოზი ხშირად სხვადასხვა სოკობთან ერთად (ფუზარიუმთან, ასპერგილუსთან, კლადოსპორიუმთან და სხვ.) გვხვდება.

სიმინდის ფიზოლოგი — *Physoderma zeae* Show. ფიზოლოგიშა პირველად 1912 წელს ბარეტის მიერ იყო შემჩნეული ამერიკაში. უფრო აღრე მას ფერმერები „კავკილის“ სახელშოდებით იცნობდნენ. ამგამაც იგი ბევრგანაა გავრცელებული. საქართველოში პირველად 1935 წელს იქნა აღნიშნული. იგი მთოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდება და ფართოდ არის გავრცელებული.

ავადმყოფობის გამოშევევი სოკო-ორგანიზმია, მისი სხეული პლაზმატურია და მიცემული არ ახასიათებს. სოკო ავადებს სიმინდის ფოთლებს, ვაგინას, ლეროებს და ტაროს ფუქრებს. მარცვალზე იგი არ არის შემჩნეული.

დაავადება მცუნარის კველა ნაწილზე ერთფეროვანია. პირველად ჩნდება მეტად წერილი მომრგვალო ლაქები, რომელთა ფერი ჯერ მოთეთრო-მოყვითალოა, შემდეგ მურა-ფერისა ხდება, ხან კა მოწითალო ფერს იძენს. ლაქები მკვეთრ არშიაში ექცევა. როცა ლაქების რაოდენობა მატულობს, მათი გაერთიანება ხდება. ამ შემთხვევაში ფოთლებს და სხვა მწვანე ნაწილებს ქანგის ფერი ეძლევათ. ქსოვილის ადრე დაავადებული ნაწილები ბოლოს მურა-ყავის-ფერი ხდება. ასეთ ქსოვილებში ურიცხვი ცისტა იქმნება. რითაც სოკო გამოზამთრებასა და გავრცელებას ახერხებს.

სოკოს ზემოქმედება მცუნარეზე იმაში გამოიხატება, რომ დაავადების დროს ასიმილაციის შენელება ხდება, რაც უშუალო გავლენას აძლენს ტაროს დასრულებაზე. ამის გარდა, ის ჩალას საკეთ ლირებულებას უმცირებს.

აღნიშნული ავადმყოფობა მთოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდება. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ჯერ შემჩნეული არ არის. ამიტომ იგი შინაკარანტინის ობიექტია ითვლება.

სიმინდის ბუშტროვანა გუდაფშუტა საქართველოში ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით სიმინდის გავრცელების მაღალ ზონებში. იგი ჩნდება მცუნარის კველა მწვანე ნაწილზე ვეგტაციის მთელ პერიოდში. მცუნარის დაავადებულ ნაწილებზე იგი სხვადასხვა ზომის ნაცრისისფერი ბუშტრის სახით იქმნება. ტაროზე და ლეროზე უფრო მსხვილი ბუშტრი ჩნდება. ბუშტრი პირველად სოკოს მიცელიაში იქმნება. შემდეგ იგი სახეცვლილებას განიცდის—ქლამიდოსპორებს იძლევა. ქლამიდოსპორების შექმნისთანავე ბუშტრის გარსი სკედება და სპორების უხვად გაბნევა ხდება. დაავადება ტაროზე უფრო საზიანოა. ბუშტროვანა გუდაფშუტის გავრცელება მოსავლის აღების პერიოდში ტაროებზე აღრიცხულია 1,25—4%—ის ფარგლებში. სინამდგილეში მისი გავრცელება მეტი უნდა იყოს, რადგან ხშირად დაავადებულ ტაროებს მოსავლის აღების დროს არ ტებავნ და მას ჩალაზე ტროვებენ. სოკოს გამოზამთრება ქლამიდოსპორებით ხდება სიმინდის ნარჩენებში.

სიმინდის მტკრიანი გუდაფშურა—*Ustilago Reiliiana* Kuhn.  
ავადებს მხოლოდ ტაროსა და ქოჩის. დაავადებული ნაწილები მთლიანად  
იშლება და ზავ მასად—სოკოს ქლამიდოსპორებად იქცევა. დაავადებულ ნა-  
წილებზე პირველ რიგში შემატორებელი ქსოვილი იშლება. გამტარი კონები  
კი, ნაწილობრივი დაშლის გამო, გარკვეულ სიმტკიცეს ინარჩუნებენ. დაავადე-  
ბული ტარო მთლიანად უვარგისი ხდება. ამიტომ აღებულ მოსავალში იგი  
იშეათად შეგვედება. მტკრიანი გუდაფშურა, ბუშტოვანი გუდაფშურებთან  
შედარებით, ნაკლები გავრცელებით ხასიათდება. სოკო ქლამიდოსპორების  
საშუალებით ნიადაგში ან ნარჩუნებშე ზამთრობს და დაავადებას თესლის გა-  
ლივების პერიოდში იწვევს.

სიმინდის ეანგა—*Puccinia maydis* Bereng. სიმინდის ეანგა ფართოდ  
გავრცელებული ავადმყოფობაა, მაგრამ ნაკლებ საზიანოა მცნარისათვის,  
რამდენადაც მისი გამოჩენა მხოლოდ ვეგეტაციის ბოლო პერიოდში ხდება.  
ამის გამო დასრულებულ მცნარეს დიდ ზიანს უერ აყნებს. სიმინდის ეანგა  
ვანსაკუთრებით ვრცელდება სიმინდის მეორე მოსავალშე. ამ პირობებში მისი  
გავრცელება ზოგჯერ 80%-მდე აღწევს. ავადმყოფობის გამომწვევე სოკო ორ-  
ბინანია და სრული ციკლით ხასიათდება. ეცილიალურ სტადიაში ტყის მე-  
უნას ავადებს. სიმინდზე მას ზიანი ურედოსტადიაში მოაქვს; ამ სტადიაში  
ქმნის მსხილ, ხშირად მოგრძო ეანგისფერ მეტეპებს. მოვეიანებით იქვე იძლე-  
ვა ტელიტოსპორებს, რომელთა შექმნას ც მეტეპებს ზავ ფერში გადასცვლა  
მოსაშუალებს. ზამთარს სოკო ტელიტოსპორებით გადაიტანს. შეიძლება გამო-  
ზამთრება ნაწილობრივ ურედოსპორებითაც მოხდეს.


სიმინდის თეთრა თეთრათი დაავადებისათვის დამახა-  
სიათებელია მარცვლის დასკდომა. დასკდომა სხვადასხვა სიძლიე-  
რისაა. ზოგჯერ ოდნავ გაკრტულის შთაბეჭდილებას სტოკებს, ხან კი ისე  
ძლიერია, რომ ენდოსპორმის შინიშვნელვანი ნაწილი გაშიშვლებულია და  
თეთრად მოჩანს.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისისა და წყალტუბოს  
რაიონებში თეთრათი დაავადების ისეთი სახეა გავრცელებული, როცა მარ-  
ცვალი მიმაგრების ადგილზეა დამსკდარი. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფობა  
დაუშლელ ტაროზე არ ეტყობა. ჩევნი დაკვირვებით, ამ სახის ავადმყოფობით  
უფრო აბაზის ცეითლით დაავადებული.

ავადმყოფობის გამომწვევის შესახებ ლიტერატურაში ერთმეორისაგან  
განსხვავებული აზრი არსებობს. კოლერისა და ჰოლბერტის მიხედვით, თეთ-  
რა ფიზიოლოგიური მოვლენა და მარცვალში მოქმედ ზინაგონ ჰიდროსტა-  
ტიკური წნევასა და კანის სიმაგრეს შორის წონასწორობის დარღვევის შე-  
დეგია.

საწინააღმდევო აზრს აეითარებენ: კუბონი, დეკნაბაზი, სერბინოვი, რო-  
მელიციც თეთრას გამომწვევად სოკო—*Oospora verticilloides*-ს ასახელებენ.  
ამავე აზრისაა ჩერნეცვაია, რომელიც *Oospora verticilloides*-ს სოელის *Fusa-  
rium moniliforme*-ს მიკროკონიდიალურ სტადიად და, ამრიგად, თეთრას ფუ-  
ზარიორს უკავშირებს.

თეთრა ვეგეტაციის პერიოდში მეღავნდება, მისი საზიანო მოქმედება  
375



მარცო მარცვლის დასკდომით არ იმოიწურება. ასეთი მარცვალი შენახვის პერიოდში ხშირად სხვადასხვა სოკოთი ავადდება და მისი ყველა ჰამამურებელი იკარგება. დასკდომა განსაკუთრებით საზინოა ნათესლე მასალისათვის იმ შემთხვევაში, როცა ბზარები ჩანასახმდე მიღის. ასეთი მარცვალი გაღიცების უნარს მოლინად კარგავს.

თეთრი დასავლეთ საქართველოში უფრო გავრცელებული, ვიდრე ომოსავლეთში. 1941 წლის გამოკვლეულებით, დასავლეთ საქართველოს ნიმუშებში თეთრათი დაავადება 30%, უდრიდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი — 8%.

დღემდე არსებული ცნობებით, თეთრა დაავადებული თებულით გადადის, ძმისთვის, დაავადებულ ტაროდან დღემდული მარცვალი, როგორც დაავადების აშეარა ნიშნების მატარებელი, ისე დანარჩენი, ავადმყოფობის გადამცემად ითვლება. ამის გამო თესლის გადარჩევა შინიშვნელოვან ლონისძიებას წარმოადგენს.

### შენახვის პერიოდში შემჩნეული სიმინდის ავადმყოფობანი

პენიცილიუმი — ხშირად გვხვდება ტაროზე შენახვის პერიოდში. ყანაში იგი იშეიათია. ავადებს როგორც ცალკეულ მარცვლებს, ისე მთელ ტაროს. უკანასკნელ შემთხვევაში ნაქუჩევ ვლინდება მონაცრისტორ-მწვანე ფიფქის სახით. ფიფქი უხვად იქმნება მარცვლის ჩანასახის არეში. დაავადებული მარცვლის შეითავსი იშლება. მარცვალს გაღიცების უნარი უკარგება.

მელანოს პორა — ეს სოკო ალნიშნულია ლანგინუთის, კასპის და აფხაზეთის მასალაში. სოკოს მიცელიუმი და ნაყოფსხეული იქრისკერია. პერიტეციუმები მრგვალია, ზომით 250 მიკრონი. პერიტეციუმშე გრძელი, ბოლოზე ფორისებრ განცალკევებული ხორთუმი ეტყობა, რომლის სიკრძე 360 მიკრონს უდრის. პერიტეციუმში მრავალი ჩანთაა. ასკოსპორები ერთუჯრედინია, ზობავისფერი, ზომით 14,4—18×10—14,4 მიკრონი.

ბორტი რიტისი — ალნიშნულია მაღლოდ აღმოსავლეთ საქართველოში — კომბორის, თბილისის, კასპის, გორის და ბაშკიჩეთის მასალაში. იგი ტაროზე უმთავრესად შენახვის ბოლო პერიოდში ჩნდება. ავადმყოფობა მონაცრისტორ-თეთრი ფიფქის სახითაა შესამჩნევი, მარცვლებსა და მათ რიგებს შორის ნაყოფიანობა იშვიათად ეჩნიება. სოკოს კონიდიათმტარები წენგოსფერ-მოყავისფროა, წვეროსკენ დატოტევილი, კონიდიები კვერცხისებრი, მერთალი მოყომრალო-წენგოსფერია, ზომით 8,5—13,6×5,1—6,3 მიკრონი.

სკლეროტისი — ამ სოკოს გვხდებით როგორც შენახვის, ისე მოსავლის აღების პერიოდში. ტაროზე სოკო მიცელიუმისა და სკლეროციების სახით გლინდება. მიცელიუმი ბაბბისებრ თეთრია. სკლეროციები ვითარდება როგორც ნაქუჩევ, ისე მარცვლის ბუდეში. დაავადებული მარცვლების დიდი ნაწილი გაღიცების უნარს კარგავს. სკლეროციები შევის, სუსტად დაღირული, ფორმით — ბორცვისებრი. მრგვალი ან მოგრძო ზომით 0,5—3×0,5—2 მმ.

ჭელმინთოს პორა — ამ სოკოს ორი სახეობაა ჩენენში ალნიშნული: *H. maydis* და *H. zeicola*. უფრო ხშირად იგი ნაქუჩევ წვეროს მხრიდან და სუსტად განვითარებულ მარცვლებშეა. დაავადებული მარცვლის კანი დამსკლარია

და ენდოსპერმი მუქი მონაცრისფრო-ყავისფერი ფიფქითაა დაფარული. გვხვდება როგორც ალმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. H. tenuis-ის კონიდიათმტარები ერთულებად ან ჯვალულებადაა განვითარებული, ზომით 150—300×5 მილიმეტრი. კონიდიუმები წენგოსფერია, ცილინდრული ფორმის, ხშირად მოღუნული და ბოლოებში ოდნავ შევიწროებული, 8—10 ტიხრით, ზომით 69,6—98×11,2—16,8 მილიმეტრი. H. zeicola-ს კონიდიათმტარები უმტესად ერთულებადაა, წვეროში სუსტად დამუხლულია, ძირში ოდნავ ბოლქვისებრ გაგანიერებული. კონიდიუმები მუქი წენგოსფერია 6—9 სეგმენტით. ფორმით ცილინდრული ან ოდნავ თითისტრისებრია, ზომა 42—68×4,18 მილიმეტრი.

კლადოსპორიუმის ან სოკოების ორი სახეობა გვაცვლება სიმინდის ტაროზე. ხშირად ცალკეული მარცვლები აერდება. სოკო ან მოოლოდ წვეროსთან, ან მთელ ტაროზე მოფარანტული. მთელი ტაროს დაფარების შემთხვევაში მარცვლებსა და მათ რიგებს შორის ძლიერი მონაცრისფრო-შავი, ხავერდოვანი ფიფქი ვითარდება. დაავადება უმთავრესად ნაქუჩიდან იწყება და შემდეგ მარცვლებზე გადადის. დაავადებულ მარცვალზე ჯერ მარაოსებრ გაშლილი შეავისონ განვითარებით არის გამოწვეული. შემდეგში მარცვალი თანდათანმით შევდება, ენდოსპერმი იშლება, კანი ირლვევა და მასზე შეავისონ ფერები ფიფქი ვითარდება. ჩვენში შემჩნეულია კლადოსპორიუმების შემდეგი სახეობები:

### 1. Cladosporium zae Lobi.

### 2. Cladosporium herbarum Pers.

C1. zae-ს კონიდიუმები წენგოსფერ-მოყავისფროა, ოვალური ან მოგრძო ცილინდრული ფორმის, ერთ ან ორუჯრებითაა. კონიდიუმები მხოლებდაა განლაგებული, მათი ზომა 7,2—21,6×3,6—4,2 მილიმეტრია.

C1. herbarum-ის კონიდიუმები მძიებად ვითარდებიან, სხვადასხვა ზომის არიან. მაქსიმალური ზომაა 30,8×5,6 მილიმეტრი. 1—4 უჯრედიანებია, კონიდიათმტარები გრძელი დამუხლულია, ძირში მუქი-ყავისფერია, წვეროსკენ ბაცდება.

ალტერნარია სიმინდის ტაროზე ალტერნარიის ორი სახეობაა ცნობილი: Alternaria sp. და Alt. tenuis Nees. უმტესად ტაროს წვეროზეა კლადოსპორიუმთან ერთად. დაავადებული ნაწილი გამჭვირტლულს გაის. უმტესად სუსტი და დაზიანებული მარცვლებია დაავადებული. დაავადება ნაქუჩისებული გადადის. დაავადების ადგილზე ყველგან შეავისონ მტევარტლისებრი ფიფქი იქმნება. გვხვდებით როგორც მინდვრის, ისე ძირითადად შენახვის პირობებში.

Alternaria sp.-სათვის დამახასიათებელია ყავისფერი კონიდიათმტარები, კონიდიუმები შეფრებილი. კონიდიუმები ვარაყიანია, ლია ყავისფერი, 3—4 ტიხრიანი, ზომით 36×14 მილიმეტრი.

Alt. tenuis-ი სასიათდება კონებად შეკრებილი მოყავისფრო კონიდიათმტარებით, რომელებიც ზომით 18—45 მილიმეტრია. კონიდიუმები მსხლისებრ-ელიფსისებრი, 2—5 ტიხრით, წენგოსფერ-ყავისფერი; საფა გარსთ; ზომა 21—45×15—17 მილიმეტრის შორის მეტყობენ.




რ ი ძ თ ბ უ ს ი— მინდვრის პირობებში იშვიათია. უფრო მეტად მოსაქლეები და აღმართების აღებისა და დაბინავების შემდეგ გვხვდება ხვავებად დაგროვილ მასლაბში: ზოგჯერ ტარო მოთლიანად არის დავადებული. ავადმყოფობა ცლინდება ძლიერი მონაცრისფრო ქექასებრი ფიფქის სახით. უკანასკნელი უმთავრესად მარცვლების რიგებს შორის არის განვითარებული და ხელით ადვილად სკილდება. ფიფქი სოკოს მიცელიუმისა და ნაყოფიანობისაგან შედგება. უკანასკნელი სპორანგიუმებია და ლუპით ადვილად ისინჯება. სოკოს მიცელიუმი ზოგჯერ ფუქრებში და ულვაშში შეტანილი. დაავადებული მარცვლისაგან განვითარებული მცენარე ტაროს არ იკეთებს.

ბ რ ა ხ ი ს პ ი რ ი უ მ ი— სოკო ტენიანი კამერების პირობებში ცლინდება ჩანასახის არეში, ზევი ხავერდოვანი ფიფქის სახით. ეს ფიფქი სოკოს კონდიალური ნაყოფიანობაა. მისი კონდიათმტარები სხვადასხვა ზომისაა— 64,5—108,5×5—6,3 მიქრონი; მოყავისფრო-წენგვისფერია, დატიხრული, ფუქრები კონდიალუმებით იწყება; წევეროში დამუხტლულია და დატოტვილი. კონდიალუმები ყვითებულია, წენგვისფერია, იერით, მოკრძო ელიფსურია, ოთხ ან ხუთუჯრედიანი. ბილო უჯრედები, სხვა უჯრედებთან შედარებით მკრთალი ფერისაა; შეა უჯრედები უფრო გრძელი და განიხერია. კონდიუმების მეტი ნაწილი სუსტად მოხრილია, ზომა 24,6—40,8×8,2—12,9 მიქრონი.

ა პ ი ს ფ ე რ ი ა— მარცვლებში გვხვდება მცირე რაოდენობით. ცლინდება მუქი ყავისფერი პიკინდიუმების სახით, რომელთა გარშემო ყავისფერი პიფქები მოსჩანს. სპორები უფეროა, ერთუჯრედიანი, მოქლე—ცილინდრული, მომრველო ბოლოებით; პიკინდიუმების ზომა 130—180 მიქრონია, სპორებისა— 5,1—8 მიქრონი.

შავი ა ს პ ე რ გ ე ლ უ ს ი— დაავადებული ტარო ზოგჯერ გუდაფშუტით დაავადებულს მოვაკონებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარცვლების ჯგუფია დაავადებული. მარცვლის შიგთავასი იშლება და მათ ნაცვლად ზევი მტერის მასა იქმნება. ასეთი დაავადება ბშირად სიშინდის პეპელათი დაზიანებულ დაგილებში გვხვდება; ზოგ შემთხვევაში ტაროს წევეროშე, ან, იშვიათად, მთელ ტაროსჲ ჩნდება. დაზიანებულ ადგილებში შავ-შავი ქინძისთავისებრი წარმონავმნებია, რაც სოკოს კონიდიალურ ნაყოფიანობას წარმოადგენს. კონიდიათმტარი გრძელი აქვს, წევეროსე ხშირად 51 მიქრონამდევ გაგანიერებული. სტერიგმები დატოტვილი და ზოგჯერ ორსართულიანია. პირველი რიგის სტერიგმები 21,6—13,8 მიქრონს უდრის, შეორე რიგისა— 6—3 მიქრონს. კონიდიუმები მრგვალი მუქი-ყავისფერია, საღა ან ცელიანი გარსით, ზომით 3,5—8 მიქრონი.

ა კ რ ე მ თ ნ ი ე ლ ა— ბელლად სხვა სოკოებთან ერთად გვხვდება. იგი ტაროს დაობების გამომწვევია. სოკო შესამჩნევია ნაში, თხელი აგურისფერი ფიფქის სახით კილებსა და მარცვლის გვერდებზე. ფიფქი სოკოს მიცელიუმსა და კონიდიალურ ნაყოფიანობას შეადგენს. სოკოს კონიდიათმტარები უფერო ან ოდნავ ყომრიალია, უმეტესად დატოტვილი და დატიხრული. ტოტის ბოლო ცილისებრად წარმოადგენს. კონიდიათმტარები ზოგჯერ მიცელიუმშე სქელია და სიგანით 8 მიქრონს აღწევს. კონიდიუმები მრგვალია, ან ოვალური,



ფუუძის მხარეს ოდნავ შევიწროებული, სქელგარსიანი. ზიგთავი ლია ყავის-  
ფერია და წვრილმარცვლოვანი ავტობულებისა.

ტრიკოტები მი—სოკო შენახვის პირობებში გვხვდება. დავკარ  
ბულ ტარონე მარცვლების მეტი ნაწილი შევყითლებულია ან ოდნავ მოყავის-  
ფრო. ზოგიერთ მარცვლზე ნაზი ვარდისფერი ფიფქია, რომელიც უფრო  
ნათლად ტაროს ვარდანამტვრევზე და კილებშია შესამჩნევი. დაავადება ნაწი-  
ლობრივ წითელ სიღამპლეს წააგავს.

ეპიკოკუმი—შემჩნეულია დასავლეთ საქართველოში სიმინდის ტეხინი-  
პერიოდში, ტაროზე. ნაკლებ გავრცელებულია. გვხვდება შენახვის პერიოდშიც.  
ავდომიურობა აღვილი შესამჩნევია ფურჩისაგან ტაროს ვანთავისუფლების-  
შემდეგ. მარცვლები და ნაქუჩი მუქი-ყავისფერი მტვერითაა დაფარული, რაც  
სოკოს ნაყოფიანობას წარმოადგენს.

### ბრძოლის ლონისძიებანი

საქართველოს პირობებში სიმინდის ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძო-  
ლის ლონისძიებების დასადგენად სისტემატური კვლევა-ძიება არ ყოფილი ჩა-  
ტარებული (გარდა თესლის შეწამელისა), მაგრამ დაავადებათა და მათი გა-  
მომწვევი ორგანიზებების ბიო-ეკოლოგიური თავისებურებები და ლიტერატუ-  
რული მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დაგვასხოთ სათანადო ლონისძიებანი,  
რომელთა ვანთარციელება ხელს შეუწყობს სიმინდის ავადმყოფობათა წინა-  
აღმდეგ ბრძოლას.

1. იმის გამო, რომ დაავადებათა ვარკვეული ნაწილი თესლის თანამ-  
გზავრია, საჭირო იქნება განსაუთრებული ყურადღება მიექცეს მოსახლის  
დროულად აღმას, ტაროს დახარისხებას, გამოშრობის და შენახვის იღვალუ-  
რი პირობების შექმნას. თუ სათესლე მასალა სალია და კარგად გამომშრალია,  
იგი დაზღვეული იქნება საჭყობში დაავადებებისაგან.

2. სიმინდის ავადმყოფობათა ვამომწვევი ორგანიზებების დიდი ნაწილი  
სიმინდის ნარჩენებზე ჩება. აქ ისინი ზამთარს ხელსაყრელ პირობებში ატა-  
რებენ და შემდეგ აღმონაცენს ან ვეგეტაციაში მყოფ მცენარეს უკავ-  
შირდებიან. ამიტომ საჭიროა ნარჩენების სრული მოსპობა. მთავარია ამ ლო-  
ნისძიების დროულად ჩატარება, რათა სიმინდის ღრეულები ფესვებიანად  
გროვდებოდეს; დაგვიანების შემთხვევაში ფესვები ლპობას იწყებენ და ამო-  
ლების დროს ნიადაგში რჩებიან.

3. კარგი შედეგი მოაქვს თესლის განვითარებას, რადგან ამ შემთხვევაში მცენა-  
რის აღმონაცენს განვითარება უხდება მისთვის საშიშ სოკოებისაგან თავისუ-  
ფალ ნიადაგში, რის შედეგადაც აღმონაცენის დაავადება ნიადაგიდან არ  
ხდება.

4. სათესლე მასალის ფიტომათოლოგიური ექსპერტისა უზრუნველყოფს  
ნამდევილად სალი თესლის შერჩევას. ეს ლონისძიება საჭიროა იმის გამო, რომ  
ხშირად თესლი ვარევნულად სრულიად სალი მარცვლის შთაბეჭდილებას ტო-  
ვებს, სინამდევილეში კი ინფექციის მტარებელია.

5. დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის კველი აგროტექნიკური წესების-  
ზუსტ და თანმიმდევრულ დაცვას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლე-

ბელი ჯანსაღი და სწრაფად მშარდი მცენარის მიღება, რომელიც შედარებით  
მეტ გამძლეობას გამოიჩენს ავადმყოფობათა მიმართ.

6. სიმინდის თესლი ან მისი ჩანასახი ხშირად ივადდება იმ შემთხვევაში,  
თუ ის ნიადაგში გაულივებლად დიდხანს დარჩა, რაც მაშინ ხდება, როცა  
თესვა მიმდინარეობს ნიადაგის დაბალი ტემპერატურის პირობებში. ამიტომ  
თესვის წარმოება სიმინდის თესვის ოპტიმალურ ვადებში მნიშვნელოვან ლო-  
ნისძიებას წარმოადგენს.

7. სიმინდის ბუშტოფანა და მტკრიანა გუდაუმუტების წინააღმდევ კარგ  
შედეგს იძლევა დაავადებული ნაწილების მოცილება და შათი მოსპობა.  
ბუშტების შეგროვება უნდა წარმოებდეს შათ დასკდომამდე.

8. ქიმიური ლონისძიებებიდან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თესლის შე-  
წამლვას, რომლის დროსაც ხდება თესლის დაცვა აღმოცენებამდე. არსებულ  
პრეპარატებს შორის ყველაზე ეფექტურია გრანოზანი, რომელსაც ერთი  
ტონა სათესლე მასალის შესაწიმლავად 1,5—3 კილოგრამს ხმარობენ.

૬૦૯૮૦

რედაქტორი დოკ. გ. ა ბ ე ს ა ძ ვ  
გამომზები ქ. კაშია

უ 02407.

შეკ. № 163.

ტირაჟი 1000.

გადაეცა წარმოებას 25/II-57წ. ხელმიწიერილია დასაბეჭდად 14/V-57 წ.

ანაწყობის ზომა 7×11. სასტამბო ფურც. რაოდენობა 24,0.

საავტორო ფურც. რაოდენობა 24,3. საგ.-საალ. ფურც.  
რაოდენობა 24,6.

შ ც ა ს ტ

---

შრომის წილებით დროშის თარღის საქართველოს სასოფლო-  
სამეცნიერო იმსტიტუტის გამომცემლობის სტამბა.  
თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 33.

Типография Издательства Грузинского ордена Трудового  
Красного Знамени Сельскохозяйственного Института  
Тбилиси, Университетская ул. 33.

২৩৬৮



নেটওর্ক  
নেটওর্ক